

ISSN 1987 – 5789

ESSN 2587- 5426



# ეკონომიკა და ბიზნესი ECONOMICS and BUSINESS

# 1

ტომი XIV Volume

2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი  
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,  
2015 წლიდან - კვარტალურად  
Publish since January 2008 once in two months,  
since 2015 – Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2  
თსუ-ის მაღლივი კორპუსი, III სართული, 316-317  
ტელ. +995 32 2 25 04 84

მთ.რედაქტორი: ტელ - 599794949, მოადგილე - ტელ: 599103816,  
პ/მდ. - ტელ: 599218384, მთ.სპეც. – ტელ: 577970280.

Adress: Tbilisi University str. #2. Tel: +995 32 2 25 04 84 - 9781, 9763, 9724.

Chief editor – Tel: 599794949, Deputy Chief Editor – Tel: 599103816,

Responsible Secretary – Tel: 599218384, Chief Specialist – Tel: 577970280

www.eb.tsu.ge e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედამქციო კოლეგია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიროვნულ-სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები: **იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბეჩიძე, სიმონ გელაშვილი, ივანე გვერდსიანი, ივანე გოგობია** (ხელექტორის მოადგილე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნუგზა თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, მუხთაზ მალხაძე, ედგუა მექვაბიშვილი** (მთავარი ხელექტორი), **დავით ნახმანია, ნუგზა პაიჭაძე, დევიდ საბაუხი, დემურ სიჭინავა, მიხიან ტუხაშვილი, გიორგი ლალანიძე, თეიმურაზ შენგელია, ეთერ საჩაიშვილი, იოსებ ხელაშვილი**; პიროვნულ-სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები: **ხამაზ აბესაძე** – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, **ანზორ აბაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **იოსებ აჩვაძე** – ქუთაისის უნივერსიტეტი, **გიორგი თუჩუა** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მუხამ კაკულია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მუხამ კვაჩაყავა** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **პაატა კოლუაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **შადვა მაჭავახიანი** – ევროპული უნივერსიტეტი, **ვლადიმერ პაპავა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **დავით სეზინაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **ავთანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმერ ლომი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნიკოლოზ ჩხეიძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **მინიერ ჯიბუტი** – გიორგი ხობაძის სახელობის უნივერსიტეტი

## სარედამქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

**მინიერ ადგმანი** – ჩხიძეთ კახიძის უნივერსიტეტი, პიროვნული (აშშ); **ვლადიმერ ვენგი** – ბეჩინის ტექნიკური უნივერსიტეტი, პიროვნული (გერმანია); **იოსებ მ. კინგი** – ოსტონის უნივერსიტეტის კოლეჯის ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტი ეკონომიკის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი (ნორვეგია), პიროვნული; **დემეტრი დუკანენკო** – კიევის ვაიმე ჰუმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის ხელექტორი, პიროვნული (უკრაინა); **ირაკლი მანგაძე** – სიდნეის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, J. Stern&Co Investment ოფისის კონსულტანტი, დირექტორი (დიდი ბრიტანეთი); **გიორგი ნ. მენქიუ** – ჰაიფაის უნივერსიტეტი, პიროვნული (აშშ); **იან მინაღვი** – ვაშაგის უნივერსიტეტი, პიროვნული (პოლონეთი); **დავით ნილი** – ილინოისის უნივერსიტეტი, ემეჩტუს-პიროვნული (აშშ); **ამერიკელი ფიქსიონი** – გენობის ადვოკატი უნივერსიტეტი, პიროვნული (საფრანგეთი); **ელიზაბეთ ჩაკო** – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პიროვნული (აშშ); **ტომას ჰადლი** – გაიტუს უნივერსიტეტი, პიროვნული (ესტონეთი).

## EDITORIAL BOARD

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professors: **Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Gaganidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia** (Deputy Redactor), **Eter Kharashvili, Joseb Khelashvili, Irakli Kovzanadze, Murtaz Maghradze, Elguja Mekvabishvili** (Editor-in-Chief), **Davit Narmania, Nugzar Paichadze, Levan Sabauri, Temur Shengelia, Demur Sichinava, Nugzar Todua, Mirian Tukhashvili, Tamaz Zubiashvili** (Executive Secretary); Professors: **Ramaz Abesadze** – Paata Gugushvili Economic Institute, **Anzor Abzalava** – Georgian Technical University, **Joseb Archvadze** – Kutaisi University, **Nikoloz Chikhladze** – Akaki Tsereteli State University, **Vladimer Glonti** – Batumi Shota Rustaveli State University, **Mikheil Jibuti** – Grigol Robakidze University, **Merab Kakulia** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA), **Murman Kvaratskhelia** – Sukhumi State University, **Paata Koguashvili** – Georgian Academy of Agricultural Sciences Academician, **Shalva Machavariani** – European University, **Vladimer Papava** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Dali Sekhniashvili** – Georgian Technical University, **Avtandil Silagadze** – Georgia National Academy of Sciences Academician, **George Turkia** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA).*

## FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

**Michael A. Altman** – Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University (USA); **Ameziane Ferguène** – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); **Elizabeth Chaco** – Professor of Geography and International Relations, George Washington University (USA); **Toomas Haldma** – Professor, Tartu University (Estonia); **Roswitha M. King** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College (Norway); **Dmytro Lukianenko** – Vadym Hetman Kyiv National Economic University, Rector, Professor (Ukraine); **Irakli Managadze** – Chairman of Silk Road Bank Supervisory Board, Senior Advisor and Consultant at J.Stern & Co Investment Office Acad. Doctor (UK); **Gregory N. Mankiw** – Harvard University, Professor (USA); **Jan Mikhalek** – University of Warsaw, Professor (Poland); **Larry Neal** – Illinois University Emeritus Professor (USA); **Wolfgang Weng** – Berlin Technical University, Professor.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის  
2022 წლის საშობაო ეპისტოლე .....9

### ეკონომიკური თეორია ო ეკონომიკური პოლიტიკა

**ვდღიბუხ ბასაჩია** – საზიარო ეკონომიკა და მისი როლი  
საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაში ..... 18

**მუხმან ცაჩციძე, შოთა გაბადაძე** – საახსებო მინიმუმის  
განსაზღვრისა და ხეგუდიხების თავისებულებები  
საქაჩთვედოში ..... 37

### აღრიცხვა ო შეფასება აუდიტი

**ღევან საბაუხი, ნაღვედა კვატაშიძე** – საწარმოთა გაერთიანების  
იდენტიფიკაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ..... 67

**მაჩინა მაისუხაძე, მაჩიამ ვაჩღიაშვიდი** – ფინანსურ ანგარიშგების  
მომზადების და წარდგენის საკითხები COVID 19-ის  
პირობებში ..... 83

**ნინო დომიძე** – კრიპტო ვალუტების აღრიცხვა ფინანსური  
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს)  
შესაბამისად: გამონვევები და პერსპექტივები ..... 126

### ბიზნესი ო მენეჯმენტი ო მარკეტინგი

**პაატა კოლუაშვიდი, ჰამაზ ოთინაშვიდი** – კონკურენტუნარიანობის  
სტრატეგიის თავისებურებები ბიზნესში ..... 146

**მანანა ხარხელი, დავით გავარდაშვილი** – კომპანიებში  
ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების  
აუცილებლობა ..... 160

## სოციალური განვითარება

<b>ავთანდილ ჯოხბენაძე, თენგიზ ვეხუდავა</b> – საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების პირველი ნაბიჯები დამოუკიდებელ საქართველოში .....	184
---	-----

## ჩვენი იუბილარი

პროფესორი როინ ქუტიძე - 80 .....	217
----------------------------------	-----

## ინფორმაცია

ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2021 წლის #1–4 (ტ. XIII) შინაარსი .....	219
---	-----

## CONTENTS

2022 Christmas Epistle of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II

### ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

- Vladimer Basaria** – Sharing Economy and Its Role in the Production of a Public Wealth ..... 29
- Murman Tsartsidze, Shota Gabadadze** – Peculiarities of Determination and Regulation of the Subsistence Minimum in Georgia ..... 54

### ACCOUNTING ◊ VALUATION ◊ AUDIT

- Levan Sabauri, Nadejda Kvatashidze** – Some Aspects of Identification of Enterprises Association .....76
- Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili** – Some Issues of Preparation and Submission of Financial Statements in the Conditions of COVID - 19 ..... 101
- Nino Lomidze** – Accounting for Cryptocurrencies in Compliance with International Financial Reporting Standards (IFRS): Challenges and Prospects ..... 132

### BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING

- Paata Koguashvili, Ramaz Otinashvili** – Peculiarities of Competitiveness Strategies in Busines ..... 154
- Manana Kharkheli, Davit Gavardashvili** – The Need for Organizational Changes in Companies..... 173

### SOCIAL DEVELOPMENT

- Avtandil Jorbenadze, Tengiz Verulava** – Development of Public Health in Independent Georgia ..... 203

## **ANNIVERSARIES**

***Professor Roin Qutidze – 80***

## **INFORMATION**

The Content of the Journals “Economics and Business” in 2021 #1-4. (T.XIII) .....	225
--	-----



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,  
მსხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და  
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის  
2022 წლის საშობაო ეპისტოლე**



დგება დღე შეუდარებელი, სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებული არა მარტო კაცობრიობის ისტორიაში, არამედ მთელი სამყაროს არსებობაშიც.

ის, რაც 2022 წლის წინ იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემის ერთ მიტოვებულ, პირუტყვის თავშესაფრად გამოყენებულ გამოქვაბულში ზამთრის ცივ ღამეს აღესრულა, ენით უთქმელი სასწაულია, - იშვა ემანუელი!

მანამდე ღმერთი კაცობრივად არ მოვლენილა. მსგავსი რამ სამყაროში არასოდეს მომხდარა და არც მოხდება.

ეს არის დღე ცისა და მიწის, შემოქმედისა და ადამიანის ერთობისათვის გზის გამკვალავი, ეს არის დღე უფალთან ჩვენი დიდი მშვიდობის, დიდი შერიგების, დიდი სიხარულის დასაწყისისა.

გაცხადდა იაკობ მამამთავრის წინასწარმეტყველება: „წაერთმევა კვერთხი იუდას... ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“ (დაბ. 49, 10), რაც გულისხმობდა იმას, რომ, როდესაც ისრაელს აღარ ეყოლებოდა კანონიერი მეფე იუდას ტომიდან, მაშინ მოევლინებოდათ ზეციური მეუფე.

მართლაც, რომის იმპერიაში, მის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იუდეაში, პირველი წარმართი და უცხოტომელი მეფის, იდუმელი ჰეროდეს მმართველობის ჟამს უცნაურმა ვარსკვლავმა და ანგელოზთა დასმა სამყაროს ამცნო იესოს შობა.

ეს იყო უფლის მოწყალების და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის მიერ ღვთის განკაცების მრავალათასწლიანი მოლოდინის შედეგი.

ამ გზაზე იყო ებრაელთა ერის მრავალგზისი განდგომა ღვთისგან, გაცხოვება ჭეშმარიტი რწმენისგან, შიში წარმართ დამპყრობელთა წინაშე და მათი გავლენის ქვეშ მოქცევა..., მაგრამ იყო სინანულიც, ღვთისადმი თავგანწირული ერთგულებაც და უფლისა და მოყვასისათვის მსახურების გამორჩეული მაგალითებიც.

დიდი რყევებისა და სულიერი ქართვეილების მიუხედავად, სინას მთაზე მოსე წინასწარმეტყველისთვის მიცემული უფლის მცნებები ისრაელიანთა ღირსეულმა მოღვაწეებმა დაიცვეს და მოამზადეს კაცობრიობა მაცხოვრის განკაცებისთვის.

და, აი, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალ ყოვლად წმინდა ქალწულ მარიამისგან მოევლინა ამ ქვეყანას „ნათელი სოფლისა“... „რომლისგან ყოველივე შეიქმნა და მის გარეშე არც ერთი რამ იქმნა“ (ინ.1,3); მოევლინა, რათა კაცთა მოდგმისთვის ეხარებინა:

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ;“ (მთ. 11.28)

„მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება“ (ინ. 6.35);

„მე ვარ კარი ცხოვართა, ვინც შედის ჩემით, გადარჩება“ (ინ. 8,12);

„მე ვარ ვაზი, თქვენ კი ლერწები, ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ განიგდება“ (ინ.15,5-6);

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (ინ. 14,8).

- რას გულისხმობს, უფრო სწორად, რისკენ მოგვიწოდებს ეს სიტყვები?

- სინერგიისაკენ, - ღვთაებრივი და ადამიანური ნების შეერთებისა და შერწყმისაკენ. ანუ იმისკენ, რაც უნდა იყოს ერთადერთი მთავარი აზრი და მიზანი ჩვენი ცხოვრებისა; ყველაფერი სხვა კი, მასთან შედარებით, ამაოებაა.

ჩვენში რომ მოხდეს სინერგია, აუცილებელია, შევძლოთ საკუთარი თავისა და ღმერთის, ჩვენი შესაძლებლობისამებრ, შეცნობა; ამისთვის კი უპირველესი პირობა ის არის, რომ ადამიანი წმინდა ნათლობით შეუერთდეს ქრისტეს; ასევე, ყოვლად აუცილებელია, თითოეულ ჩვენგანში მოხდეს პიროვნული შეხვედრა ღმერთთან.

ეს აუხსნელი, ადამიანური ლოგიკისათვის მიუწვდომელი მეტად შთამბეჭდავი მოვლენაა, რომელიც არავინ იცის, ვისთან და როდის აღესრულება. ისიც შეიძლება, რომ არასწორად ვცხოვრობდეთ, ცუდად ვიქცეოდეთ, ღმერთზე ფიქრსაც კი გავუბოძდეთ, მაგრამ განსაცდელი, ან სხვა

რამ შემთხვევა გამოგვაფხიზლებს, თვალს აგვიხელს ჩვენი ცხოვრებისა და აზროვნების წესს სრულიად შესცვლის და ჩვენი ნებითა და მონდომებით სიხარულით მიგვმართავს ცხოვრების ვიწრო და ეკლიანი გზისაკენ.

დღეს სხვა დროა, იტყვის მავანი ... ჩვენ სხვა სამყაროში შევაბიჯეთ და ის, რაც ადრე იყო მისაღები და მოსაწონი, თანამედროვეთათვის მოძველებულია და არაფრისმომცემი.

მართლაც, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ინტერნეტმა მოიცვა მსოფლიო, ახალი ერა დაიწყო. ტექნიკის სფეროში, თანამედროვე სამყაროში, ახლა უკვე საოცარი პროგრესია მიღწეული, თუმცა თავი იჩინა ფრიად სერიოზულმა გამოწვევებმაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ ყველანი დედამიწის, როგორც უკვე ერთიანი საერთო სივრცის ნაწილნი, ყოფით ცხოვრებას ან მკვეთრად გავიუმჯობესებთ, ან გადაუღალავი დაბრკოლებების წინაშე აღმოვჩნდებით.

გამოსავალი, რა თქმა უნდა, არსებობს და იგი, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთია: ყველაზე მთავარი აქცენტი ყველას მიერ გადატანილი უნდა იქნას ადამიანზე და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოიწიოს იმ ღირებულებებმა, რაც მას შემოქმედთან დაახლოებს; ზეადამიანად გახდომის ამპარტავნული სურვილი კი დაღუპვის წინაპირობად გვექცევა.

„სიცოცხლე ან სიკვდილი“, - ამ არჩევანის წინაშე აღმოჩნდა დღეს ადამის მთელი მოდგმა. ასეთი მასშტაბური და ყოვლისმომცველი ნაბიჯი მანამდე არ გვექონია გადასადგმელი.

„აირჩიე სიცოცხლე“, - მოგვინოებებს მოციქული.

მორწმუნეთათვის ეს ნიშნავს მცნებების დაცვით უფლის მიმსგავსებას, მაღალზნეობრივ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ნიშნავს ღვთის სადიდებლად სხვისთვის ცხოვრებას, რათა შემდეგ ცათა სასუფეველის მკვიდრნი გავხდეთ და მარადიულად ღმერთთან ვმყოფობდეთ.

ათეისტებისათვის კი ასეთი აზროვნება გაუგებარია და მიუღებელი, რადგან ისინი ეყრდნობიან ფორმულირებას: მჯერა ის, რასაც ვხედავ და არ მჯერა იმის, რაც უხილავია. ამიტომაც არც ღმერთის სწამთ, არც ჩვენი სულის არსებობის და არც მისი უკვდავების; ამასთან, მიიჩნევენ რა, რომ გარდაცვალებით ყველაფერი მთავრდება, ამქვეყნიური კეთილდღეობის ნებისმიერი საშუალებით მიღწევას, ხშირ შემთხვევაში, არ ერიდებიან.

მაგრამ, მორწმუნენი ვართ, თუ ურწმუნონი, როდესაც თუნდაც ამქვეყნიურ ჩვენს უკეთეს მომავალზე ვფიქრობთ, აუცილებლად წამოიჭრება

მრავალი კითხვა, მათ შორის იმის შესახებ, თუ როგორ დავძლიოთ სი-  
ლატაკე, უმუშევრობა, დევნილთა პრობლემები, როგორ აღვიდგინოთ ტე-  
რიტორიული მთლიანობა? ... მაგრამ, ასევე, წამოიჭრება სხვა კითხვებიც,  
რომლებიც მუდამ აწუხებდა კაცობრიობას: რატომ დავიბადეთ? რატომ  
ვკვდებით? ვინ მოგვცა სიცოცხლე? რა არის იგი? რისთვის ვართ მოწო-  
დებულნი? ...

რა თქმა უნდა, ორივე მიმართულებით გვმართებს ფიქრი, მაგრამ ამ  
ეპისტოლეში იმ თემებზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც სულიერ სფე-  
როს მოიცავს და ღვთისკენ სავალი გზების ძიებაში დაგვეხმარება.

ბიბლიის პირველივე თავიდან გაცხადებულია დიდი საიდუმლოება-  
ნი მცენარეთა, ცხოველთა, ზღვის და ცის ბინადართა, ასევე, ღვთის მიერ  
სამყაროს შექმნის, ადამიანის დაბადებისა და მისი დანიშნულების თა-  
ობაზე.

„მე ვარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული“ (გამოცხ. 1.8), - ბრძა-  
ნებს მაცხოვარი.

„დასაწყისში იყო სიტყვა (ლოგოსი) და სიტყვა იყო ღმერთთან და სი-  
ტყვა იყო ღმერთი ... ყოველივე მის მიერ შეიქმნა, მასში იყო სიცოცხლე  
და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი ...“ (ინ 1.1-4); „წყალობით მდიდარ-  
მა ღმერთმა ... შეცოდებით მკვდარნი გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად“  
(ეფეს.2,4-5) და „ღვთის ძისადმი რწმენით გვაქვს საუკუნო სიცოცხლე“ (I  
ინ. 5,13), - ვკითხულობთ “ახალ აღთქმაში”.

სიკვდილი კი ცოდვის შედეგია, რომელიც მის გარეშე არ არსებობს  
და მასზეა დამოკიდებული.

„ცოდვის საზღაური არის სიკვდილი“ (რომ. 6,23), - ბრძანებს მოციქუ-  
ლი. ხოლო რადგან „გულისთქმა ხორცის, გულისთქმა თვალის და ამპა-  
რტავნება ამქვეყნისაგან მომდინარეობს“ (I ინ. 2-16) და უფალთან კავ-  
შირი არა აქვს, ამ წესით მცხოვრებნი თავისი ნებით შორდებიან სიცი-  
ცხლის, სინწინდის, სინათლის წყაროს, - ღმერთს და სულიერ სიკვდილს  
ექვემდებარებიან.

უფალთან ყოფნა კი ნიშნავს იმას, რომ უნდა მოვკვდეთ ცოდვისათ-  
ვის, ანუ დავძლიოთ ის გაუკუღმართებანი, ადამის დაცემის შემდეგ რომ  
შევიძინეთ.

ღმერთთან მიახლებაში, მხოლოდ განსწავლულობა და მეცნიერუ-  
ლი პროგრესი ვერ დაგვეხმარება; აუცილებელია სულიერი სინწინდის  
მოპოვება, რადგან „ღმერთი სულია და მის თაყვანისმცემლებს მართებთ  
სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა“ (ინ. 4,24).

წმინდა მაკარი ეგვიპტელი წერს: როგორც სხეულს სხვა და სხვა ორგანო და ფუნქცია აქვს, ასევე სულსაც აქვს სხვა და სხვა გამოვლინება და ფუნქცია.

სულის თვისებაა, მაგალითად: განსჯა, ნებელობა, სიყვარული, შემოქმედებითი უნარი; სირცხვილის, მორიდების, თავმდაბლობის გრძნობა; სიმართლისმოყვარეობა, მოწყალება, სინანული, სიბრალული, სიხარული... ისინი ღვთივბოძებული ნიჭებია, რომლებიც ჩვენს შინაგან ადამიანს ქმნის.

ცოდვებით შებღალული, უფლის ნათელს მოკლებული სულის თვისებები კი არის: ამპარტავნება, შური, კადნიერება, ღვარძლი, უსამართლობა ...

ამ უნარებს სული ჩვენს გულსა და გონებაში ავლენს; ეს, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ანატომიური გული და ტვინი, მაგრამ სწორედ მათში ხორციელდება ჩვენთვის გაუცნობიერებელი კავშირი სულთან და, ძირითადად, აქ იყრის თავს ჩვენი შინაგანი განცდები.

რაც თვალთა სხეულისათვის, ისაა გონება სულისათვის. გონებისაგან მომდინარეობს აზროვნებისა და განსჯის შესაძლებლობა, გულში კი მგრძნობელობითობა ვლინდება. თუმცა, რასაც ადამიანი გრძნობს გულით, იგი გონებასაც მოიცავს.

და ამ დროს უნდა მოხდეს უმნიშვნელოვანესი რამ: გონებისა და გულის გაერთიანება, „გონების ჩასვლა გულში“ და გონების მიერ მისი წარმართვა. ასეთი გული არის გული გონიერი. იგი საშუალებას არ აძლევს უკეთურ ფიქრებს შემოიჭრან და ცოდვად იქცნენ; არამედ ფხიზელი გონებით უკუაგდებს მათ და არ შეიწყნარებს. ამგვარი გული და გონება მიმართულია უფლისაკენ და ჩვენი სწორი სულიერი ცხოვრების ცენტრი ხდება.

წმ. მამები წერენ: ძირითადად, ოთხი რამ იცავს სულს: ქველმოქმედება, ურისხველობა, ჭირთა დათმენა, წყენის დავიწყება.

ძირითადად, ასევე, ოთხი რამ ვნებს მას: მოყვასის სიძულვილი, შური, განკითხვა, მკვლევლობა.

საერთოდ, გონება ადვილად იმღვრევა, მაგრამ მალევე იწმინდება ლოცვით, წმინდა წერილის, წმინდათა ცხოვრებისა და მათი დარიგებების კითხვით.

გულის სინმინდის მოპოვებას კი ხანგრძლივი სულიერი შრომა სჭირდება. ამის მიღწევა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა,

რადგან ადამიანის წრფელი და განწმენდილი გული არის ის ადგილი, სადაც ღმერთი ივანებს.

ინებოს მაცხოვარმა, როგორც სრულიად საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, ეს სინერგია, ეს შეხვედრა ყველას გულში განხორციელდეს.

უფალს ჩვენი მონაწილეობა და მადლიერი გული უნდა შევავებოთ და გავახაროთ. საკუთარ ცოდვათა შემცნობი ადამიანი ფრიად სათნოა ღვთისთვის.

ძველ „პატერიკში“ წერია:

ერთხელ შენუხებულმა ხალხმა ღმერთს მიმართა:

-რატომ არის ამდენი მკვლელობა, გაუტანლობა, სიძულვილი, უბედურება?

- თქვენ ეს არ მოგწონთ? - ჰკითხა უფალმა.

- რა თქმა უნდა, არა, - იყო პასუხი.

და მიუგო: - მაშ, რატომ თქვით, რატომ ბოროტმოქმედებთ, განიკითხავთ და მძლავრობთ ერთმანეთზე?!

მართლაც, ეს ყველაფერი ხომ ჩვენი ნების, ჩვენი არჩევნის შედეგია.

რაოდენ უკეთესი იქნებოდა, ყველას ის გვეკეთებინა, რაც მოსაწონია ღვთისთვის!

მაცხოვრის მოვლინებით თითოეული ჩვენგანის დაბადებას უდიდესი აზრი მიენიჭა, რადგან ამ დღიდან ყოველ ადამიანს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, მიეცა შესაძლებლობა, თავისი დაბადების დღე უკვდავყოს და იესოს ამქვეყნად შობა აქციოს ცათა სასუფეველში, მარადიულ ნეტარებაში, თავისი შობის განმსაზღვრელად.

ამიტომაცაა ეს დღესასწაული ჩვენთვის დიდი ზეიმის, სიხარულისა და ბედნიერების მომნიჭებელი.

ჩვენს მიწიერ ყოფაში დაცემაც და წამოდგომაც, წარმატებაც და წარუმტებელობაც მონაცვლობენ.

თუ დიდი ტკივილი ან განსაცდელი შეგხვდათ, ადამიანთა ბოროტების, მტრობის, შურის, ღალატის მსხვერპლნი გახდით, გული არ გაიტეხოთ. მიიღეთ ეს, როგორც თქვენთვის სარგო მწარე, მაგრამ მაკურნებელი წამალი, მიიღეთ, როგორც თქვენგან გასავლელი გზის საჭირო მონაკვეთი, რომელიც აუცილებლად დასრულდება. თუმცა, მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თქვენი გული და გონება როგორ უპასუხებს ასეთ გამონვევებს.



რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს ჩვენი ჯვარი გვაქვს სატარებელი, მაგრამ არის საერთო განსაცდელებიც. მაგალითად, დღეს პანდემიაა ასეთი.

ხალხი დაითრგუნა მუდმივი უარყოფითი ინფორმაციით, ჩაკეტვით, სიკვდილიანობით ... მართალია, მსხვერპლი დიდია და სიფრთხილე ყოველად აუცილებელი, მაგრამ სასონარკვეთას არ უნდა მივეცეთ და არც შევზინდეთ. უნდა განგვამტკიცოს რწმენამ იმისა, რომ გარდაცვალება არ ნიშნავს არსებობის შეწყვეტას, რადგან ადამიანის სული უკვდავია. მთავარია, სულიერი სიკვდილის, მარადიული ტანჯვის მსხვერპლნი არ გავხდეთ.

ყოვლადწმინდა სამებას ვავედრებ ჩვენგან წასულ ჩვენს სულიერ შვილებს, რომ შეინყალოს ისინი და აცხოვნოს.

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მყოფთ, საერთოდ, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია შობის დღესასწაული და ვინც თავს ჩვენი ეკლესიის შვილად მიიჩნევს, - გთხოვთ, იცხოვრეთ ერთმანეთისა და სამშობლოსათვის.

ჩვენ, ღვთის განგებით, ერთ სივრცეში, ერთ პერიოდში იმიტომ მოგვინია ყოფნა, რომ ამ მოცემულობაში უნდა გამოვიცადოთ, უნდა შევძლოთ ღვთის სადიდებლად „ურთიერთას სიმძიმევიტივითოთ და ესრეთ აღვასრულოთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალატ. 6.2).

ჩვენი დამოკიდებულება შვილებთან, მშობლებთან, დაძმებთან, ახლო თუ შორეულ ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან, ნებისმიერ სხვა პიროვნებასთან, ისევე, როგორც ჩვენი დამოკიდებულება სნეულთა, პათიმართა და გაჭირვებულთადმი, პირადი და საქვეყნო საქმისადმი, გარდაცვლილი ახლობლებისა და წინაპრებისადმი, ცხოველებისა და გარემოსადმი ...უდიდესი გამოცდისა და პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს, რადგან სადაც არ უნდა ვიყოთ და ვინც არ უნდა ვიყოთ, ყოველი ნაბიჯი ჩვენი ცხოვრებისა, მნიშვნელოვანია.

ძნელია ასეთ დიდ სივრცეში იმოქმედო და შეცდომები არ დაუშვა. ჩვენი ეგოისტური „მე“ ხომ მუდმივად უძებნის გამართლებას ჩვენს ცოდვებს, არასწორ საქციელს ... ამასთან, საკუთარ თავს ადვილად ვპატიობთ იმას, რაზეც სხვას მკაცრად ვთხოვთ პასუხს. ხშირად კი, საერთოდაც ვერ ვხედავთ ჩვენს ცოდვებს.

უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის გარედან შეხედვა, ჩვენი ქმედებების სხვისი თვალთ შეფასება და ობიექტური განსჯა. ეს არის ამოსა-

ვალი წერტილი ჩვენი სწორი სულიერი ხედვისთვის. მაშინ უკვე ღვთის შეწევნით, სინანულით, აღსარებითა და ზიარებით ყველაფრის გამოსწორება და კეთილად წარმართება იქნება შესაძლებელი.

თითოეულმა ჩვენგანმა ერთი წლის მანძილზე თუნდაც ერთი არასწორი ჩვევა ან თვისება რომ აღმოვფხვრათ, რამდენად უკეთესი გახდება ცხოვრება! დაისახეთ ეს მიზნად.

გაუფრთხილდით დროს!

დრო ძალიან ძვირფასია, თუ მისი საშუალებით ცხოვრებას მოვიპოვებთ; დაკარგულ დროზე დასანანიც არაფერია, თუ იგი წარწყმედის მიზეზად გვექცევა (ჩვენ კი ხშირად სწორედ ფუჭად გატარებული დროით ვხარობთ).

არდავინყება გვმართებს იმისაც, რომ დროის მოთხოვნილებები, დროის სული ცვალებადია; ხშირად იგი ცრუ იდეალებს გვთავაზობს და ბევრი შეჰყავს შეცდომაში იმის მიუხედავად, რომ ხედავენ, რაც გუშინ სამაგალითოდ ითვლებოდა, მას დღეს დასცინიან და რასაც დღეს აქებენ, ხვალ შეიძლება დაიწუნონ.

სწორად მოიქცევი, თუ შეძლებ, იაზროვნო ისე და აკეთო ის, რაც მარადიული ცხოვრებისთვის იქნება სარგებლის მომტანი.

ამიტომაც, ორიენტირად ღმერთი და მისი ღირებულებები აირჩიე, იგია მხოლოდ უცვალებელი, ზედროული და ქვეშაირი. მიემსგავსე ლოტს, რომელიც ყველაზე მძიმე გარემოში, სოდომში, ცხოვრობდა, მაგრამ უფლის მცნებას არ ღალატობდა.

ამას შენც შეძლებ, თუ მუდმივად უფალს დაეყრდნობი და მისი მცნებებით იმოქმედებ. ეკლიანია ეს გზა, მაგრამ თან ახლავს სიხარული განსხვავებული, რომელიც ყველა განსაცდელს, ყველა სირთულეს ადვილად დაგვაძლევინებს, ზოგს შეუმჩნევლადაც, იმის მსგავსად, როგორც ჭანსად სხეულში შეუმჩნევლად მიმდინარეობს სხვადასხვა ურთულესი პროცესი.

შენ ხარ მონოდებული, რათა იყო შემოქმედის თვალშეუდგამი ნათლის თანაზიარი; მთელი სამყარო, როგორც ცოცხალი წიგნი, შენს წინაშეა გადაშლილი და ქადაგებს ყოვლადწმიდა სამების დიდებას. სიყვარულით გვიმზერს ბეთლემს შობილი ყრმა იესო, თავისკენ გვიხმობს და მოგვიწოდებს:

აირჩიე სიცოცხლე, აირჩიე ნეტარი მარადიულობა!

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, ასირიელნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურ-



თნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენო, ლეკნო, ყოველნო შვილნო ივერიის ეკლესიისა, - იხარებდით, რამეთუ ღმერთი გამოჩნდა დღეს ხორციით; აქებენ მოგვნი, მწყემსთა თანა განკვირვებულნი, შობასა მისსა ქალწულისაგან და დიდებასა შესწირვენ ანგელოზთა გუნდთა თანა (იოანე მტბე-ვარი).

ჩვენც ანთებული სანთლით კრძალვით მივეახლოთ მას და სიხარულით ღაღადვყოთ:

დიდება ძალსა შენსა, მხსნელო ყოველთაო!

დიდება და მადლობა შენდა, საღმრთოთა მადლითა სოფლისა აღმავსებელო!

დიდება შენდა, სასოებაო ჩვენო, დიდო მღვდელმთავარო, მეფეო და ღმერთო ჩვენო!

თქვენთვის მარადჟამს სიყვარულით მლოცველი

## **ილია II**

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

## ეკონომიკური თეორია ♦ ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY ♦ ECONOMIC POLICY

### საზიარო ეკონომიკა და მისი როლი საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაში

#### ვლადიმერ ბასარია

ასოციირებული პროფესორი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
vladimerbasaria@yahoo.com

სტატიაში ყუხადლება გამახვილებულია საზოგადოებრივი დოვლათის სპეციფიკუხ ხასიათსა და ოპტიმალური მოცულობით მის საყოველთაო სახგებლიანობაზე; სახელმწიფოს მიეხ საზოგადოებრივი პროდუქტის წახმობის აუცილებლობის მიზეზებზე; კეხდო სექტორის ხოღზე საზოგადოებრივი დოვლათ-სიკეთის შექმნაში და ციფხური ტექნოლოგიის განვითარების შედეგად ამ ხოღის ამალღებაზე. ასევე განხიღლია ეხთობღივი მოხმარების თანამეღხოვე მოღელის განვითარების ძიხითადი ფაქტორები, ტენდენციები და პეხსპექტივეები; განმარგებულია პოპულარული ტეხმინი „საზიარო ეკონომიკა“ (sharing economy) და მოყვანიღლია ეხთობღივი მოხმარების თანამეღხოვე კონცეფციის წახმოშობის ზოგიეხთი ისტორიული ასპექტი; შეფასებულია საზიარო ეკონომიკის მნიშვნელობა თანამეღხოვე საზოგადოებრივი დოვლათ-სიკეთის წახმოების საქმეში; გამოვღენიღლია ეხთობღივი მოხმარების თანამეღხოვე მოღელთან დაკავშირებული მოღოღინები და განადიღებულია საზიარო ეკონომიკის კიღიკა; გაკეთებულია დასკვნები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარზე - ხეღი შეუწყოს მოხმარებისათვის სასარგებლო (ხაციონარული, მოგებიანი) საზოგადოებრივი დავლათის წახმოებას კეხდო სექტორში და ეეკომენღებულია აღნიშნულ პროცესზე სამეცნიეხო წიხის და ხეღისუფღების წახმოადგენღების მხიღდან ყუხადლების გამახვიღება.

**საკვანდო სიგყვები:** საზოგადოებრივი დოვლათი, ეხთობღივი მოხმარება, საზიარო ეკონომიკა, უბეიზაცია.

**JEL Codes:** H40, H41, H44

## შესავალი

საერთო სარგებლობის საქონელ-მომსახურების წარმოების გარეშე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელი რომაა, შეიძლება ითქვას,სრული ჭეშმარიტებაა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სოციალური (უფასო) მედიცინა და განათლება შეჭირვებული ფენისთვის კი არაა სასარგებლო მხოლოდ, არამედ სიკეთეა მთელი საზოგადოებისთვისაც (რაც უფრო განათლებულია და ჯანმრთელი მოსახლეობა, მით უფრო მწარმოებლურია ის, მით უფრო უსაფრთხო და კომფორტულია ასეთ საზოგადოებაში ადამიანების ცხოვრება).საზოგადოებრივი პროდუქტის განსაკუთრებული და საყოველთაო მნიშვნელობის თვალსაჩინო მაგალითია ეროვნული თავდაცვისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის ორგანიზების, კულტურის ძეგლების მოვლა-რესტავრაციის, ეროვნულ ტყე-პარკებსა და სუფთა ჰაერზე ზრუნვის აუცილებლობა და ა.შ.

ადამიანების კომფორტული პირობების უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებისა და მიწოდების საკითხებზე ბევრს კამათობენ, თუმცა დისკუსია იმის თაობაზე კი არაა, რამდენად აუცილებელია ასეთი პროდუქტი საზოგადოებისათვის, არამედ ძირითადად იმაზე, თუ რომელი პროდუქტის მიწოდებაა ოპტიმალური საზოგადოებისათვის და რა მოცულობით; როგორი უნდა იყოს მისი კუთრი წონა მთლიანი პროდუქციის წარმოება-მოხმარებაში და ა.შ.

ეკონომიკური თეორიის პოპულარული თების თანახმად, თავისუფალი ბაზარი არ არის დაინტერესებული სოციალურად ორიენტირებული ისეთი პროდუქციის წარმოებით, რაც მოგების მიღებას არ გულისხმობს. შესაბამისად, საზოგადოებრივად საჭირო დოვლათის მოცულობის განსაზღვრა და მისი წარმოება - მიწოდების ორგანიზება სახელმწიფომ (საზოგადოებამ) უნდა იკისროს.

მართალია, საზოგადოებრივი დოვლათის ცნება არ გულისხმობს, რომ ის აპრიორი სახელმწიფოს თუ მუნიციპალური მთავრობის მიერ მოქალაქეებისათვის მიწოდებული პროდუქტია მაინცდამაინც (ზოგიერთი საზოგადოებრივი ყაიდის საქონელ-მომსახურების მიწოდებას კერძო პირები ახდენენ, სახელმწიფო უწყებები კი მოქალაქეებს როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი პროდუქტის მიწოდებით უზრუნველყოფენ), თუმცა, საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში ძირითად როლს,

როგორც წესი, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ორგანოები, სახელმწიფო დანიშნულების საწარმოები, დაწესებულება-ორგანიზაციები ასრულებენ (Ахинов Г.А, Жильцов Е.Н.2 012, 14.). ამასთან, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ობიექტური რეალობა, სულაც არაა გამორიცხული, ციფრული ეკონომიკის სწრაფი განვითარების კვალობაზე პერპექტივაში გარკვეულწილად შეიცვალოს კიდეც.

### **ერთობლივი მოხმარების თანამედროვე კონცეფცია**

საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრესი და გლობალური ქსელის ფართო გავრცელება ადამიანებისთვის აქამდე უცხო, ახალი სახეობის საზოგადოებრივი დოვლათ-სიკეთის სულ უფრო მეტი მოცულობით წარმოებას განაპირობებს. შესაბამისი ინტერნეტპლატფორმის მეშვეობით, ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების განწვევის გარეშე დღეს ნებისმიერ მსურველს (პროდუქტის არაკონკურენციული ხასიათის მოხმარებაში სხვისი გამორიცხვის შეუძლებლობა საზოგადოებრივი პროდუქტისთვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშან-თვისებაა) შეუძლია მგზავრთა გადაყვანის სერვისით ისარგებლოს (უცხოეთში მომხმარებლებს ასეთ მომსახურებას სთავაზობენ კომპანიები Lyft, BlaBlaCar, საქართველოში - damemgzavre.ge) და დანიშნულების ადგილას სრულიად უფასოდ მივიდეს (ამ მომსახურებისთვის საფასურის გადახდა სავალდებულო არაა - მძღოლები ხშირად კეთილ ნებას გამოხატავენ და წინასწარ განსაზღვრულ მარშრუტზე დამგზავრების მსურველებს ტრანსპორტით მომსახურებას უსასყიდლოდ სთავაზობენ). ყველასთვის ხელმისაწვდომი ონლაინ-სერვისების დახმარებით, უკვე თავისუფლადაა შესაძლებელი საკუთარი შინაური ცხოველის გარკვეული დროით მოსავლელად დატოვება რომელიმე ვოლონტიორისთვის (DogVacay). შესაბამისი ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენებით, ადამიანებს სტუმრად უფასოდ სადილობისა და სხვისი გამასპინძლების საშუალება აქვთ (EatWith); ინტერნეტ-გვერდების ფართო არჩევანი საზოგადოებას ტანსაცმლის, საკვების, სამშენებლო მასალის თუ სხვა ნივთების გაჩუქება-გაცვლის შესაძლებლობას აძლევს და ა.შ.

კერძო სექტორში განხორციელებული ამგვარი პროექტების რიცხვი დღით-დღე მატულობს, რაც განპირობებულია მომხმარებლების მზარდი სურვილით - დროებით ისარგებლონ მესაკუთრეების მიერ გა-

მოუყენებელი და ონლაინპლატფორმებზე კაპიტალიზებული ქონებით, ნაცვლად ამ ქონების შექენისა. ადამიანების ასეთ სამეურნეო ქცევა-ურთიერთობებზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელი sharing economy-ს (საზიარო ეკონომიკის) ტერმინით არის ცნობილი.

შეიძლება ითქვას, რომ შინაარსობრივად sharing economy იგივეა, რაც დოვლათის ერთობლივი მოხმარების (collaborative consumption) ეკონომიკური მოდელი, რომელიც საქონელ-მომსახურების კოლექტიურად გამოყენებას, ბარტერს ან იჯარას გულისხმობს<sup>1</sup>, და სწორედ იმ მთავარ მოსაზრებას ეფუძნება, რის მიხედვითაც საჭირო პროდუქტით დროებით სარგებლობა ეკონომიკური თვალსაზრისით ადამიანებისთვის უფრო მოგებიანია (რაციონალურია, ხელსაყრელია), ვიდრე ამ პროდუქტის დასაკუთრება.

ავტორიტეტული საერთაშორისო აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანია „PricewaterhouseCoopers“-ის მონაცემებით, დღეისათვის საზიარო ეკონომიკაში აშშ-ის ზრდასრული მოსახლეობის 19%-ზე მეტი პირი ღებულობს მონაწილეობას. ამავე წყაროზე დაყრდნობით, sharing economy-ს მოდელს უპირატესობას ანიჭებენ 18-24 წლის ასაკის ახალგაზრდები, ასევე ის შინამეურნეოები, რომელთა წლიური შემოსავალი 50-75 ათ. დოლარს შეადგენს და პირები, რომლებიც 18 წლამდე ასაკის ბავშვებთან ერთად ცხოვრობენ (*The Sharing Economy. Consumer Intelligence Series. PwC.* // URL: //https://bit.ua/2020/10/5-trendiv-sharing-economy/).

ერთობლივი მოხმარების ეკონომიკური მოდელი კაცობრიობისათვის სიახლე ნამდვილად არ არის. ციფრული პლატფორმის გამოჩენამდე საქონელ-მომსახურების კოლექტიურად გამოყენებისათვის განკუთვნილი იყო ნივთებისა თუ აღჭურვილობის გაქირავების სხვადასხვაგვარი პუნქტები, ე.წ. second-hand-ები, ბიბლიოთეკები და სხვ. თუმცა, საზოგადოების პრაქტიკულად ყველა სფეროს ინფორმატიზაციის თანამედროვე პირობებში ამ მოდელმა განვითარებისათვის ახალი სტიმული მიიღო და თვისებრივად შეცვალა ეკონომიკურ აგენტებს შორის სამეურნეო ურთიერთობების ხასიათი, რაც ძირითადად ტრანსაქციური დანახარჯების მკვეთრად შემცირებით გამოიხატა - შუამავლების ჩარევის გარეშე დღითიდღე სულ უფრო მეტი საქონელ-მომსახურება ნაწილდება ბაზრის მონაწილეებს შორის.

1 საიჯარო ურთიერთობების სპეციფიკას, ალბათ, უფრო უკეთ ეკონომიკური ტერმინი “access economy” („წვდომის ეკონომიკა“) ასახავს (ავტ.).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტები საზიარო ეკონომიკას განსაზღვრავენ, როგორც ონლაინ-პლატფორმის ბაზაზე წარმოებულ ეკონომიკურ საქმიანობას, რაც ეფუძნება არასრულად (არასაკმარისად) გამოყენებული აქტივების ერთობლივ მოხმარებას (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) თანაბარი სტატუსის მქონე პირების მიერ (*How much is the sharing economy worth to GDP? // URL: <https://www.weforum.org/agenda/2016/10/what-sthe-sharing-economy-doing-to-gdp-numbers/>*).

რამ განაპირობა XXI საუკუნეში კაპიტალიზმის წიაღში კოლექტიური მოხმარების ეკონომიკური მოდელის განვითარება?

შეიძლება ითქვას, რომ sharing economy-ზე უდიდესი გავლენა იქონია საზოგადოების ფენებს შორის კაპიტალის განაწილების არსებულმა მდგომარეობამ. მდიდრებსა და ძალიან ღარიბებს შორის ბოლო პერიოდში უკიდურესად გაზრდილმა ქონებრივმა უთანასწორობამ ადამიანები, ფაქტობრივად, ორ ბანაკად დაჰყო: ერთ მხარეს საზოგადოების ის ნაწილია, რომელსაც დოვლათის შექმნა (დასაკუთრება) მისი გამოყენების ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეუძლია; მეორე მხარეს კი საზოგადოების ის ნაწილი აღმოჩნდა, რომელიც იძულებულია, საქონელ-მომსახურებით მხოლოდ საჭიროებისას ისარგებლოს. მზარდი ქონებრივი დისბალანსის გამომწვევ ეკონომიკურ ფაქტორებს ფსიქოლოგიურიც დაემატა - თანამედროვე სოციუმი ხომ მატერიალური სიკეთეების მასობრივი (ხშირად უსარგებლო) მოხმარებითა და შესაბამისი ფასეულობების ფორმირებით ხასიათდება ძირითადად.

ერთობლივი მოხმარების თანამედროვე კონცეფცია სულ რაღაც ათიოდე წლის წინ შემოგვთავაზეს ეკონომისტებმა რეიჩელ ბოტსმანმა (Rachel Botsman) და რუ როჯერსმა (Roo Rogers) თავიანთ ნაშრომში "What's mine is Yours: The Rise of Collaborative Consumption" („რაც ჩემია, შენიცაა: ერთობლივი მოხმარების ზრდა“).

2010 წლის ივნისის თვეში TED-ის სახელწოდებით (**T**echnology, **E**ntertainment, **D**esign) ცნობილი აშშ-ს კერძო არაკომერციული ფონდის მიერ გამართულ მორიგ კონფერენციაზე (რომლის მისია უნიკალური იდეების გავრცელებაა უმთავრესად) რეიჩელ ბოტსმანმა ვრცლად ისაუბრა ახალ სოციალურ-ეკონომიკურ მოდელზე, რაც, მისი ხედვით, მომავალში რადიკალურად შეცვლის საქონელ-მომსახურების მოხმარების ტრადიციულ მეთოდს. მისი აზრით, ადამიანები, ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად

აცხადებენ უარს იმ ქონების ექსკლუზიურად დასაკუთრებაზე, რისი დროებით გამოყენების შესაძლებლობა გააჩნიათ, ამგვარ ქცევას კი მათთვის მეტი სარგებელი მოაქვს. ამის დასასაბუთებლად რეიჩელ ბოტსმანს ხელის ელექტრობურღის მოხმარების მარტივი მაგალითი მოჰყავს (Tagarov B.Z. 2019, 146) ამ ხელსაწყოში ადამიანები არც თუ მცირე თანხას იხდიან და ხშირად იმისათვის შეიძენენ მხოლოდ, რომ საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში 10-15 წუთით გამოიყენონ და რამდენიმე ნახვრეტი გააკეთონ. „კედლის გახვრეტა კი ყველას სჭირდება“, ხუმრობით დასძენს ქ-ნი ბოტსმანი, რითაც არასრულად (არასაკმარისად) გამოყენებული ქონების გაქირავება-დაქირავების საერთო სარგებლიანობაზე სამართლიანად მიგვანიშნებს.

ერთობლივი მოხმარების მოდელში ნივთებისა თუ აღჭურვილობის მოგებიანად (სარგებლიანად) გამოყენების მნიშვნელოვანი რეზერვი მართლაც რომ არსებობს. ამაზე ის ეკონომიკური ეფექტი მეტყველებს, რომელიც ე.წ. “carsharing”-ის (მსუბუქი ავტომობილების სხვისთვის გადაცემა) და “carpooling”-ის (სატრანსპორტო საშუალებებში თავისუფალი ადგილების ერთობლივად გამოყენება) სახელწოდებით ცნობილ თანამედროვე პროექტებში მესაკუთრეებსა (მეიჯარეებსა) და მგზავრებს (მოიჯარეებს) შორის დამყარებული მეურნეობრივი კავშირების კვალობაზე მიიღწევა: ამ ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად მცირდება ავტოტრანსპორტის დაყოვნების (დგომის, გამოუყენებლობის) დრო და იზრდება სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის საერთო სარგებლიანობა, რაც გადაადგილებისათვის ავტოტრანსპორტის გამოყენებას ოპტიმალურს ხდის.

აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით “carpooling”-ი გაცილებით უსაფრთხოა ტრანსპორტით გადაადგილების სხვა მეთოდებთან შედარებით: ერთობლივი მგზავრობის შედეგად საგრძნობლად მცირდება ჰაერში გამონაბოლქვის ოდენობა, მნიშვნელოვნად განიმუხტება საგზაო საცობები, სულ უფრო ნაკლები ადგილი გამოიყოფა ავტომანქანების პარკირებისათვის და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ “carsharing”-ის განვითარებამ გარკვეული გავლენა იქონია შინამეურნეობების გადანყვეტილებებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების შექმნასა და გაყიდვასთან დაკავშირებით. მაგალითისათვის, ლონდონში “carsharing”-ით მოსარგებლე პირებს შორის ჩატა-



რებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 33%-მა საერთოდ გადაიფიქრა ავტომობილის შეძენა, ხოლო 6%-მა კი უახლოეს პერიოდში საკუთარი მანქანის გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო; ჩინეთში განხორციელებული სოციალური კვლევების მიხედვით, “carsharing“-ის მომხმარებელთა 50%-ზე მეტმა პირადი ავტომანქანის შეძენის გადაწყვეტილება მომავლისთვის გადადო. ამავე თემაზე გამართული ერთ-ერთი გამოკითხვის საკმაოდ საინტერესო შედეგებს ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზეა ასახული (*Ipsos views*).

თუ ჩავთვლით, რომ საკუთრებისადმი დამოკიდებულების ცვლილებას მომხმარებლისათვის დამატებითი სარგებლის მოტანა შეუძლია (მაგალითისათვის, იმავე “carsharing“-ის სერვისით მოსარგებლე პირი მანქანის მოვლა-მომსახურებასთან დაკავშირებულ დროსა და ფულად სახსრებს სოლიდურად ზოგავს), ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ამ ტრანსფორმაციის კვალობაზე მთლიანად საზოგადოებისათვის მიღწეული რაციონალურობა-სარგებლიანობის შთამბეჭდავ შედეგებზე მოწმობს.


### „უბერიზაცია“

ტრადიციული კაპიტალისტური მოდელიდან („ფირმა - მომხმარებელი“) ციფრულ სერვისებზე დაფუძნებული საქონელ-მომსახურების ერთობლივი მოხმარების მოდელზე გადასვლის პროცესს (ზოგიერთი ეკონომისტი მოვლენებს ამგვარადაც აფასებს) ხშირად „უბერიზაციის“ ტერმინითაც მოიხსენიებენ. ამ ტერმინის წარმოშობა უკავშირდება ამერიკული კომპანიის Uber-ის ფუნქციონირებას, რომელიც ამავე დასახელების მობილური აპლიკაციის მეშვეობით პრაქტიკულად საერთაშორისო მასშტაბით<sup>1</sup> ახორციელებს მომხმარებლისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძიება-გამოძახებას (უფრო ზუსტად, ეს ფირმა ტრანსპორტით მომსახურების შესახებ კლიენტების მოთხოვნის ციფრულ გადამისამართებას ახორციელებს კერძო ტაქსის იმ მძღოლებისათვის, რომლებიც კომპანიის აპლიკაციით სარგებლობენ) (*Leslie Hook. Review – ‘The Sharing Economy’, by Arun Sundararajan ((registration required)) // Financial Times. – 2016. – June 2016*).

---

1100 მლრდ. დოლარის ღირებულების კომპანია Uber-ი დღეისათვის 70-ზე მეტ ქვეყანაში ოპერირებს.





Uber-ის პრინციპით დღეს უკვე საკმაოდ ბევრი ფირმა საქმიანობს საქონელ-მომსახურების წარმოების სხვადასხვა სფეროში: ყოველწლიურად 100 მლნ-ზე მეტი მომხმარებელი სარგებლობს კომპანია Airbnb-ის სერვისით, რომლის ინტერნეტ-პლატფორმაზე ადამიანებს მათ ქვეყანაში მოგზაურების მსურველებისათვის საკუთარი საცხოვრებლის შეთავაზება შეუძლიათ; 150 მლნ-ზე მეტი აქტიური მომხმარებელი სარგებლობს eBay-ის უმსხვილესი ონლაინ-აუქციონით, სადაც პრაქტიკულად ნებისმიერი საქონლის ყიდვა-გაყიდვაა შესაძლებელი მსოფლიო მასშტაბით; კომპანია Stripe-ის ტექნიკური და საბანკო ინფრასტრუქტურის მეშვეობით 43 ქვეყანაში ყოველწლიურად ასობით მლრდ დოლარის ონლაინ-გადახდები წარმოებს და ა.შ.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო წრეებში ხშირია დავა იმის თაობაზე, უნდა განიხილებოდეს თუ არა sharing economy-ს მოდელის ფარგლებში ზემოთ მოყვანილი კომპანიების მომსახურება (Жидков А.С. 2017, 52). კამათს ძირითადად ის იწვევს, რომ ხსენებული ფირმების მიერ ინიცირებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში დოვლათის კოლექტიურად გამოყენების მიმართულებას ტრადიციული მეურნეობ-

რივი კავშირებისათვის დამახასიათებელი მომსახურების კომერციული ტრენდი გადაფარავს (როგორც წესი, ეს კომპანიები თითოეული გარიგებიდან გარკვეულ საკომისიოს ღებულობენ).

### **ერთობლივი მოხმარების თანამედროვე მოდელთან დაკავშირებული მოლოდინები და საზიარო ეკონომიკის კრიტიკა**

მიუხედავად ზემოგანხილულთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობრივი პოზიციებისა, ბევრი სპეციალისტი თანხმდება იმაზე, რომ დღეს ჩვენ რაღაც ახალი (უფრო ჰიბრიდული) ტიპის მეურნეობრივი კავშირურთიერთობების განვითარების პროცესის მომსწრენი ვხდებით, რამაც შესაძლოა თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმირებაზეც კი იქონიოს გარკვეული ზეგავლენა. ასეთი ცვლილებებისადმი ოპტიმისტურად განწყობილი ეკონომიკის ექსპერტები და სწავლულები იმედოვნებენ, რომ ადამიანები სულ უფრო ნაკლებად გახდებიან ქონებაზე დამოკიდებულები და განკარგვაში მის მუდმივად ფლობას - ნივთის საჭიროებისას გამოყენებას ამჯობინებენ, რაც უდავოდ წაადგება ინვესტიციების ზრდას. გარდა ამისა, უფრო ეფექტიანად და რაციონალურად იქნება გამოყენებული შეზღუდული რესურსები; ტრანსაქციური დანახარჯების შემცირება მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ფასებით საქონელ-მომსახურების არჩევანის გაფართოების წინაპირობა გახდება; ადამიანებს შორის ამაღლდება ნდობის ხარისხი და გაიზრდება კომუნიკაციის დონე; საგრძნობლად შემცირდება გარემოზე მავნე ზემოქმედებით გამოწვეული ნეგატიური შედეგები; თანდათანობით განიტვირთება მსხვილი ქალაქები, რაც, თავის მხრივ, მთელ რიგ სასიკეთო ცვლილებას მოიტანს და ა.შ. გასაგებია, რომ ისევე როგორც ნებისმიერი წინააღმდეგობრივი მოვლენა, დოვლათის ერთობლივი მოხმარების ეკონომიკის თანამედროვე მოდელიც სამართლიან კრიტიკას იწვევს ხშირად. სკეპტიკოსები ყურადღებას ძირითადად იმაზე ამახვილებენ, რომ საზიარო ეკონომიკამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას შრომის ტრადიციულ ბაზრებს, შეამციროს ხელფასის საერთო დონე, დაასუსტოს პროფკავშირების როლი და გავლენა. ზოგიერთი კრიტიკოსი რადიკალურ შეფასებებებსაც არ ერიდება:

- „საავტომობილო ბიზნესი ფარგლებს მიღმა sharing economy დიდად არ ახდენს გავლენას ადამიანების საკუთრებასთან დამოკიდებუ-

ლებაზე. მომხმარებლობა არ კნინდება, კაპიტალიზმი სახეცვლილებას არ განიცდის“. (ავტორიტეტული ონლაინგამომცემლობა Vox);

- „მეგობრებო, არავინ არაფერს უარყოფს სხვას. ტერმინმა sharing economy მხოლოდ გარკვეული კაშკაშა ნათება შექმნა Airbnb და Uber-ის მსგავსი კომპანიების გარშემო, სხვა დატვირთვა მას უბრალოდ არ გააჩნია...ასეთ კომპანიებს რედაქციაში „დაკვეთის სერვისებად“ მოვიხსენიებთ: ისინი ეხმარებიან ადამიანებს, მაგალითისათვის, დამლაგებლის მოძიებაში ისეთ დროს, როდესაც ეს მათ სჭირდებათ. ესაა სამომხმარებლო მოთხოვნის დაკმაყოფილებისადმი ახლებური მიდგომა, და ნუ მოვიტყუებთ თავს, თითქოს, კაპიტალიზმთან საქმე არ გვაქვს“, წერს ჟურნალი Wired.

უნდა აღინიშნოს, რომ მსპ-ზე ერთობლივი მოხმარების ეკონომიკის გავლენა მართლაც არაერთგვაროვანია, რაც გარკვეულწილად ართულებს sharing economy-ს სარგებლიანობის განსაზღვრას: ერთი მხრივ, შინამეურნეობები ქმნიან დამატებულ ღირებულებას, რასაც მსპ-ის ზრდა მოჰყვება, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთობლივი მოხმარება საქონელ-მომსახურების შექმნაზე მოთხოვნას ამცირებს, რაც წარმოების ვარდნას და მსპ-ის კლებას იწვევს.

ამასთან, უტყუარი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საზიარო ეკონომიკა საზოგადოებრივი დოვლათ-სიკეთის სულ უფრო მეტი მოცულობით წარმოებას განაპირობებს, საკმაოდ სწრაფი ტემპებით იკიდებს ფეხს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში და ეროვნული მეურნეობრიობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცევა:

- ჩინეთში, რომელიც ერთობლივი მოხმარების ეკონომიკის მსოფლიო ლიდერადაა აღიარებული, 2025 წლისათვის მსპ-ში sharing economy-ს წილის 20%-მდე ზრდაა მოსალოდნელი;

- ევროპაში აღნიშნული სეგმენტის ზრდას უახლოესი 10 წლის მანძილზე ყოველწლიურად 35%-ის ფარგლებში ვარაუდობენ;

- „PricewaterhouseCoopers“-ის მონაცემებით, საზიარო ეკონომიკის მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 2025 წლისთვის შესაძლოა 350 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწიოს.

სტატიის დასასრულს ერთი საინტერესო და მეტად ნიშანდობლივი ინფორმაცია: ორგანიზაცია “Timbro“-ს მიერ ერთობლივი მოხმარების ეკონომიკის სიდიდის შესახებ შედგენილ რეიტინგში საქართველო მსოფლიოს 213 ქვეყანას შორის 28-ე პოზიციაზე იმყოფება (Timbro. // URL: <https://timbro.se/ekonomi/timbro-sharing-economy-index/>). თუმცა, ამ მიმართულებით ბევრი ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვი არსებობს.

## დასკვნები და რეკომენდაციები

საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში ძირითად როლს სახელმწიფო ასრულებს, თუმცა, ციფრული ეკონომიკის სწრაფი განვითარების შედეგად ამ ქეშმარიტებამ პერსპექტივაში შესაძლოა გარკვეული კორექტივები განიცადოს;

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესი საშუალებას აძლევს მომხმარებელს ხეირიანად (მოგებიანად, რაციონალურად) ისარგებლოს სრულიად ახალი ტიპის საქონელ-მომსახურებით, რაც, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ნაცვლად კერძო სექტორშია წარმოებული, საზოგადოებრივი დოვლათისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა;

- ერთობლივი მოხმარების თანამედროვე მოდელი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში (მ.შ. ჩვენთანაც) სწრაფი ტემპებით ვითარდება, ამიტომ ამ პროცესზე გამუდმებული დაკვირვება, მისი სიღრმისეული მეცნიერული გამოკვლევა და საფუძვლიანად შესწავლა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

### ლიტერატურა:

- Ахинов Г.А., Жильцов Е.Н. (2012). Экономика общественного сектора. – М.: ИНФА–М.
- Жидков А.С. (2017). Концепция общественного блага и развитие сферы услуг. Вестник МУ им. С.Ю. Витте. Серия 1. Экономика и управление • № 4 (23).
- Leslie Hook (2016). Review – ‘The Sharing Economy’, by Arun Sundararajan ((registration required)) // *Financial Times*. – 2016.
- Tagarov B.Z. (2019). The Specifics of Sharing Economy and Conditions of its Development. ECO. No. 7. pp. 140-155. (In Russ.). DOI: 10.30680/ ECO0131-7652-2019-7-140-15
- Timbro. // URL: <https://timbro.se/ekonomi/timbro-sharing-economy-index/>.
- The Sharing Economy. Consumer Intelligence Series. PwC. // URL: <https://bit.ua/2020/10/5-trendiv-sharing-economy/>.
- World Economic Forum. How much is the sharing economy worth to GDP? // URL: <https://www.weforum.org/agenda/2016/10/what-sthe-sharing-economy-doing-to-gdp-numbers/>.

## SHARING ECONOMY AND ITS ROLE IN THE PRODUCTION OF PUBLIC WEALTH

**Vladimer Basaria**

Associate professor  
Sokhumi State University  
vladimerbasaria@yahoo.com

*The article discusses the specific nature of public good and its general benefit in optimal volumes; the reasons for the need to produce a public product by the state; the role of the private sector in creating a public product and enhancing this role because of the development of digital technology. The article also discusses the main reasons, trends and prospects for the development of a modern model of collaborative consumption; defines the popular term “sharing economy” and provides some historical aspects of the origins of the modern concept of collaborative consumption; assesses the value of the sharing economy in the production of modern public goods; reveals the expectations associated with collaborative consumption and analyzes criticism of the sharing economy; conclusions about the ability of information and communication technologies to promote the production of useful (rational, profitable) public goods for consumers in the private sector and it is recommended that the scientific community and government officials pay attention to this process.*

**Keywords:** public goods, collaborative consumption, sharing economy, carsharing, carpooling, uberisation

**JEL Codes:** H40, H41, H44

### Introduction

It's the absolute truth, that the development of society without the production of public goods is impossible. It is widely acknowledged that public medicine and education are not just beneficial to the poor, but also to whole

society (the more educated and healthier a society is, the more productive it is in the long run, and the safer and more comfortable the people's lives are in such a society). The need to organize national defense and public order, the maintenance of cultural monuments, the need to care for national forest parks and fresh air, and so on are all examples of the universal importance of public goods. There is much debate about the production and delivery of public goods to ensure a comfortable environment for people, although there is no discussion as to whether such a product is necessary for society, but rather about which product is optimal for society and to what extent and what share of total goods production and consumption it should have.

According to the popular thesis of economic theory, the free market is not interested in organizing the production of socially oriented products that do not involve profit, therefore, the state (society) should take responsibility for determining the amount of publicly needed goods, as well as their production and supply.

It is true that the notion of public goods does not imply that it is a product supplied to citizens by the state or municipal government (some public goods are supplied by private individuals, while government agencies provide citizens with both private and public products), however the main role in creating a public product is usually played by state and municipal government bodies, state-owned enterprises, institutions and organizations (G.A. Akhinov, E.N. Jiltsov, *Public sector economics – M.: INFA-M., 2012, 14*). At the same time, it should be noted that this objective reality may change in the future due to the rapid development of the digital economy.

### **Modern Concept of Collaborative Consumption**

The progress of information technology and the widespread of the global network causes an increase in the production of useful public goods for people. Through the relevant internet platform, without any additional costs, anyone can use the passenger transfer service and get to the destination completely free of charge (Such services are offered to customers abroad by companies Lyft, BlaBlaCar, in Georgia - damemgzavre.ge. It is not necessary to pay for this service; drivers frequently demonstrate goodwill It's not necessary to pay for this service; drivers often demonstrate good will and offer transportation

services free of charge to those wishing to travel on a predetermined route); with the help of online services available to everyone, it is now free to leave your pet for a while for any volunteer (DogVacay); using the relevant internet platforms, people have the opportunity to have a free dinner and host someone by themselves (EatWith). The wide selection of websites allows the public to donate clothes, food, building materials or other items, etc.

The number of such projects implemented in the private sector is growing day by day, which is due to the growing desire of consumers to temporarily use unused and capitalized property on online platforms, rather than buying this property.

The economic model based on such economic behaviors of people is known as sharing economy. It can be said that in terms of content sharing economy is the same as the economic model of collaborative consumption of wealth, which involves the collective use of goods, services, barter or lease<sup>1</sup> and is based on the main view that temporary use of the required product is more economically profitable (rational, advantageous) for people than owning this product.

According to “PricewaterhouseCoopers”, a reputable international auditing consulting firm, more than 19% of the US adult population now participates in the sharing economy. The same source claims that the sharing economy model is preferred by young people aged 18-24, as well as those households with an annual income of 50-75 thousand US Dollars and individuals living with children under 18 years of age (*The Sharing Economy. Consumer Intelligence Series. PwC. // URL: //https://bit.ua/2020/10/5-trendiv-sharing-economy/*).

პანდემიით გამოწვეული ცვლილება და გაუჩვევლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების ედემენტების შეფასებაზე. მიუხედავად ამისა, თითოეულმა საწახმომ უნდა უზრუნველყოს ყველა ამ საკითხების მიმახთ **ფასს** (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი) შესაბამისი მოთხოვნების გამოყენება.

სტაგიაში ხაზგასმულია ზოგიერთი გამოწვევა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, პანდემიით გამოწვეული გაუჩვევლობების პირობებში.

**საკვანძო სიგეები:** ფინანსური ანგარიშგება, ფუდარი ნაკადები, ახაფინანსური აქტივები, იჯახა, ხაჯები, მაჩაგები.

JEL Codes: E60, E62, P34

## შესავალი

ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მიერ 2020 წლის 29 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში, COVID 19-ის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მნიშვნელობის შესახებ, აღნიშნულია, რომ „განსაკუთრებით მზარდი გაურკვევლობის გარემოში, მნიშვნელოვანია, რომ ფინანსურმა ანგარიშგებამ უზრუნველყოს ადეკვატური ინფორმაციის გამჟღავნება, რომლის გამჭვირვალობის დონე გაურკვევლობებთან მიმართებაში დამოკიდებულია საწარმოს განსჯებასა და შეფასებებზე. ინფორმაციის გამჟღავნებამ უნდა ახსნას მნიშვნელოვანი გავლენა კონკრეტულ აქტივებზე, ვალდებულებებზე, ლიკვიდურობაზე, გადახდისუნარიანობასა და სხვა საკითხებზე, ისევე როგორც ნებისმიერი არსებითი გაურკვევლობა, დაშვება, სენსიტიურობა, სტრატეგიები, რისკები და სამომავლო პერსპექტივები. ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსური ანგარიშგებისა და მენეჯმენტის კომენტარების საშუალებით მნიშვნელოვანია ინვესტორების ინფორმირებისა და ნდობისთვის.“ (IOSCO)

საწარმოთა მიერ დროული და სანდო ინფორმაციის მიწოდება მისი მომხმარებლებისათვის რჩება კოვიდპანდემიის ერთ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად.

პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვევლობების გავლენა ეკონომიკაზე დიდად არის დამოკიდებული ცვლადებზე, რომელთა პროგნოზირება რთულია.

თითოეულმა საწარმომ უნდა შეაფასოს არსებული მაკროეკონომიკური გარემო, ამავდროულად საწარმოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ

გონივრული შეფასებების გასაკეთებლად, მოამზადონ ყოვლისმომცველი ინფორმაცია, რათა სწორად განსაზღვრონ ამგვარი შეფასებების საფუძველი და მის მომხმარებლებს მიაწოდონ სანდო ინფორმაცია მნიშვნელოვანი განსჯის და გამოყენებული ძირითადი დაშვებების შესახებ.

ამავე დროს საწარმოებმა, ყველა არსებული ინფორმაციის განხილვასთან ერთად, უნდა გაარკვიონ, დააკმაყოფილეს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით, მათ შორის ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენით“ გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნების ყველა მოქმედი მოთხოვნა.

COVID 19-ისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების ზემოქმედების შედეგად, საწარმოებმა უნდა განიხილონ, შეუძლიათ თუ არა, კონკრეტულ გარემოებებში, გააგრძელონ მიმდინარე საქმიანობა, საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე – 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტის შეფასება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის შესახებ, მოითხოვს პროფესიულ განსჯას დროის კონკრეტულ მომენტში მოვლენების ან პირობების არსებითად გაურკვეველი მომავალი შედეგების შესახებ, რითაც უზრუნველყოფილი იქნება **ბასს**(ბუღალტრული არღიცხვის საერთაშორისო სტანდარტი)**1-ის** „ფინანსური ანგარიშგების წარდგენის“ პრინციპი საწარმოს უწყვეტობის შესახებ.

საპროგნოზო ინფორმაციასთან დაკავშირებული გაზრდილი გამოწვევის ყველაზე ნათელი მაგალითია არაფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტირება (მაგალითად, ძირითადი საშუალებები, აქტივები სარგებლობის უფლებით, არამატერიალური აქტივები და გუდვილი). ამ აქტივების გაუფასურების ტესტი ხშირად მოითხოვს ფულადი ნაკადების პროგნოზირებას. დაფიქსირდა მრავალი ფინანსური აქტივის, განსაკუთრებით ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების მკვეთრი ვარდნა, რამაც თავის მხრივ ასევე, უარყოფითად იმოქმედა მოვალეთა უნარზე, დაეცვათ სესხების პირობები და მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტები. საწარმოებმა უნდა განიხილონ და გამოიყენონ შესაბამისი შეფასებისა და გაუფასურების ზარალის აღიარების მოთხოვნები.

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის შემცირებამ დღის წესრიგში დააყენა საწარმოთა არსებული კონტრაქტებისა და შეთანხმებების პირობების მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, თანამშრომლებთან კომპენსაციის შეთანხმების, იჯარის და მრავალი ფინანსური აქტივისა და ვალდებულების და ა შ, პირობების

ხელახალი გადახედვა. საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ ფასს-ის შესაბამისი მოთხოვნების დაცვა.

**კვლევის მიზანია** პანდემიით გამოწვეული ცვლილებებისა და გურკვევლობების გავლენის შეფასება ფინანსურ ანგარიშგების ელემენტებზე.

**კვლევის ამოცანებია** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეფასებებისა და დაშვებების კორექტირებების ასახვა, COVOD 19 პანდემიასთან დაკავშირებით IFRS -ში შეტანილი ცვლილებებისა და სარეკომენდაციო მასალების გათვალისწინებით.

**კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად** გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მეთოდური მითითებები, სარეკომენდაციო მასალები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, ნაბეჭდი და ინტერნეტში განთავსებული მასალები.

**კვლევის შედეგები.** პანდემიის პირობებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული შეფასებები და დაშვებები უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ განსჯას და იმგვარად უნდა იყოს კორექტირებული, რომ ის სრულად ასახავდეს ახალ ბიზნესგარემოს და ამავე დროს შეესაბამებოდეს ფასს-ის მოთხოვნებს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია მხოლოდ ძირითად მოთხოვნები და სახელმძღვანელო მითითებები ფინანსური ანგარიშგების შემდეგი ასპექტებისთვის: არსებითი განსჯა და შეფასებები, არაფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასება, იჯარა.

### **არსებითი განსჯა და შეფასებები**

პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა პირდაპირი გავლენა იქონია საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ბევრ მაჩვენებელზე. გაურკვევლობების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ზუსტი შეფასება და არსებული სიტუაციების გავლენის ასახვა ანგარიშგებაში. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული შეფასებები და დაშვებები იმგვარად უნდა იყოს კორექტირებული, რომ ის სრულად ასახავდეს ახალ ბიზნესგარემოს და ამავე დროს შეესაბამებოდეს ფასს-ის მოთხოვნებს.

შეფასებების შესამუშავებლად, საწარმოებმა უნდა განიხილონ მათ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია და ასევე გაარკვიონ, დააკმაყო-

ფილეს თუ არა ინფორმაციის გამჟღავნების ყველა მოქმედი მოთხოვნა, მათ შორის – ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, ე. ი. საწარმოებმა, ერთი მხრივ, უნდა მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებები დაშვებებსა და სანდო შეფასებებთან დაკავშირებით, მეორე მხრივ, სრულად უნდა დაიცვან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები.

არსებული და პოტენციური ინვესტორები საინვესტიციო გადაწყვეტილებას იღებენ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. არსებულ სიტუაციებში მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს პანდემია და მასთან დაკავშირებული გაურკვევლობები საწარმოზე და როგორი იქნება პანდემიით გამოწვეული კრიზისის გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე.

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება ეფუძნება ინფორმაციას მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ ფინანსურმა ანგარიშგებამ, მომხმარებლებს საშუალება უნდა მისცეს გაიგონ მიმდინარე და წარსული შედეგები და ჩამოაყალიბონ მოსაზრება მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ.

გლობალური ეკონომიკის უპრეცედენტო ჩაკეტვამ გამოიწვია ის, რომ რიგ კომპანიას არ შეუძლია გაყიდოს და მომხმარებლებს მიაწოდოს თავისი პროდუქცია და მომსახურება. წარმოების პროცესისა და მიწოდების ჯაჭვის შეფერხებამ, გამოიწვია მოხმარების (მოთხოვნის) შემცირება. ასეთ ვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს, მოქმედებს თუ არა დაშვება „ფუნქციონირებადი საწარმოს“ შესახებ. (Ernst & Young)

კორონოვირუსის პანდემიის პირობებში საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასების დროს გასათვალისწინებელია მისი აშკარა და სავარაუდო გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. მიმდინარე მოვლენებმა და პირობებმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს საწარმოს უნარზე, გააგრძელოს საქმიანობა. ცხადია, რომ პანდემიის გავლენა უფრო მნიშვნელოვანია მაღალი რისკის სექტორის კომპანიებისათვის, რომლებიც განიცდიან დაბალი მოთხოვნის, დაბალი გაყიდვების და დაბალი მარჟის ზენოლას. (Sabauri L, Kvatahidze N. 277)

უნყვეტი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის შეფასებისას, მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს საანგარიშგებო პერიოდის დასრუ-



ლების შემდეგ მოპოვებული ყველა არსებული ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია დაზარალებული ორგანიზაციების დასახმარებლად მთავრობისა და ბანკების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

იმისათვის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ადეკვატურად აისახოს ბიზნესის პირობების მომავალი გაურკვევლობები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური ანგარიშგების ფორმირებისა და დაინტერესებული მომხმარებლების, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელი პირების პროფესიულ განსჯას, რაც, განსაკუთრებით პანდემიის დროს, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება, დებიტორული დავალიანების, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, აგრეთვე ვალდებულებებთან დაკავშირებული კონტრაქტების საკითხები, შემოსავლების და ხარჯების აღიარება და ა.შ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე პანდემიის გავლენის ასახვის მეთოდოლოგია გარკვეულწილად შემუშავებული და ასახულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიმდინარე გამოცემებში, თუმცა კონკრეტული საწარმოებისათვის დამახასიათებელი გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელია პროფესიული განსჯა სხვადასხვა არსებით საკითხზე. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან შემოსავლებისა და აქტივების, აგრეთვე, შექმნილი რეზერვების ოდენობის გადაჭარბებით შეფასებამ შეიძლება მომხმარებლის ინტერესის უსაფუძვლოდ ზრდა ან შეამცირება გამოიწვიოს.

ასეთი პროფესიული მსჯელობა სრულად უნდა იყოს გამჟღავნებული ბასს 1-ის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაბამისად.

### **მარაგების თვითღირებულების განსაზღვრა**

პანდემიის შედეგად, ზოგიერთი საწარმო იძულებული გახდა გადაეხედა ბიზნესის წარმოების მეთოდებისთვის. მაგალითად, შეცვალა საქონლისა და მომსახურების მიწოდების გზები ან გადაინაცვლა ელექტრონულ კომერციაზე. სავარაუდოა, რომ ამ ცვლილებებმა შეიძლება გაზარდოს ხარჯები და გავლენა მოახდინოს მარაგის ღირებულებაზე.

მარაგის გადამუშავება მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რაც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, მა-



გალითად, პირდაპირი შრომითი დანახარჯები, რაც მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც განეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გადაქმნის, გადამუშავების პროცესში.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რაც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებით უცვლელი რჩება. ესენია: საწარმოო პროცესში გამოყენებული შენობებისა და მოწყობილობების ცვეთა და ექსპლუატაციის დანახარჯები, აგრეთვე წარმოების მართვისა და ადმინისტრირების დანახარჯები.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რაც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. ესენია, დანახარჯები დამხმარე მასალებსა და დამხმარე საწარმოო პერსონალზე.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრეს უწოდებენ წარმოების ისეთ დონეს, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით.

COVID 19-ის პანდემიამ შეიძლება მრავალმხრივი გავლენა მოახდინოს მწარმოებელ ობიექტებზე, მაგალითად, შექმნას მუშახელისა და მასალების დეფიციტი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წარმოების დონის არანორმალური შემცირება.

მწარმოებელმა სუბიექტებმა შეიძლება გადასინჯონ მუდმივი ზედნადები ხარჯების მიკუთვნების პრაქტიკა, თუ წარმოების მოცულობა წლის განმავლობაში არანორმალურად შემცირდება ქარხნების დახურვის ან მათ პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირების გამო.

ბასს 2 - „მარაგები“ მოითხოვს ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები წარმოებული პროდუქციის ერთეულზე განაწილდეს მათი ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, ასევე – მუდმივი საწარმოო ზედნადების ხარჯების განაწილებას წარმოების თითოეულ ერთეულზე, საშუალო საწარმოო სიმძლავრის საფუძველზე.

თუ წარმოების მოცულობა საშუალოზე დაბალია, საწარმოებმა არ უნდა გაზარდონ გამომუშავებულ ერთეულზე მიკუთვნებული ფიქსირე-

ბული (მუდმივი) ზედნადები ხარჯები. პირიქით, გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც ისინი წარმოიქმნება.

ამავდროულად, ზოგიერთი საქონლის წარმოების დონე, გადაჭარბებული მოთხოვნის გამო, შეიძლება იყოს არანორმალურად მაღალი. ასეთ შემთხვევებში, საწარმომ უნდა შეამციროს მუდმივი ზედნადები ხარჯების ოდენობა გამოშვებულ ერთეულზე ისე, რომ მარაგები არ შეფასდეს თვითღირებულებაზე მეტად.

საწარმომ ასევე უნდა განიხილოს შესაძლებელია თუ არა პანდემიის გამო გაწეული გარკვეული ხარჯების კაპიტალიზება, რომელსაც საწარმო სხვა შემთხვევაში არ გასწევდა. ეს შეიძლება მოიცავდეს მარაგების შენახვის ან ხელახალი შეფუთვის დამატებით ხარჯებს, რათა საქონელი ხელმისაწვდომი გახდეს სხვა, უფრო მაღალი მოთხოვნის ბაზარზე. იმის გამო, რომ ბასს 2-ის მიხედვით ასეთი დანახარჯები არ კაპიტალიზდება, საწარმომ განსჯის საფუძველზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოახდინოს ასეთი დანახარჯების კაპიტალიზება. ასეთ პირობებში საწარმოს მოეთხოვება აღნიშნული ინფორმაცია გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. (Ernst & Young)

ბასს 2-ის მიხედვით მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოების დასრულებისთვის საჭირო დანახარჯები ან გაყიდვის მოსალოდნელი დანახარჯები შეიძლება შეიცვალოს. გარდა ამისა, პანდემიის დროს და განსაკუთრებით მკაცრი ჩაკეტვის პერიოდში, შესაძლოა შეიცვალოს მომხმარებლის ქცევა. მაგალითად, აჭიოტაჟის პერიოდში პროდუქციის გარკვეულ სახეობაზე მოთხოვნა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს, ხოლო შემდეგ მოთხოვნა ისევ დაეცეს ან საერთოდ არ იყოს. ასევე შესაძლებელია საწარმოები მყიდველების მოსაზიდად იძულებულნი გახდნენ მიმართონ თავიანთ პროდუქტებზე ფასდაკლებების შეთავაზებას. ამ ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს გაყიდვის ფასების ცვალებადობა, რომელიც თავის მხრივ გავლენას მოახდენს ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შეფასებაზე.

რამდენადაც გაურკვევლობა გრძელდება, ნეტო სარეალიზაციო ღირებულების სავარაუდო შეფასება შეიძლება ექვემდებარებოდეს უფრო დიდ გაურკვევლობას, ვიდრე წარსულში და შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი მსჯელობა შესაბამისი დაშვებების დასადგენად. ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმოები შეიძლება იძულებული იყვნენ ჩამოწერონ თავიანთი მარაგები. მაგალითად, მალფუჭებადი საქონლის მწარმოებელი საწარმოები, შესაძლოა იძულებულნი გახდნენ მოახდინონ იმ საქონლის უტილიზაცია, რომლის შენახვა ან გაყიდვა ვერ შეძლეს. სხვა ერთეულებს შეიძლება დასჭირდეთ იმის დადგენა, უნდა ჩამოწეროს თუ არა მარაგები ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე, მათი მთლიანად ან ნაწილობრივ მოძველების ან მათი გასაყიდი ფასის შემცირების შემთხვევაში.

მარაგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, მათ შორის გამოყენებული თვითღირებულების ფორმულები, ეხმარება მომხმარებლებს გაიგონ, თუ როგორ აისახება ტრანზაქციები, მოვლენები და პირობები ფინანსურ ანგარიშგებაში. ერთეულებს, მინიმუმ, მოეთხოვებათ გაამჟღავნონ იმ მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად. გარდა ამისა, ერთეულებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია გარემოებების ან მოვლენების შესახებ, რამაც გამოიწვია მარაგის ჩამოწერა.

პანდემიის საპასუხოდ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ერთეულების მიერ მარაგების გადაფასება. მოთხოვნის შემცირება შეიძლება გახდეს მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის მიზეზი, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრას შეიძლება დასჭირდეს მნიშვნელოვანი განსჯა. ერთეულებმა გულდასმით უნდა განიხილონ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობა, რათა დაეხმარონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გააცნობიერონ პანდემიის გავლენა მარაგებზე.

### **არაფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასება**

აქტივი ითვლება გაუფასურებულად, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის გაუფასურების ტესტირების მიზნებისათვის საწარმომ უნდა შეაფასოს ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის და-

ნახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გამოყენების ღირებულება არის მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან. აქტივის გამოყენების ღირებულების გაანგარიშება ითვალისწინებს აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შეფასებას.

ბასს 36 - „აქტივების გაუფასურება“ მოითხოვს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა მიწინააღმდეგავი აქტივის გაუფასურების შესახებ, ხოლო გუდვილისა და განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის მოითხოვს გაუფასურების ტესტირებას ყოველწლიურად, ან მაშინ როდესაც არსებობს გაუფასურების ნიშნები.

საწარმოებმა, აგრეთვე უნდა შეაფასონ გაუფასურების ნიშნები სტანდარტის ფარგლებში არსებული სხვა კლასის აქტივებისთვის, გაუფასურების ტესტი ტარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი ნიშნები არსებობს. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები და საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მიღებული ინფორმაცია გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის რაიმე ნიშნები გაუფასურების შესახებ, რაც უზრუნველყოფს დამატებით მტკიცებულებებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების შესახებ.

ანალოგიურად, აქტივის ანაზღაურებადი ოდენობის განსაზღვრისას, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მიღებული ინფორმაცია მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაცია ეხება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ გარემოებებს, ამასთან, მოითხოვს განსჯას ყველა ფაქტისა და გარემოების გათვალისწინებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ბასს 36-ის ფარგლებში შემავალი ყველა აქტივისთვის, საწარმო აფასებს არის თუ არა რაიმე მიწინააღმდეგავი, რომ აქტივები გაუფასურებულია. პანდემიის განვითარების გათვალისწინებით, არსებობს ინფორმაციის როგორც გარე, ასევე შიდა წყაროები, რომლებიც მიუთითებენ აქტივების შესაძლო გაუფასურებაზე, მაგალითად: აქციების და საქონლის ფასების დაცემა, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ვარდნა, საწარმოების გა-

ჩერება, მალაზიების დახურვა, დაბალი მოთხოვნა და ფასები საქონელსა და მომსახურებაზე და ა.შ. (IAS 36)

საწარმოებმა ასევე უნდა განიხილოს შეფასების განახლების საჭიროება, რათა უზრუნველყონ, ყველაზე აქტუალური ფაქტებისა და გარემოებების ასახვა.

გარდა ამისა, ბასს 36 მოითხოვს, საწარმოებმა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრონ, არის თუ არა რაიმე მინიშნება, რომ გაუფასურების ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირდა ყველა აქტივთან მიმართებით, გუდვილის გარდა. თუ რაიმე ასეთი მინიშნება არსებობს, საწარმომ ხელახლა უნდა შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. ამავდროულად, სტანდარტში მოცემულია გაუფასურების ზარალის შესაძლო შემცირების ნიშნების მაგალითები, რაც, ფაქტობრივად, გაუფასურების ნიშნების „საპირისპიროა“.

გაუფასურების შეფასებისას, საწარმოებს შეიძლება დასჭირდეთ მნიშვნელოვანი განსჯა, რამდენად პასუხობს ბასს 36-ის მოთხოვნებს, გაუფასურების ტესტირების დროს გამოიყენოს წინა პერიოდში დადგენილი ანაზღაურებადი ღირებულების უახლესი დეტალური შეფასება. ვინაიდან სავარაუდოა, რომ არსებულ ვითარებაში, ბევრი საწარმო ვერ შეასრულებს ამ მოთხოვნებს, ამ გადანყვეტილების მიღებისას, მის გასამყარებლად შეიძლება სასარგებლო იყოს დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება.

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება ფასს 13-ში „სამართლიანი ღირებულების შეფასება“ – განსაზღვრულ დებულებებს.

გამოყენების ღირებულების შეფასება მოიცავს:

აქტივის უწყვეტი გამოყენებისა და მისი გასვლის შედეგად მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას და მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებას.

მომავალი ფულადი ნაკადები უნდა ასახავდეს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქტივის დარჩენილი სასარგებლო ვადის საუკეთესო შეფასებას. ასეთ პირობებში, გამოყენების ღირებულების შეფასებისას, ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია შეწონილ ალბათობაზე და არა – ერთჯერადი საუკეთესო შეფასების მეთოდი.

„ეს მიდგომა ეფუძნება ვარაუდს, რომ ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების მოსალოდნელი ყველა შედეგი და შესაბამისი რისკის და-

ნამატი შეიძლება გაერთიანდეს ერთი, შეთანხმებული დისკონტის განაკვეთით“ (Vardiashvili 2019, 535).

ვინაიდან ბევრ აქტივს შეიძლება ჰქონდეს დარჩენილი ხანგრძლივი სასარგებლო გამოყენების ვადა, საწარმოებმა უნდა გაითვალისწინონ არამხოლოდ პანდემიის მოკლევადიანი ეფექტი, არამედ მისი გრძელვადიანი გავლენა. ნებისმიერ სიტუაციაში „აქტივის გამოყენებითი ღირებულების განსაზღვრისას აქცენტი უნდა გაკეთდეს მოცემული აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ეკონომიკური ვითარების საუკეთესო შეფასებაზე“. (Vardiashvili, 2019, 534) მაგალითად, თუ საწარმო მომავალში აპირებს ძირითადი საშუალებების ამოღებას მომსახურებიდან, ამოღების თარიღამდე მას მოუწევს შეცვალოს ამორტიზაციის პერიოდი და ჩამოწეროს ამ აქტივის საბალანსო ღირებულება მის ნარჩენ ღირებულებამდე, ასეთის არსებობის შემთხვევაში,

ვინაიდან კრიზისი გრძელდება და შემდგომი პირობების პროგნოზირება შეუძლებელია, ამ ეტაპზე, გაუფასურების ტესტირების მიზნით, მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს მნიშვნელოვანი განსჯა, რათა დაადასტუროს გონივრული დაშვებები, რომლებიც ნათლად ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ გარემოებებს.

სავარაუდოა, რომ ამ დაშვებების უმეტესობა ექვემდებარება მნიშვნელოვან გაურკვევლობას. ამიტომ, საწარმოებმა უნდა განიხილონ დაშვებებისა და სენსიტიურობის დეტალების გამჟღავნება. რაც უფრო დიდია გაურკვევლობა არსებულ გარემოებებში, მით უფრო მნიშვნელოვანია ერთეულებისთვის დანვრილებით გაამჟღავნონ ინფორმაცია.

განსჯებასა და შეფასებებში გაურკვევლობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაზღაურებადი თანხის შეფასებისას მიღებული ძირითადი დაშვებებისა და მსჯელობების გამჟღავნებას.(Ernst & Young)

ეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ისინი, სავარაუდოდ, არსებითად განახლდება უახლეს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებებიდან, განსჯებიდან და შეფასებებიდან.

### **ცვლილებები იჯარაში**

2020 წლის 28 მაისს, IASB-მ გამოსცა შესწორებები IFRS 16-ში - „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“, საბჭომ შემოიღო ეს ცვლილება, რათა მოიჭარეები გათავისუფლდნენ ფასს 16-ის მოთხო-



ვნების გამოყენებისგან და გაითვალისწინონ იჯარის ცვლილებები საიჯარო ქირის დათმობის შემთხვევაში, რაც, პანდემიის პირადპირი შედეგია. მაგალითად, ქირის განახევრება იმ მოტივით, რომ იჯარით გაცემული აქტივი სრული დატვითვით არ მუშაობს ან ადგილი აქვს მოცდენებს, ეს ცვლილება არ ვრცელდება მეიჯარეებზე. (IFRS 16)

ამ გამონაკლისის მინიჭებით საბჭომ აღიარა, რომ მოიჯარეებს შეიძლება გაუჭირდეთ იმის შეფასება, არის თუ არა საიჯარო ქირის დათმობა პანდემიასთან დაკავშირებული იჯარის მოდიფიკაცია, და თუ ეს ასეა, გაუჭირდება ფასს 16-ის მოთხოვნების გამოყენება იჯარის აღიცხვისას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოიჯარეები პანდემიის დროს ბევრ გამონწვევას აწყდებიან.

ცვლილების მიზანია მოიჯარეებისთვის, პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის შეთავაზება კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობისას.

გამარტივებული მიდგომით, მოიჯარეს უფლება აქვს არ გაანალიზოს – წარმოადგენს თუ არა მესაკუთრის მიერ კორონავირუსული დაავადების პანდემიის გამო გაკეთებული იჯარის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

მოიჯარემ, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, საიჯარო ქირის ამგვარი დათმობით გამონწვეული ნებისმიერი ცვლილება საიჯარო გადასახდებში, იმავე მეთოდით უნდა აღრიცხოს, როგორც ასახავდა ამ ცვლილებას წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, თუკი ცვლილება არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია.

მოიჯარეს შეუძლია ეს პრაქტიკული ხასიათის მიდგომები გამოიყენოს მსგავსი მახასიათებლების მქონე კონტრაქტებზე და მსგავს გარემოებებში.

შესწორებებში მითითებული გამარტივებული მიდგომა გამოიყენება მხოლოდ საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ 19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;

- საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა (მაგალითად, საიჯარო ქირის დათმობა დააკმაყოფილებს ამ პირობას, თუ დათმობის შედეგად შემცირდება 2022 წლის 30 ივნისისთვის ან 30 ივნისამდე განსახორციელებელი საიჯარო გადახდები, ხოლო 2022 წლის 30 ივნისის შემდგომი პერიოდის საიჯარო გადახდები ✗ გაიზრდება); და

- იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები. (Proposed amendment to IFRS 16)

ცვლილებებთან დაკავშირებით „საბჭომ დაასკვნა, რომ იჯარის დათმობა, რის შედეგადაც საიჯარო ანაზღაურების მთლიანი ოდენობის იზრდება, არ უნდა ჩაითვალოს COVID 19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს ზრდა ასახავს ფულის დროით ღირებულებას“. ამიტომ, იჯარის დათმობა, რომელიც თვალისწინებს გადავადებულ საიჯარო გადახდებს და მათი, ზრდა რაც გამოწვეულია ფულის დროითი ღირებულებით, ყველა სხვა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ექვემდებარება გამარტივებულ მიდგომას.

IASB-მ ასევე განმარტა, იჯარის პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაფასებლად გასათვალისწინებელია ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორები. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების არსებობა, გარდა დათმობისა, რაც უკავშირდება კოვიდ 19 პანდემიას, ნიშნავს, რომ იჯარის მოდიფიკაცია მთლიანობაში არ შეესაბამება გამარტივებული მიდგომის გამოყენებას.

ფასს 16 ის თანახმად, მოიჯარემ რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს დოკუმენტი - „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ ისე, რომ ამ შესწორების თავდაპირველი გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიაროს, როგორც გაუნაწილებელი მოგების (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის, საჭიროებისამებრ) საწყისი ნაშთის კორექტირება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც მოიჯარე პირველად გამოიყენებს მოცემულ შესწორებას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გაურკვევლობებმა, რომელიც დაკავშირებულია COVID 19 პანდემიასთან და ამჟამინდელ საბაზრო პირობებთან, ასევე შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა კონტრაქტების ცვლილებები. საწარმოებმა უნდა აღრიცხონ ხელშეკრულების მოდიფიკაცია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინ



ნებს ზოგიერთი მოდიფიკაციის ცალკეულ კონტრაქტებად აღირიცხვას, ხოლო სხვები შეიძლება გახდეს თავდაპირველი ხელშეკრულების ნაწილი და აღირიცხოს როგორც ერთი კონტრაქტი. გარდა ამისა, ზოგიერთი მოდიფიკაცია მხედველობაში მიიღება პერსპექტიულად, ხოლო სხვები მხედველობაში მიიღება კუმულაციური მიდგომის გამოყენებით. (ვარდიაშვილი მ., მაისურაძე მ. 2022,123)

## დასკვნა

პანდემიის მიერ გამოწვეულმა უპრეცედენტო მასშტაბის გაურკვევლობამ რამდენადმე გაართულა ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ეკონომიკური აქტივობის ცვლილებებმა გამოიწვია საწარმოების უკვე არსებული კონტრაქტებისა და შეთანხმებების პირობების გადახედვის აუცილებლობა. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მარეგულირებელმა ორგანოებმა არა ერთი ცვლილება შეიტანეს ფასსებ-ში იმ გაურკვევლობების აღმოსაფხვრელად რომლებიც გამოიწვია COVID 19 პანდემიამ.

წარმოების პროცესისა და მიწოდების ჯაჭვის შეფერხებისას, უპირველეს ყოვლისა, მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს, მოქმედებს თუ არა დაშვება „ფუნქციონირებადი საწარმოს“ შესახებ. საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის შეფასებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინფორმაცია მთავრობებისა და ბანკების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ დაზარალებული საწარმოების დასახმარებლად. საწარმოებმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა წარადგინონ ფინანსური ანგარიშგების ელემენტების დამატებითი პუნქტები, რომელიც მოიცავს პანდემიის შედეგად გამოწვეულ რაოდენობრივ ან ხარისხობრივ განმარტებას.

ამრიგად, საწარმოებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა გზა, რათა წარადგინონ ინფორმაცია პანდემიის გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. თუმცა, რა თქმა უნდა, რთული იქნება პანდემიით გამოწვეული ინდივიდუალური გავლენის და სახელმწიფოს მხარდამჭერი ღონისძიებების შედეგების სრულად გათვალისწინება.

მარაგების ღირებულებაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს, როგორც საწარმოს ოპერაციების, ასევე, მომხმარებლის მოთხოვნის ცვლილებამ.

პანდემიის შედეგად, საქონლის მიწოდებისა და რეალიზაციის მეთოდების შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი დანახარჯების წარმოქმნა, როგორცაა მარაგების მიწოდების შეფერხებისას დამატებით შენახვის ან ხელახალი შეფუთვის ხარჯები, რათა საქონელი ხელმისაწვდომი გახდეს სხვა მაღალი მოთხოვნის ბაზარზე. ასეთი ხარჯების წარმოქმნისას საწარმოებმა უნდა განიხილონ შესაძლებელია თუ არა პანდემიის გამო გაწეული გარკვეული ხარჯების კაპიტალიზება.

ბასს 2-ის მიხედვით მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებაზე და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. პანდემიის საპასუხოდ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ერთეულების მიერ მარაგების გადაფასების აუცილებლობა. მოთხოვნის შემცირება შეიძლება გახდეს მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწმების მიზეზი, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრას შეიძლება დასჭირდეს მნიშვნელოვანი განსჯა. საწარმოებმა გულდასმით უნდა განიხილონ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობა, რათა დაეხმარონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გააცნობიერონ პანდემიის გავლენა მარაგებზე.

ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მოითხოვს საწარმომ შეაფასოს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არის თუ არა რაიმე მინიშნება არაფინანსური აქტივების გაუფასურებაზე, ხოლო გუდვილისა და განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის მოითხოვს გაუფასურების ტესტირებას ყოველწლიურად ან მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ნიშნები.

საწარმოებმა, ასევე უნდა შეაფასონ გაუფასურების ნიშნები სტანდარტის ფარგლებში არსებული აქტივებისათვის. აქტივი ითვლება გაუფასურებულად, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გამოყენების ღირებულების შეფასება მოიცავს აქტივის უწყვეტი გამოყენებისა და მისი გაყიდვიდან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების შემოღინების და გადინების შეფასებას და ამ ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას. ვინაიდან ბევრ აქტივს შეიძლება ჰქონდეს დარჩენილი ხანგრძლივი სასარგებლო გამოყენების ვადა, საწარმოებმა შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ

არამხოლოდ პანდემიის მოკლევადიანი ეფექტი, არამედ მისი გრძელვადიანი გავლენა.

ვინაიდან ბევრ აქტივს შეიძლება ჰქონდეს დარჩენილი ხანგრძლივი სასარგებლო მომსახურების ვადა. საწარმოებმა შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ არამხოლოდ პანდემიის მოკლევადიანი ეფექტი, არამედ მისი გრძელვადიანი გავლენა.

ამ ეტაპზე, გაუფასურების ტესტირების მიზნით, მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს მნიშვნელოვანი განსჯა, რათა დაადასტუროს გონივრული დაშვებები, რაც ასახავს ანგარიშგების თარიღისათვის არსებულ გარემოებებს. სავარაუდოა, რომ ამ დაშვებების უმეტესობა ექვემდებარება მნიშვნელოვან გაურკვევლობას. ამიტომ, საწარმოებმა უნდა განიხილონ გონივრული დაშვებების დეტალების გამჟღავნება.

სტანდარტების საბჭოს ფასს 16-ის შესწორებებით, მოიჭარები გათავისუფლდნენ ფასს 16-ის მოთხოვნების გამოყენებისგან. მათ უნდა გაითვალისწინონ იჯარის ცვლილებები იჯარის შეღავათების შემთხვევაში, რაც წარმოიქმნება პანდემიის პირდაპირი შედეგით. ეს ცვლილება არ ვრცელდება მეიჯარეებზე. ცვლილების მიზანია მოიჭარებისთვის პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის შეთავაზება კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობისას. გამარტივებული მიდგომით, მოიჯარეს უფლება აქვს არ გაანალიზოს, წარმოადგენს თუ არა მესაკუთრის მიერ პანდემიის გამო გაკეთებული იჯარის დათმობა იჯარის მოდიფიკაციას.

იჯარის პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაფასებლად გასათვალისწინებელია ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორები. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების არსებობა, გარდა დათმობისა, რაც უკავშირდება კოვიდ 19 პანდემიას, ნიშნავს, რომ იჯარის მოდიფიკაცია მთლიანობაში არ შეესაბამება გამარტივებული მიდგომის გამოყენებას.

**ლიტერატურა:**

- ბასს 1 (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი) ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, 2021
- ბასს 2 მარაგები, 2021
- ბასს 36 აქტივების გაუფასურება, 2021
- ფასს 13(ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი) სამართლიანი ღირებულება, 2021

- ფასს 16 ივანია, 2021
- Vardiashvili M. (2019). Some Issues of Measurement of Impairment of Non-Financial Assets in the Public Sector; <https://publications.waset.org/10010307/some-issues-of-measurement-of-impairment-of-non-financial-assets-in-the-public-sector>, Vol:13, No:5
- Vardiashvili M., Maisuradze M.( 2022), COVID 19 Pandemic and its Impact on Revenue Recognition. ISBN 978-9941-491-70-2 (pdf) <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20 konferencia.pdf>
- მაისურაძე მ. (2019). სანარმოს არაფინანსური აქტივების შეფასების და გაუფასურების ძირითადი ასპექტები. მონოგრაფია
- [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/monogmaisur.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/monogmaisur.pdf)
- Sabauri L., Kvatashidze N. (2022) Impact of the COVID-19 Pandemic on the Preparation of Financial Statements. ISBN 978-9941-491-70-2 (pdf) <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20 konferencia.pdf>
- Maisuradze M. (2018). APPLICATION OF THE ENTITY ASSETS MEASUREMENT METHODS IN PREPARING THE FINANCIAL STATEMENTS Ecoforum Journal Vol 7, No 3 (2018) <http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/827/523 oct2020.pdf>
- IOSCO Statement on Importance of Disclosure about COVID-19 The International Organization of Securities Commissions (IOSCO) Encourages Issuers' Fair Disclosure about COVID-19 Related Impacts. Madrid, 29 May 2020. <https://www.iosco.org/library/pubdocs/pdf/IOSCOPD655.pdf>
- Clearly IFRS — Accounting Considerations Related to Coronavirus Disease 2019 <https://www.iasplus.com/enca/publications/publications/2020/clearly-ifrs-accounting-considerations-related-to-coronavirus-disease-2019>
- IFRS 16 and covid-19: Accounting for covid-19-related rent concessions applying IFRS 16 Leases.
- ინტერნეტ გამოცემები:
- <https://home.kpmg/xx/en/home/insights/2020/03/covid-19-financial-reporting-resource-centre.html>
- <https://www.grantthornton-bq.com/publications/bonaire/covid-19-impact-on-2020-financial-statements/>
- <https://www.markspaneth.com/insights/industry/service/covid-19s-impact-on-your-financial-statements>
- [https://assets.ey.com › ey-com › en\\_gl › topics EY -Applying IFRS - IFRS accounting considerations of the Coronavirus pandemic November 2020;](https://assets.ey.com › ey-com › en_gl › topics EY -Applying IFRS - IFRS accounting considerations of the Coronavirus pandemic November 2020;)
- <https://cdn.ifrs.org/content/dam/ifrs/project/ifrs-16-covid-19/ed-rent-concessions-beyond-30-june-2021.pdf> (Proposed amendment to IFRS 16)

## SOME ISSUES OF PREPARATION AND SUBMISSION OF FINANCIAL STATEMENTS IN THE CONDITIONS OF COVID-19

**Marina Maisuradze**

*Associate Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
marina.maisuradze@tsu.ge*

**Mariam Vardiashvili**

*Associate Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
mariam.vardiasvili@tsu.ge*

*The coronavirus pandemic has created uncertainties of an unprecedented scale in the global economy. Businesses experience disruptions of supply chain and significant losses. As a result of the decline in business activities, many enterprises around the world have been affected and millions of people have lost their jobs. Significant changes have taken place in the financial and commodity markets as well.*

*Many governments have taken various measures to provide financial and non-financial assistance to the affected sectors of the economy, businesses and individual enterprises.*

*All this has somewhat complicated the preparation of financial statements in accordance with the international standards (IFRS).*

*Against the background of the current uncertainty caused by COVID 19, enterprises need to ensure the preparation of high quality financial statements, which play an important role in the proper functioning of the capital market.*

*Changes in economic activity have led to the need of revision of the terms of existing contracts and agreements of the enterprises. For example, terms of contracts, leases, and various financial assets and liabilities with customers, as well as asset impairment and changes in the impairment testing assumptions, estimates of expected credit losses for loans and other financial assets, etc.*

*Changes and uncertainties caused by the pandemics have a significant impact on the estimates of the elements of financial reporting. Nevertheless, each entity must ensure the application of the relevant requirements of IFRS in all of these matters.*

*The present article highlights some of the challenges posed by pandemic uncertainties in the course of preparation of financial statements.*

**Keywords:** *Financial reporting; cash flows; non-financial assets; lease; expenses; inventories.*

**JEL Codes:** *E60, E62, P34*

## Introduction

The statement released by the International Securities and Exchange Commission (IOSCO) on 29 May 2020, on the importance of disclosing information about COVID 19, says: “In conditions of critically growing uncertainty, it is important for financial reporting to ensure that adequate information is disclosed, the level of transparency of which depends on the firm’s judgments and assessments. Disclosure of information should explain the significant impact on specific assets, liabilities, liquidity, solvency and other issues, as well as any significant uncertainties, assumptions, sensitivities, strategies, risks and future prospects. Disclosure of information through financial reporting and management’s commentaries is important for raising awareness and confidence of investors.” (IOSCO)

The provision of timely and reliable information by enterprises to its customers remains one of the major challenges of the COVID pandemic.

The impact of the by-pandemic-caused uncertainties on the economy, depends highly on the variables that are difficult to predict.

Each enterprise must assess the current macroeconomic environment, while at the same time enterprises must do their utmost to make sound assessments, prepare comprehensive information in order to determine properly the basis for such assessments, and provide its users with reliable information about the used significant judgments and key assumptions.

At the same time, when reviewing all available information, enterprises should determine whether they have complied with all applicable disclosure requirements envisaged under the International Financial Reporting Standards, including IAS 1 – “Presentation of Financial Statements”.

As a result of the impact of COVID-19 and the related events, enterprises should consider whether they can, in certain circumstances, continue to operate for at least 12 months from the reporting date. Management's assessment of the going concern requires professional judgment in the eventual uncertainty of events or conditions at a particular moment, thus ensuring the principle of IAS 1 - "Presentation of Financial Statements" on a going concern.

The clearest example of the increased challenge to forecasting information is testing for impairment of non-financial assets (e.g., fixed assets, usufruct assets, intangible assets, and goodwill). The impairment test for these assets often requires cash flow forecasting. There was a sharp decline in the fair value of many financial assets, especially securities, which in turn also adversely affected the ability of debtors to hedge loan terms and similar financial instruments. Enterprises should consider and apply appropriate assessment and impairment loss recognition requirements.

The decline in the economic activity caused by the pandemic, has put on the agenda the issue of revising the terms of existing contracts and agreements of enterprises, for instance, the terms of contracts with customers, compensation agreements with employees, leases, and many financial assets and liabilities. Enterprises must ensure compliance with the relevant requirements of IFRS.

**The purpose** of the research is to assess the impact of changes and uncertainties caused by the pandemic on the elements of financial reporting.

**The objectives** of the research are to reflect adjustments in estimates and assumptions in the preparation of financial statements, taking into account changes and recommendations in the IFRS in relation to the COVID 19 pandemic.

**The theoretical and methodological basis** of the research is methodological guidelines issued by the International Accounting Standards Board, recommendations materials, works of Georgian and foreign scientists-economists, printed and internet-published materials.

**Research Results.** The estimates and assumptions used in the preparation of the financial statements in conditions of pandemic should be based on sound judgment and should be adjusted so that they fully reflect the new business environment and at the same time comply with IFRS requirements.

This article deals with only the basic requirements and guidelines for the following aspects of financial reporting: substantive judgment and assessments, measuring impairment of non-financial assets, lease.

## **Substantive Judgment and Assessments**

In preparing the annual financial statements, management makes a number of judgments, assessments and assumptions about the recognition and measurement of assets, liabilities, incomes and expenses. The outbreak of the pandemic and further economic crisis have had a direct impact on many areas of financial reporting of companies. In the conditions of uncertainty, it is especially important to measure them accurately and reflect the impact of existing situations in the financial statements. The estimates and assumptions used in the annual financial statements should be adjusted in such a way that they fully reflect the new business environment and at the same time comply with IFRS requirements.

To make assessments entities should review all information available to them and also determine whether they have complied with all applicable requirements for its disclosure, including IAS 1 –Presentation of Financial Statements. The enterprises, must make optimal decisions regarding assumptions and reliable assessments on the one hand, and must comply fully with the requirements of International Financial Reporting Standards, on the one hand.

Existing and potential investors make investment-related decisions based on the published financial statements. In such a situation, information about how the pandemic and related uncertainties affect the enterprise and what the impact of the pandemic crisis will be on the financial state, is of particular importance to them.

Investment decisions are based on the information about future cash flows, which means that in financial statements, users should be able to understand current and past results and form an opinion about future cash flows.

The unprecedented closure of the global economy has led to the fact that a number of companies are unable to sell and supply their products and services to consumers. Delays in the production process as well as in supply chain, have led to a reduction in consumption (demand). In such a situation, the management must determine first of all, whether the assumption about “going concern” is valid. (Ernst & Young)

When measuring the going concern under the coronavirus pandemic, its obvious and probable impact on the company's operations should be taken into account. Current events and conditions can significantly affect the ability of an enterprise to continue operating. Clearly, the impact of the pandemic is



more significant for high-risk sector companies experiencing low demand, low sales, and low margin pressures (Sabauri L, Kvatashidze N. 277)

In assessing the likelihood of continuing operations, management should consider all available information obtained after the end of the reporting period, including information on measures taken by governments and banks for assisting affected organizations.

In order for the financial statements to adequately reflect the future uncertainties of the business environment, great importance is given to the professional argumentation on preparation of financial statements and of interested parties, as well as those responsible for the presentation of financial statements. Such reasoning, especially in the context of a pandemic, should be applied to issues such as the net realizable value of inventories, impairment of receivables, property, plant and equipment and intangible assets, as well as issues of contractual obligations, recognition of income and expenses, etc.

The methodology for reflecting the impact of the pandemic on financial reporting has been somewhat developed and reflected in current editions of International Financial Reporting Standards, although due to the circumstances specific to particular enterprises, it is necessary to have a professional judgment on a variety of substantive issues. In this case, special care should be taken, as overestimation of revenues and assets, as well as the amount of inventory created, may lead to an unreasonable increase or decrease of a consumer's interest.

Such professional reasoning should be fully disclosed in accordance with IAS 1 – Presentation of Financial Statements.

### **Measurement of Inventories**

As a result of the pandemic, some enterprises were forced to reconsider their methods of conducting the business operations. For example the ways of delivering goods and services, has changed or moved to e-commerce. It is likely that these changes may increase costs and affect the inventory value.

The costs of conversion of inventories include costs directly related to the units of production, such as direct labour. They also include a systematic allocation of fixed and variable production overheads that are incurred in converting materials into finished goods.

Fixed production overheads are those indirect costs of production that remain relatively constant regardless of the volume of production, such as depreciation and maintenance of factory buildings and equipment, and the cost of factory management and administration.

Variable production overheads are those indirect costs of production that vary directly, or nearly directly, with the volume of production, such as indirect materials and indirect labour.

The allocation of fixed production overheads to the costs of conversion is based on the normal capacity of the production facilities. Normal capacity is the production expected to be achieved on average over a number of periods or seasons under normal circumstances, taking into account the loss of capacity resulting from planned maintenance.

The COVID-19 pandemic can have multiple impacts on manufacturing capacity, such as creating labor and material shortages, which can lead to abnormal declines in production.

Manufacturing entities may revise the practice of allocating fixed overhead costs if production volume decreases abnormally during the year due to plant closures or reduced demand for their products.

IAS 2 – “Inventories” requires variable overhead costs to be allocated to a unit of output based on their actual cost. It also requires the distribution of the fixed production overheads c per unit of production, based on the average production capacity.

If the production volume is below average, enterprises should not increase the fixed (permanent) overhead costs attributable to the unit of output, and vice versa, , unallocated overheads should be recognized as an expense in the period in which they arise.

At the same time, the level of production of some goods, due to excessive demand, may be abnormally high. In such cases, the entity shall reduce the amount of the fixed overhead costs per unit issue so that inventories are not overstated.

The enterprise should also consider whether it is possible to capitalize certain costs incurred due to the pandemic that the enterprise would not otherwise have incurred. This may involve the additional cost of storing or repackaging stocks to make the product available in another, higher demand market. As such costs are not capitalized under IAS 2, an entity may capitalize such costs based on its own judgment, taking in mind the existing situation. In such

circumstances, the enterprise is required to disclose this information in the explanatory notes to the financial statements. (Ernst & Young)

In accordance with IAS 2, inventories are valued at the lower of their cost and net realizable value.

Net realizable value refers to the net amount that an entity expects to realize from the sale of inventory in the ordinary course of business, less the costs to finish and sell of the goods. As mentioned above, the costs required to finish the goods or the expected costs of selling thereof, may change. In addition, during a pandemic and especially during a severe lockout period, user behavior may change. For example, during a period of agitation, demand for certain types of products may increase significantly, and then demand may fall again or not disappear at all. It is also possible for companies to be forced to apply for discounts on their products in order to attract buyers. These changes may lead to volatility in selling prices, which in turn will affect the net realizable value.

As long as uncertainty persists, the estimated net realizable value may be subject to greater uncertainty than in the past, so, significant reasoning may be required to make appropriate assumptions. In some cases, enterprises may be forced to write off their inventories. For example, enterprises that produce perishable goods may be forced to utilize the goods they have not been able to store or sell. Other entities may need to determine whether inventories should be written off to the net realizable value in the event of total or partial depreciation or a decrease in their selling price.

Disclosure of the inventory-related information, including cost formulas used, helps users to understand how transactions, events and conditions are reflected in their financial statements. The entities are required, at least, to disclose the cost of inventory recognized as an expense in a given reporting period. In addition, entities should disclose information regarding the circumstances or events that caused inventories to be written off.

The decisions made in response to the pandemic may lead to re-measurement of inventories by entities. A decrease in demand may lead to a write-off the inventories to net realizable value, and the determination of net realizable value may require significant judgment. Entities should carefully consider the need to disclose additional information to help financial reporting users to understand the impact of the pandemic on inventories.

## **Measurement of Impairment of Non-Financial Assets**

An asset is deemed impaired when its carrying amount exceeds its recoverable amount. For the impairment testing purposes, an entity shall measure the recoverable amount, which is the fair value less costs to sell and the value in use. Value in use is the present value of future cash flows the entity expects to derive from the asset or cash-generating units. Calculating the value in use of an asset is an estimate of the amount and timing of future cash flows expected from an asset.

IAS 36 “Impairment of Assets” requires that an entity shall assess at the end of each reporting period whether there is any indication that an asset may be impaired, while for goodwill or intangible assets with indefinite useful lives, the Standard requires impairment testing on yearly basis, or when any indication that an asset may be impaired, exists. .

Entities should also measure for indications of impairment for other classes of assets within the Standard. An impairment test is performed only when such indications exist. In addition, post-reporting events and information received after the end of the reporting period should be considered only if there are any indications of impairment that provide additional evidence of conditions at the end of the reporting period.

Similarly, in determining the recoverable amount of an asset, information received after the end of the reporting period should be taken into account only if such information relates to circumstances at the end of the reporting period. However, it requires judgment in the light of all the facts and circumstances.

As noted above, at the end of each reporting period, for all assets under IAS 36, an entity measures whether there is any indication that the assets are impaired. Given the development of the pandemic, there are both external and internal sources of information that indicate possible impairment of assets, such as: falling stock and commodity prices, falling market interest rates, shut-down of enterprises, closure of stores, low demand and prices for goods and services, etc. (IAS 36)

Enterprises should also consider the need to update measurements to ensure that the most relevant facts and circumstances are reflected.

In addition, IAS 36 requires entities to determine at the end of each re-

porting period whether there is any indication that an impairment loss may no longer exist or be reduced in respect of all assets except goodwill. If any such indication exists, the enterprise shall re-measure the recoverable amount of the asset. At the same time, the Standard provides examples of indications of possible reduction in impairment losses that are, in fact, “opposite” to the indications of impairment.

When measuring impairment, enterprises may need to make significant judgments as to whether they meet the requirements of IAS 36, using the most recent detailed measurement of the recoverable amount established during the impairment test. Since it is likely that in the current situation, many enterprises will not be able to meet these requirements, in making this decision, it may be useful to disclose additional information to support it.

Fair value less costs to sell are based on the provisions of IFRS 13 “Fair Value Measurement”

Measurement of cost in use includes:

- Measurement of future cash flows from the continued use of the asset and its disposal; and
- Application of the appropriate discount rate to future cash flows.

The future cash flows should reflect the best measurement of the remaining useful life of the asset at the end of the reporting period. In such circumstances, when measuring the value in use, we think it is more appropriate to use the expected cash flow method that is based on weighted probability rather than the one-time best measurement method.

„This approach is based on assumption that all the possible outcomes of the future cash flows and the added risk may be combined with one agreed discount rate“. (Vardiashvili 2019, 524)

Since many assets may have a long useful life remaining, enterprises need to consider not only the short-term effects of the pandemic but also its long-term impact. In any situation, „in determining the value in use of the asset, the emphasis should be made on the best assessment of the expected economic situation during the remaining useful service life of the given asset.

(Vardiashvili 2019, 524) For example, if an enterprise intends to withdraw its fixed assets from service in the future, it will have to adjust the amortization period and write off the carrying amount of that asset to its residual value, if any.

As the crisis continues and it is impossible to predict further conditions, at this stage, in order to test for impairment, management should use substantial judgment to confirm reasonable assumptions that clearly reflect the circumstances as of the reporting date.

It is likely that most of these assumptions are subject to considerable uncertainty. Therefore, enterprises should consider disclosing details of assumptions and sensitivities.

The greater the uncertainty in the circumstances, the more important it is for entities to disclose information in detail.

Given the high degree of uncertainty in judgments and measurements, special importance is given to disclosing the key assumptions and considerations obtained in measuring the amount to be reimbursed. (Ernst & Young) This is especially true as they are likely to be substantially updated from the key assumptions, judgments and measurements used in the most recent annual financial statements.

### **Changes in Lease**

On 28 May 2020, the IASB released amendments to IFRS 16 – “Leases, COVID-19-related rent concession”. The Board introduced these amendments to exempt tenants from applying the IFRS 16 requirements and to take into account lease changes in the event of the rent concession, which are the direct result of a pandemic. For example, halving the rent on the grounds that the leased asset does not work at its full capacity, or works with delays. This change does not apply to lessees. (IFRS 16)

In granting this exemption, the Board acknowledged that lessees may find it difficult to measure whether a lease is a modification of a pandemic lease, and if so, it would be difficult to apply the IFRS 16 requirements to a lease, especially since lessees face many challenges during the pandemic.

The purpose of the amendment is to offer a more streamlined practical approach to lessees when concede lease due to COVID 19 their Covid-19 lease.

According to the simplified approach, the lessee has the right not to analyze whether the lease made by the lessor due to a COVID pandemic is a modification of the lease.

When making this decision, the lessee shall account for any change in the

lease resulting from such a lease, using the same method as reflecting that change in accordance with this Standard, unless the change were a modification of the lease.

The lessee may apply these practical approaches to contracts with similar characteristics and in similar circumstances.

The simplified approach set out in the amendments applies only to such rental concessions that arise as a direct result of the COVID- 19 pandemic and only if all of the following conditions are met:

- A change in rent payments results in a change / revision of the amount of rent, but the adjusted amount of the rent is essentially the same or less than the amount of the rent that was directly before the change in the amount of rent occurred;
- Reduction of rent payments applies only to payments that were payable under the original agreement no later than June 30, 2022 (e.g. concession of lease will meet this condition if as a result of concession, the rents paid as at or before 30 June, 2022, are reduced, while the rents to be after 30 June 2022, are increased); and
- No other significant changes have been made to the terms and conditions of the lease. (Proposed amendment to IFRS 16)

Regarding the changes, “The Board concluded that concession of the lease resulting in an increase in the total amount of rent should not be considered a direct result of the COVID 19 pandemic, unless this increase reflects the time value of money”.

Therefore, leasing, which takes into account deferred rents and their increase due to the time value of money, is subject to a simplified approach, if all other conditions are met.

The IASB also clarified that qualitative and quantitative factors must be taken into account to measure significant changes in lease terms. The existence of other significant changes, other than the concession associated with the COVID-19 pandemic, means that the lease modification as a whole is not consistent with the use of a simplified approach.

According to IFRS 16, a lessee shall apply this document – “Lease Concession due to COVID 19” with full retrospective effect, so that to recognize the cumulative effect of initial application of this amendment as adjustment of the opening balance of undistributed profit (or any other component of equity, if



necessary) at the beginning of the reporting period in which the lessee first applies the amendment.

In addition to the above, uncertainties related to the COVID 19 pandemic and current market conditions may also lead to changes in consumer contracts (Vardiashvili M, Maisuradze M. 2022,123). Undertakings shall record the modification of the contract in accordance with the requirements of IFRS 15, which provides for some modifications to be recorded as separate contracts, while others may become part of the original contract and be recorded as a single contract. In addition, some modifications are considered prospectively, while others are considered using a cumulative approach (Vardiashvili M, Maisuradze M. 2022,123).

### **Conclusion**

Uncertainties on an unprecedented scale caused by the pandemic have somewhat complicated preparation of financial reporting in compliance with the international standards.

Changes in the economic activity have led to the need of revision of the terms and conditions of existing contracts and agreements of enterprises. International Financial Accounting Standards Authorities have made a number of changes to IFRSs to address the uncertainties caused by the COVID 19 pandemic.

In cases of disrupt of the production process and the supply chain, management must first determine whether the assumption applies to a “going concern”. When measuring the possibility of continuing operations, information should be provided on measures taken by governments and banks to assist affected enterprises. Enterprises should include additional items of financial reporting elements in the explanatory notes to the financial statements, including quantitative or qualitative explanations as a result of the pandemic.

Thus, enterprises can use different ways to present information about the impact of the pandemic on their financial results, financial conditions and cash flows. However, it will certainly be difficult to fully account for the individual impact caused by the pandemic and the consequences of state support measures.

The cost of inventories can be significantly affected by changes in both enterprise operations and customer demand.

As a result of the pandemic, changes in the methods of delivery and sale of goods may lead to generation of costs such as the cost of additional storage or repackaging when supplies are delayed, in order to make the goods available in other high-demand markets. In generating such costs, enterprises should consider whether it is possible to capitalize certain costs incurred due to the pandemic.

In accordance with IAS 2, inventories are valued at the lower of their cost and net realizable value. Decisions made in response to a pandemic may necessitate a re-measurement of inventories by units. A decrease in demand may lead to a write-off the inventories to net realizable value, and the determination of net realizable value may require significant judgment. Businesses should carefully consider the need to disclose additional information to help financial reporting users understand the impact of a pandemic on inventories.

IAS 36 “Impairment of Assets” requires that an entity shall assess at the end of each reporting period whether there is any indication that an asset may be impaired, while for goodwill or intangible assets with indefinite useful lives, the Standard requires impairment testing on yearly basis, or when any indication that an asset may be impaired, exists.

Entities should also measure for indications of impairment for other classes of assets within the Standard. An asset is considered impaired when the carrying amount of the asset exceeds its recoverable amount.

The measurement of value in use includes the estimate of the continuing use of the asset and the future cash flows from its sale and the present value of those cash flows.

Since many assets may have a long remaining useful life enterprises should consider not only the short-term effects of the pandemic but also its long-term impact, when making their measurement.

At this stage, in order to test for impairment, management should use substantial judgment to establish reasonable assumptions that reflect the circumstances as of the reporting date. It is likely that most of these assumptions are subject to considerable uncertainty. Therefore, enterprises should consider disclosing the details of reasonable assumptions.

According to the amendment to IFRS 16, that was published by the Board, the rent concessions shall apply to lessees. They should take into account lease changes in the event of lease discounts arising from a direct result of a pandem-

ic. This change does not apply to lessors. The purpose of the amendment is to offer lessees a simplified approach of a practical nature in case of concession the Covid-19-related lease. The simplified approach provides that the lessee has the right not to analyze whether concession made by the lessor due to a pandemic, is a modification of the lease.

Qualitative and quantitative factors must be taken into account to assess significant changes in lease terms. The existence of other significant changes, other than the concession associated with the Covid 19 pandemic, means that the lease modification as a whole is not consistent with the use of a simplified approach.

### References:

- IAS 1 – Presentation of Financial Statements, 2021 (In Georgian).
- IAS 2 – Inventories, 2021. (In Georgian).
- IAS 36 – Impairment of Assets, 2021. (In Georgian).
- IFRS 13 – Fair Value Measurement, 2021. (In Georgian).
- IFRS 16 – Lease, 2022. (In Georgian).
- ot:13, No:5
- Vardiashvili M., Maisuradze M. (2022), COVID 19 Pandemic and its Impact on Revenue Recognition. ISBN 978-9941-491-70-2 (pdf) <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20 konferencia.pdf>
- Maisuradze M. (2019). Key Aspects of Valuing and Impairing an Enterprise's Non-Financial Assets. Monograph (In Georgian). [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/monogmaisur.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/monogmaisur.pdf)
- Sabauri L., Kvatashidze N. (2022) Impact of the COVID-19 Pandemic on the Preparation of Financial Statements. ISBN 978-9941-491-70-2 (pdf) <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20 konferencia.pdf>
- Maisuradze M. (2018) APPLICATION OF THE ENTITY ASSETS MEASUREMENT METHODS IN PREPARING THE FINANCIAL STATEMENTS *Ecoforum Journal* Vol 7, No 3 (2018). <http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/827/523>
- Tokar M., Kumar S. (2020), Applying IFRS Standards in 2020— Impact of COVID-19, <https://www.ifrs.org/content/dam/ifrs/news/2020/inbrief-covid19-oct2020.pdf>
- IOSCO Statement on Importance of Disclosure about COVID-19 The International Organization of Securities Commissions (IOSCO) encourages issuers' fair disclosure about COVID-19 related impacts. Madrid, 29 May 2020. <https://www.iosco.org/library/pubdocs/pdf/IOSCOPD655.pdf>

- Clearly IFRS — Accounting Considerations Related to Coronavirus Disease 2019
- <https://www.iasplus.com/enca/publications/publications/2020/clearly-ifs-ac-counting-considerations-related-to-coronavirus-disease-2019>
- IFRS 16 and COVID-19: Accounting for COVID-19-Related Rent Concessions Applying IFRS 16 Leases.

**Internet resources:**

- <https://home.kpmg/xx/en/home/insights/2020/03/covid-19-financial-reporting-resource-centre.html>
- <https://www.grantthornton-bq.com/publications/bonaire/covid-19-impact-on-2020-financial-statements/>
- <https://www.markspaneth.com/insights/industry/service/covid-19s-impact-4>
- [https://assets.ey.com/ey-com/en\\_gl/topics/EY-Applying-IFRS-IFRS-accounting-considerations-of-the-Coronavirus-pandemic-November-2020](https://assets.ey.com/ey-com/en_gl/topics/EY-Applying-IFRS-IFRS-accounting-considerations-of-the-Coronavirus-pandemic-November-2020);
- <https://cdn.ifrs.org/content/dam/ifrs/project/ifrs-16-covid-19/ed-rent-concessions-beyond-30-june-2021.pdf> (Proposed amendment to IFRS 16)

**კრიპტო ვალუტების აღრიცხვა ფინანსური ანგარიშგების  
საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად:  
ბამონვევები და პერსპექტივები**

**ნინო ღომიძე**

ასოციებული პროფესორი  
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
Nino.lommidze@eeu.edu.ge

კრიპტო ვალუტების მიმართ კოხპოხაციური ინტეგრის ზედამ ღლის წესიგში დაყენა ფასს-ის შესაბამისად მათი აღიციხვის და ფინანსუი ანგაიიშგებაში წაიგგენის საკითხი. 2019 წლის ივნისში ფასს ინტეიპ-იეტაციების კომიტეტმა გამოაქვეყენა ღოკუმენტი, იაც წაიშოადგენს ბასს-ის საბჭოს ოფიციადუი პოზიციას კრიპტო ვალუტების ფღობის აღ-იციხვასთან დაკავშირებით. ღოკუმენტიის თანახმად, კრიპტო ვალუტა აი უნდა იქნეს განიხილუი ფუღად ან სხვა გიპის ფინანსუი აქტივად. კრიპტო ვალუტა აკმაყოფილებს აიამატეიიადუი აქტივის და მაიგის განმაიტი-ბას და უნდა აღიციხოს ბასს 38-ის ან ბასს 2-ის შესაბამისად.

სტატიაში გაანადრებულა ციფრუი ვალუტების აღიციხვის აიხე-ბუი მაიგუღიხებუი რაირო მომხმაიებუღათვის სასაიგებღო ინფოი-მაციის მიწოდების თვადსაზიისით. წაიშოგენიღია კრიტიკუი მსჯეღობა იმასთან დაკავშირებით, იომ მოცემუი სტანდაიტი, იაც შუიქმნა დიღი ხნის წინ სიუღად სხვა შინააიისს მქონე აქტივებისთვის, ვეი უზიუნვე-ღყოფს ტექნოღოგიუი საფუძვეღზე წაიშოშობიღი ახადი ეკონომიკუი ფენომენის - კრიპტო ვალუტის სამაიტიღან აღიციხვას და შუფასებას. მიუხედავად იმისა, იომ ციფრუი ვალუტა აი განიხიღება ფინანსუი ინსტ-იუმენტად, ხშირ შუემთხვევაში ის საწაიშოთა საინვესტიციო პოიტივეღის შუმადგენეღი ნაწიღია. გაიდა ამისა, სუღ უფიო მეტი კომპანია თანხმეღება კრიპტო ვალუტის, იოგოიცი გადახდის აღტეინატიუი საშუღების მიღებას.

ნაშიომში აქცენტი გაკეთებულა, იმაზე, იომ კრიპტო ვალუტების აღიციხვა უნდა ეფუძნებოღეს მათი ფღობის იეადუი ბიზნეს-მოღეს და ეკონომიკუი შინააიისს, იაც უზიუნვეღყოფს მომხმაიებუღათვის ამ კუ-თხით ხაიისხიანი და სასაიგებღო ინფოიმაციის მიწოდებას.

**საკვანძო სიგყვები:** კრიპტო ვალუტა, ციფრული ვალუტის აღიიცივზა, ახამაგეიიადული აქცივი, ფინანსური ინსტრუმენტი, ფული, სამაიიდიანი წაიხდენა, იეადული ღიიებულებით შეფასება, სააღიიცივზო პოლიტიკა.

**JEL Codes: G23, M40, M48**

## შესავალი

1976 წელს, ნობელის პრემიის ლაურეატმა, ავსტრიელმა ეკონომისტმა და ფილოსოფოსმა, ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკმა (F.A.Hayek, 1899-1992) გამოაქვეყნა წიგნი – „ფულის დენაციონალიზაცია“. რომელშიც ფული განხილულია კომერციული საქონლის კონტექსტით, რაც უნდა შექმნილიყო კერძო პირების მიერ კონკურენტულ საბაზრო გარემოში. ჰაიეკი თვლიდა, რომ მონეტარული სტაბილურობის მიღწევისთვის აუცილებელი იყო გაუქმებულიყო ფულის ემისიაზე სახელწიფო ინსტიტუტების მონოპოლია და კერძო სუბიექტებს მიცემოდა საშუალება გამოეშვათ საკუთარი სავაჭრო ნიშნის მქონე ვალუტები (გვასაღია 2014.). ნობელიანტის მოსაზრებების და ავსტრიული ეკონომიკური სკოლის სხვა წარმომადგენელთა ხედვის ერთგვარ გამოვლინებას წარმოადგენს კრიპტოგრაფიული ვალუტების წარმოშობა. ცნობილია, რომ XX საუკუნის განმავლობაში, ლიბერტარიანელები იბრძოდნენ ცენტრალური ბანკების მონოპოლიის წინააღმდეგ ფულის ემისიის საკითხში და მხარს უჭერდნენ კერძო ფულზე გადასვლას (ჩიქობავა, კაკულია 2018).

ეს დროც დადგა. ინტერნეტის მომხმარებელთა მკვეთრმა ზრდამ და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო მრავალი ვირტუალური ვალუტის შექმნას, რომელთაგან წამყვან პოზიციას იკავებს ბიტკოინი (BTC). ბიტკოინის გამოგონების შესახებ 2008 წლის ბოლოს საჯაროდ განაცხადა სატოში ნაკამოტომ (Satoshi Nakamoto), ანონიმურმა პიროვნებამ (შესაძლოა იყოს ჯგუფი), ვისი ვინაობა დღემდე დაუდგენელია.

2009 წლიდან, ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე<sup>1</sup> დაყრნობით ამოქმედდა

1 ბლოკჩეინი წარმოადგენს ციფრული ტრანზაქციების დეცენტრალიზებულ ბაზას/რეესტრს. ეს ტრანზაქციები პერიოდულად, ჯაჭვური პრინციპით იკვრება ბლოკებად (Blockchain), დაცულია კრიპტოგრაფიულად და ამავდროულად, გადანაწილებულია/გადაკოპირებულია ბლოკჩეინის ქსელში ჩართულ ყველა კომპიუტერში. აქედან მომდინარეობს ტერმინი „განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია“ (DLT), რომელიც „ბლოკჩეინზე“ უკეთესად აღწერს იმ ქსელის სტრუქტურას და შინაარსს, სადაც ყველა კომპიუტერი ინდივიდუალურად ინახავს ტრანზაქციების ჩანაწერებს (Bhatia 2021, 104).

ბიტკოინის დეცენტრალიზებული, ერთრანგიანი (Peer to Peer, P2P) ქსელი, რომელსაც არ გააჩნია ცენტრალური ადმინისტრატორი და რომლის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ ფინანსური ტრანზაქციები უშუალოდ ერთმანეთთან, ყოველგვარი მესამე მხარის, ე.წ. სანდო შუამავლის გარეშე. ამასთან, გადახდები ქსელის მონაწილეებს შორის ხორციელდება მხოლოდ ბიტკოინით, რისი ღირებულებაც არ არის მიმდებარე მონაწილემ აქტივთან ან ოფიციალურ ვალუტასთან, არამედ განისაზღვრება ღია ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე (ჭყოიძე, ტომარაძე 2014. ).

ბიტკოინი, მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი კრიპტო ვალუტაა, რის მიმართ სულ უფრო მეტად იზრდება კორპორაციული ინტერესი. ბოლო დროს ვირტუალური ვალუტებით დაინტერესდნენ ამერიკული საინვესტიციო ბანკები და ჰეჯ-ფონდები, რაც შესაძლოა ემსახუროდეს კოვიდ პანდემიის მართვისთვის აშშ-ის მთავრობის მიერ დოლარის დიდი მასის ბეჭდვით გამოწვეული ინფლაციური რისკების დაზღვევას. ბიტკოინი ისეთი კორპორაციების ბალანსზეა, როგორიცაა: MicroStrategy, Tesla, Galaxy Digital Holdings, Voyager Digital LTD, Square Inc და სხვა (<https://www.buybitcoinworldwide.com/treasuries/#public>) კრიპტო ვალუტების მიმართ კომპანიების დაინტერესებამ და ციფრული ვალუტებით განხორციელებული ოპერაციების მზარდმა რაოდენობამ, დღის წესრიგში დააყენა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, მათი აღრიცხვის და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის საკითხის ირგვლივ მსჯელობა. რამდენიმეწლიანი განხილვის და დებატების შემდეგ, 2019 წელს გამოიცა ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტის დღის წესრიგის გადაწყვეტილება კრიპტო ვალუტების ფლობის აღრიცხვასთან დაკავშირებით.

ნაშრომში გაანალიზებულია კრიპტო ვალუტების აღრიცხვის ოფიციალური მარეგულირებელი ჩარჩო, რათა შეფასდეს, რამდენად სწორი და მიზანშეწონილია ციფრული ვალუტების კლასიფიკაციის და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის არსებული მოდელები, სხვადასხვა ტიპის წყაროების დამუშავების საფუძველზე ჩამოყალიბდეს ხედვა იმ გამოწვევებზე, რაც უკავშირდება ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და შესაბამისად, მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას.

## **კრიპტო ვალუტების აღრიცხვის არსებული მარეგულირებელი ჩარჩო**

კონცეპტუალური საფუძვლები აქტივს განმარტავს, როგორც ეკონომიკურ რესურსს, რასაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი. კრიპტო ვალუტა აკმაყოფილებს აღნიშნულ განმარტებას, მაგრამ ის არ წარმოადგენს ტრადიციულ აქტივს. კრიპტო ვალუტა სრულიად ახალი ეკონომიკური ფენომენია, რაც რეალურად შექმნილია, რომ იფუნქციონიროს, როგორც ანგარიშსწორების ალტერნატიულმა საშუალებამ (Nakamoto, 2008.1). თუმცა, ის არ არის გამოშვებული და მხარდაჭერილი ცენტრალური ინსტიტუციების მიერ, რაც თავის მხრივ, ართულებს და სადისკუსიოს ხდის კრიპტო ვალუტის სწორად კლასიფიკაციის, აღრიცხვის და შეფასების საკითხს.

2019 წლის ივნისამდე არ არსებობდა ციფრული ვალუტების ფასს-თან შესაბამისად აღრიცხვის ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩო. ამიტომ, კრიპტო ვალუტების მფლობელ კომპანიებს თავად უწევდათ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული საკითხი, როგორც პოტენციურად ახალი პროექტი, პირველად გაჟღერდა 2015 წელს, ბასს-ის საბჭოს სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით კონსულტაციების პროცესში. 2016 წლის დეკემბერში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მრჩეველთა ფორუმმა (ASAF) სადისკუსიოდ გამოიტანა ავსტრალიის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (AASB) მიერ შემუშავებული ვრცელი დოკუმენტი, რითაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა ამ მიმართულებით მუშაობას. დოკუმენტში განხილული იყო ციფრული ვალუტების შესაძლო კლასიფიკაცია სხვადასხვა ტიპის აქტივებად. გაანალიზებული იყო შესაბამისი სტანდარტები და აქცენტირებული იყო გარკვეულ შემსაბამობებზე/„ხარვეზებზე“, რაც ავტორთა აზრით ვლინდებოდა არსებულ ფასს-ებში ციფრულ ვალუტებთან მიმართებით.

2018 წლის ივლისში საბჭომ მიმართა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების კომიტეტს (ფასსიკ) საკუთარი ხედვა წარმოდგინა მფლობელის პოზიციიდან კრიპტო ვალუტების ფასს-თან შესაბამისად აღრიცხვის საკითხზე. 2018 წლის ნოემბერში საბჭომ განიხილა ფასსიკ-ის მიერ მომზადებული ტექნიკური ანალიზი, დაეთანხმა წარმოდგენილ ხედვას და მიმართა კომიტეტს დაესრულებინა პროექტი და გამოეცა გადანყვეტილება.



2019 წლის მარტში, ინტერპრეტაციების კომიტეტმა საჯარო განხილვისთვის გამოაქვეყნა გადაწყვეტილების წინასწარი ვერსია, რაზეც კომენტარები გააკეთეს და საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მარეგულირებელმა ორგანოებმა, წამყვანმა აუდიტორულმა და საკონსულტაციო კომპანიებმა, მსხვილმა საერთაშორისო კორპორაციებმა და კრიპტო დეველოპერებმა. 2019 წლის ივნისში, კომიტეტმა გამოაქვეყნა საბოლოო გადაწყვეტილება, დოკუმენტი სახელწოდებით – „კრიპტო ვალუტების ფლობა“. აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედების სფერო ვრცელდება იმ კრიპტო ვალუტებზე, რაც აკმაყოფილებს ქვემოთ წარმოდგენილ მახასიათებლებს:

1. ციფრული/ვირტუალური ვალუტა, რაც რეგისტრირებულია ბლოკჩეინში და უსაფრთხოებისთვის იყენებს კრიპტოგრაფიას;
2. არ არის გამოშვებული იურისდიქციის ორგანოს ან სხვა მხარის სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ.

3. არ წარმოშობს კონტრაქტს მფლობელსა და სხვა მხარეს შორის; კომიტეტის გადაწყვეტილებით, კრიპტო ვალუტების ფლობა არ უნდა იქნეს განხილული, როგორც ფულის ან ფინანსური აქტივის ფლობა, რამდენადაც ციფრული ვალუტა ვერ აკმაყოფილებს მოცემული აქტივების განმარტებებს. კერძოდ, სტანდარტის თანახმად, ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტი ეფუძნება ხელშეკრულებას, რაც ერთი მხარისთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, მეორე მხარისთვის კი - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს (ბასს 32.3.11). კრიპტო ვალუტების ფლობა (რა ფორმითაც არ უნდა იღებდეს მას საწარმო) არ ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისად, არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივს. რაც შეეხება ციფრული ვალუტების ფულად კლასიფიკაციას, ფასსიკ-ი აღნიშნავს: ფული ფინანსური აქტივია, რაც ამავდროულად განიხილება „ვალუტად“. ვალუტა წარმოადგენს გაცვლის საშუალებას და ამდენად, ყველა ოპერაციის შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის საფუძველს (ბასს 32.მგ.3). ფასსიკ-ის განმარტებით, შესაძლოა ზოგიერთი ვირტუალური ვალუტა გამოიყენება კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად, მაგრამ არა იმდენად მასშტაბურად, რომ ჩაითვალოს ფართოდ გავრცელებული გაცვლის საშუალებად, საქონელსა და მომსახურებაზე ფასების განსაზღვრის საშუალებად და სააღრიცხვო ერთეულად, რაც გამოყენებული იქნება ოპერაციების განზოგადებისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტის გადაწყვეტილებით, კრიპტო ვალუტების ფლობის აღრიცხვისთვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს: ბასს 38 - „არამატერიალური აქტივები“ ან ბასს 2 „მარაგები“. დოკუმენტში განმარტებულია, რომ თუ საწარმო, ციფრულ ვალუტებს ფლობს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მათი შემდგომი გაყიდვის მიზნით, აღნიშნული აქტივი უნდა დააკლასიფიციროს მარაგად და მოაქციოს ბასს 2-ის მოქმედების სფეროში. აქვე, აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ თუ კომპანია წარმოადგენს საქონლით მოვაჭრე ბროკერს, რომელიც მოხმარების საგნებს ყიდულობს ძირითადად იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი ახლო მომავალში გაყიდვა და მოგების მიღება ფასების ცვლილებით ან მოვაჭრე-ბროკერის მარჟიდან (ბასს 2. პ.5), ციფრული ვალუტების ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებისთვის შეუძლია გამოიყენოს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების მოდელი, ცვლილების მოგებაში ან ზარალში ასახვით (ბასს 2. პ.3ბ).

ფასსიკ-ის გადაწყვეტილებით, თუ კრიპტო ვალუტა არ განიხილება მარაგის კატეგორიაში, მაშინ ის წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს, რამდენადაც აკმაყოფილებს მის განმარტებას. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ციფრული ვალუტა იდენტიფიცირებადი, არაფულადი აქტივია, ფიზიკური ფორმის გარეშე. იდენტიფიცირებადობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ შესაძლებელია კრიპტო ვალუტის საწარმოსგან გამოყოფა და გაყიდვა, გადაცემა ან გაცვლა. არაფულად აქტივად შეფასების ნაწილში აქცენტირებულია ბასს 21.პ.16-ის ჩანაწერი, რის თანახმად, ფულადი მუხლებისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშანია ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ფულის ერთეულების მიღების უფლება (ან მიწოდების ვალდებულება), რაც არ აქვთ ციფრულ ვალუტებს. აქვე, მოყვანილია არაფულადი მუხლების მაგალითები და მათ შორისაა არამატერიალური აქტივები. ამდენად, კომიტეტის გადაწყვეტილებით კრიპტო ვალუტების აღრიცხვა მიზანშეწონილია განხორციელდეს ბასს 38-ის შესაბამისად. სტანდარტი არამატერიალური აქტივების შეფასების ორ მოდელს გვთავაზობს. **(1) თვითღირებულების მოდელი**, რის თანახმად, კრიპტო ვალუტა ბალანსში უნდა შეფასდეს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. საყურადღებოა, რომ ციფრული ვალუტა წარმოადგენს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივს, რასაც

არ ერიცხება ამორტიზაცია, თუმცა აუცილებელია დაიტესტოს გაუფასურებაზე ყოველწლიურად (ბასს 36. პ. 10.ა). გაუფასურების ზარალი, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოიწეროს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუ გამოვლინდა ვალუტის გაუფასურების გაუქმების ინდიკატორი (ფასის ზრდა), უნდა მოხდეს წინა წლებში აღიარებული ზარალის კომპენსირება, თუმცა საბალანსო ღირებულების იმ სიდიდემდე, რაც მიღებული იქნებოდა, თუ წინა წელს გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირდებოდა. **(2) გადაფასების მოდელის** გამოყენება მხოლოდ იმ კრიპტო ვალუტებისთვისაა შესაძლებელი, რომლის აქტიური ბაზარიც არსებობს. ამ მოდელის თანახმად, რეალური ღირებულების ზრდით გამონვეული სხვაობა აღიარდება საკუთარი კაპიტალის ჯგუფში გადაფასების ნამეტის (რეზერვის) სახით და აისახება სხვა სრულ შემოსავალში. აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა მოხდეს გადაფასების რეზერვზე არსებული საკრედიტო ნაშთის შემცირება და მხოლოდ სხვაობა უნდა ჩამოიწეროს მოგება-ზარალზე. გაუფასურების ზარალის კომპენსირებისას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფიქსირდება შემოსულობა გაუფასურების ზარალის გაუქმებიდან, ხოლო დარჩენილი სიდიდით (არსებობის შემთხვევაში) კვლავ იზრდება გადაფასების რეზერვი სხვა სრულ შემოსავალთან ერთად.

ინტერპრეტაციების კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილება, რაც მიღებული იქნა საკითხის გაჟღერებიდან 4 წლის შემდეგ, წარმოადგენს ბასს-ის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას კრიპტო ვალუტების ფლობის აღრიცხვასთან დაკავშირებით.

### **ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული გამონვევები**

ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის არსი ისაა, რომ ფინანსური ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის იყოს სასარგებლო. ინფორმაცია სასარგებლოა, თუ ის სამართლიანად წარმოაჩენს ეკონომიკური მოვლენის შინაარსს და არ შემოიფარგლება ოპერაციის მხოლოდ იურიდიული ინფორმაციის მიწოდებით. „სამართლიანი წარდგენა“ უნდა ეფუძნებოდეს კომპანიის ფაქტობრივ ბიზნეს-მოდელს და ასახავდეს ოპერაციების ეკონომიკურ

რეალობას. შესაბამისად, კრიპტო ვალუტების მაინერები<sup>1</sup>, ციფრულ ვალუტებში ინვესტიციების განმახორციელებელი კომპანიები და ის სანარმოები, რომლებიც ვირტუალურ ვალუტებს იღებენ როგორც გადახდის საშუალებას - აღრიცხვის განსხვავებული მიდგომებით უნდა ხელმძღვანელობდნენ (Prochazka, 2018. 5/164).

გაგვიჩივდება დავახასიათოთ კრიპტო ვალუტებთან დაკავშირებული ბიზნესმოდელი, რა შემთხვევაშიც ადეკვატური იქნება ბასს 38-ის გამოყენება. ის, რომ ციფრული ვალუტა აკმაყოფილებს არამატერიალური აქტივის განმარტებას, არ არის საკმარისი წინაპირობა იმისა, რომ კრიპტო ვალუტების აღრიცხვა მოექცეს ბასს 38-ის მოქმედების სფეროში. სტანდარტი შექმნილია 1998 წელს ისეთი არამატერიალური აქტივებისთვის, რასაც სანარმო ფლობს გრძელვადიან პერიოდში საოპერაციო მიზნით გამოსაყენებლად. კრიპტო ვალუტა ტექნოლოგიების განვითარების შედეგად „დაბადებული“ სრულიად ახალი ეკონომიკური ფენომენია, რაც ტრადიციული კომპანიებისთვის, ხშირ შემთხვევაში, სინვესტიციო პორტფელის შემადგენელი ნაწილია. ამდენად, საქმე გვაქვს არამატერიალურ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებთან, რასაც ვერ ფარავს ბასს 38 და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას. სწორედ ამ „ხარვეზის“ არსებობაზე მიუთითებს AASB-ის 2016 წლის ვრცელი დოკუმენტი: „Digital currency – A Case for standard setting activity“. ნაშრომში, კრიპტო ვალუტების შეფასების ყველაზე ადეკვატურ მოდელად მიჩნეულია რეალური ღირებულების მოდელი, ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით და არა ბასს 38-ით შეთავაზებული გადაფასების მოდელი, ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ამასთან დაკავშირებით, გაკეთებულია საინტერესო პარალელი ბასს 40-ის და ბასს 16-ის მიხედვით ძირითადი საშუალებების ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების განსხვავებულ მიდგომებზე (FVTPL vs FVTOCI)<sup>2</sup>. ავტორები მიიჩნევენ, რომ არ აქვს მნიშვნელობა აქტივი მატერიალურია თუ არა მატერიალური, თუ მათი ფლობის მიზანი მსგავსია, სააღრიცხვო მიდგომაც ერთნაირი უნდა იყოს.

1 მაინინგი - კრიპტო ვალუტების გამომუშავების/მოპოვების პროცესია. მაინინგის განმახორციელებლები იწოდებიან მაინერებად. მაინინგის აღრიცხვა არ განიხილება მოცემულ სტატიამში

2 FVTPLV – რეალური ღირებულება ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით. FVTOCI – რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად ადეკვატურია ბასს 2-ის გამოყენება კრიპტო ვალუტებთან მიმართებით, მიზანშეწონილია განვიხილოთ სტანდარტის მიდგომა, ერთი მხრივ, ჩვეულებრივი საწარმოს პოზიციიდან, რომელიც მარაგს ფინანსურ ანგარიშგებაში აფასებს უმცირესი ღირებულებით, თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის და მეორე მხრივ, საქონლით მოვაჭრე ბროკერის პოზიციიდან, რომელიც მარაგის შეფასებას ახდენს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (ბასს 2. 3.3ბ). ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის და მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, ყველაზე ადეკვატური მოდელი სწორედ საქონლით მოვაჭრე ბროკერებისთვის, მარაგის შეფასების გამონაკლისის სახით, შეთავაზებული მეთოდია. თუმცა, ამ მხრივაც არსებობს ერთგვარი შეუსაბამობა. კერძოდ, კრიპტო ვალუტა ფიზიკური ფორმის არმქონე აქტივია და მისი გაიგივება „საქონელთან“, გარკვეული თვალსაზრისით, არათავსებადია (IFRS Viewpoint 9, 2018.9). მიუხედავად იმისა, რომ ფასს სტანდარტები არ იძლევა „საქონლის/commodity“ კონკრეტულ დეფინიციას და ამ მხრივ, არ არსებობს ფაქტობრივი შემზღუდველი გარემოება აღნიშნულ კატეგორიაში ციფრული აქტივების ჩართვის, „commodity“, რუთაც ვაჭრობა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე, ძირითადად წარმოდგენილია ფიზიკური ფორმის მქონე აქტივებით (<https://www.businessinsider.com/what-are-commodities>).

საქონლით მოვაჭრე ბროკერების მიღმა, ბასს 2-ის გამოყენება კრიპტო ვალუტებთან მიმართებით, არ არის მიზანშეწონილი. სტანდარტი შექმნილია „კლასიკური“ ტიპის მარაგისთვის, რომელიც მიმართულია გასაყიდად და საფუძვლად არ უდევს რაიმე ტიპის საინვესტიციო ინტერესს. კრიპტო ვალუტის შეფასება უმცირესი ღირებულებით ვერ უზრუნველყოფს ამ ტიპის აქტივის შინაარსობრივი კონტექსტის სამართლიანად ასახვას და არასწორ ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის გაუგებარია, საქონლით მოვაჭრე ბროკერებისგან განცალკევებით, რა კატეგორიის საწარმოები ჰქონდა მხედველობაში კომიტეტს, როცა დაადგინა, რომ მათი მარაგი უნდა შეფასდეს „სტანდარტულად“ უმცირესი ღირებულების მოდელით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონკრეტული საკითხი არ არის ფართოდ განხილული და გააზრებული არც ოფიციალური ორგანოების სამუშაო

სხდომებზე და არც წამყვანი აუდიტორული კომპანიების ანგარიშებში.

ამდენად, ბასს 38-ის და ბასს 2-ის გამოყენება (საქონლით მოვაჭრე ბროკერის შემთხვევის გარდა) ისეთი აქტივების აღრიცხვა-შეფასებისთვის, რაც მაღალი ვოლატილობით ხასიათდება და მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერიოდში საინვესტიციო ინტერესს ემსახურება, არ არის მიზანშეწონილი. AASB-ის კვლევაში საინტერესო მოსაზრებაა გაუღერებული ბასს 25<sup>1</sup>-თან დაკავშირებით, რაც ავტორთა აზრით წარმოადგენდა სრულფასოვან სტანდარტს ინვესტიციების აღრიცხვის თვალსაზრისით. ბასს 25 ჩაანაცვლა ორმა სტანდარტმა: ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ბასს 40 „საინვესტიციო ქონება“. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში გაჩნდა „სიცარიელე“, ერთი მხრივ, არამატერიალურ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების და მეორე მხრივ, საინვესტიციო მიზნით ფლობილი საქონლის აღრიცხვის მიმართულებით.

ფასსიკ-ის გადანყვეტილებით, კრიპტო ვალუტა არ წარმოადგენს ფულს/ვალუტას და არც სხვა ტიპის ფინანსურ აქტივს, რადგან ვერ აკმაყოფილებს შესაბამისი სტანდარტის განმარტებას (ბასს 32.11). ამ შეფასების პარალელურად, ციფრული ვალუტები ცხადად წარმოაჩენს თავის ეკონომიკურ არსს და გვევლინება, ერთი მხრივ, როგორც საინვესტიციო ინსტრუმენტი და მეორე მხრივ, როგორც გადახდის ალტერნატიული საშუალება, რის მიღებას სულ უფრო მეტი კომპანია თანხმდება (<https://99bitcoins.com/bitcoin/who-accepts/>).

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ვალუტა ვერ აკმაყოფილებს ფინანსური ინსტრუმენტის განმარტებას, მისი საინვესტიციო მიზნით ფლობა („შეძენა და შენახვა“) შინაარსობრივად შესაძარისია ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის. ამ თვალსაზრისით, რელევანტურია ფასს 9-ით შემოთავაზებული შეფასების მოდელების განხილვა, გარდა ამორტიზებული ღირებულების მოდელისა (Prochazka, 2018. 8/167). კერძოდ, თუ საწარმო ციფრულ ვალუტებში ინვესტიციას ახორციელებს, მათი მოკლევადიან პერიოდში გაყიდვის მიზნით, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს რეალური ღირებულების მოდელი ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით. გრძელვადიანი საინვესტიციო პერსპექტივისთვის კი - რეალური ღირებულების მოდელი ცვლილების სხვა სრულ შემოსავალ-

1 ბასს 25 “ინვესტიციები აღრიცხვა”. სტანდარტი გაუქმდა 2001 წელს და მის საფუძველზე შეიქმნა ბასს 39 და ბასს 40



ში ასახვით. მართალია, ციფრული ვალუტა ვერ უზრუნველყოფს სახელ-შეკრულებო ფულადი ნაკადების გენერირებას, მაგრამ ამ კონკრეტული ავტორის მსჯელობის ლოგიკურობა შეიძლება აიხსნას კომპანიის მიერ კრიპტო ვალუტების მართვის მოდელის შეფასებით. კერძოდ, თუ საწარმოს სპეკულაციური/სავაჭრო ინტერესი აქვს ვირტუალური ვალუტების მიმართ, მაშინ სამართლიანია რეალური ღირებულების ცვლილებამ გავლენა იქონიოს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე. იმ შემთხვევაში კი, თუ საწარმო კრიპტო ვალუტას ფლობს გრძელვადიან პერიოდში, კაპიტალის ღირებულების ზრდის მიზნით, მაშინ უმჯობესია მიმდინარე ფასის ცვლილება არ ჩაერთოს მოგება-ზარალის გაანგარიშებაში.

რეალური ღირებულების მოდელის გამოყენება გარკვეულ რისკებსა და სირთულეებთან არის დაკავშირებული. ერთი მხრივ, ციფრული ვალუტების მაღალი ვოლატილობიდან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და შედეგი მოულოდნელად, მნიშვნელოვანი სიდიდით შეიძლება შეიცვალოს და მომხმარებელთათვის მინოდებული ინფორმაცია აღარ იყოს გამოსადეგი სწორი დასკვნების გასაკეთებლად. ასეთი რისკების დასაზღვევად, საჭიროა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ფართოდ გაიშალოს საკითხი და განხილულ იქნეს ყველა შესაძლო სცენარი, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მეორე მხრივ, გამოწვევაა კრიპტო ვალუტის რეალური ღირებულების სამართლიანად შეფასება. კრიპტო ინდუსტრია განვითარების ეტაპზე იმყოფება და ზოგიერთი ციფრული ვალუტა შედარებით ნაკლებად ივაჭრება და გამოყენების ნაკლები შესაძლებლობები აქვს. უბრალოდ, ბირჟაზე ვალუტის პოზიციონირება არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ ბირჟამ დააკმაყოფილოს „აქტიური ბაზრის“ განმარტება. სამართლიანი რეალური ღირებულების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს კონკრეტულ კრიპტო ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების სიხშირე და მოცულობა (Deloitte, 2018. 14).

რაც უფრო მეტი კომპანია ერთვება კრიპტო ინდუსტრიაში და თანხმდება ციფრული ვალუტის, როგორც გადახდის ალტერნატიული საშუალების მიღებას, მით უფრო აქტუალური ხდება მსჯელობა, ერთი მხრივ, „ფულის“ განმარტების, მეორე მხრივ კი, მარეგულირებლის გადამწყვეტილების ირგვლივ, რის თანახმად კრიპტო ვალუტა არ წარმოადგენს ფულს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება გაავრცელა

ბრაზილიის ფასიანი ქალაღდების კომისიამ (CVM<sup>1</sup>), რომელმაც აღნიშნა, რომ მათი შეხედულებით, ბასს 32. მგ.3-ის ჩანაწერი უკავშირდება არა ზოგადად ფულს, არამედ ფუნქციონალური ვალუტის კონცეფციას, რადგან ფოკუსირებულია ვალუტის გამოყენებაზე, ერთი მხრივ, როგორც საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დანესების საშუალება და მეორე მხრივ, ფინანსურ ანგარიშგებაში ოპერაციების განზოგადების ინსტრუმენტი. ამასთან, ფუნქციონალური (სამუშაო) ვალუტა აღნიშნავს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას (ბასს 21.3.8). აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, CVM მიზანშეწონილად მიიჩნევს, კრიპტო ვალუტა განხილულ იქნეს უცხოურ ვალუტად, რაც, სტანდარტის განმარტების თანახმად, წარმოადგენს ყველა სხვა ვალუტას საწარმოს სამუშაო ვალუტის გარდა (ბასს 21.3.8). ამ მიდგომას იზიარებენ სხვა რესპოტენდენტებიც და მიიჩნევენ, რომ არსებული ფას-ით მოწოდებული ფულის განმარტება საკმაოდ შემზღუდველია და შესაძლოა საჭიროებდეს განახლებას (EFRAG DP, 2020. 57).

კიდევ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც პრობლემურს ხდის კრიპტო ვალუტის ფულად აღიარებას, უკავშირდება „გადახდის კანონიერი საშუალების“, ე.წ. „Legal Tender“-ის სტატუსს. ამ სტატუსის მინიჭება განიხილება სამართლებრივი ქრილით. სახელმწიფო თავად წყვეტს, რა არის მის ტერიტორიაზე გადახდის კანონიერი საშუალება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა არის ის ფული, რის მიღებაზეც უარის თქმა არ შეუძლია საქონლის და მომსახურების მიმწოდებელს. ამდენად, შესაძლოა კომპანია იღებდეს ციფრულ ვალუტას, როგორც ალტერნატიული გადახდის საშუალებას, მაგრამ ეს ავტომატურად არ ანიჭებს მოცემულ ვალუტას „Legal Tender“-ის სტატუსს (EY, 2021.10).

ელ-საღვადორი, ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელმაც 2021 წლის სექტემბრიდან, ბიტკოინი აღიარა გადახდის კანონიერ საშუალებად, აშშ დოლართან ერთად. ეს ნიშნავს: ნებისმიერი კომპანია (მათ შორის საერთაშორისო ბრუნდები), რომელიც ოპერირებს აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვალდებულია მიიღოს ბიტკოინი, როგორც ოფიციალური ფული. საკითხი ცალსახად გამომწვევაა მარეგულირებელი ორგანოებისთვის, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთვის. „თუ ბიტკოინით ოპერაციების განხორციელების მასშტაბი იმდენად გაიზარდა, რომ ხალხმა ყა-

1 [Comissão de Valores Mobiliários](#) – Securities and Exchange Commission of Brazil



ვის ყიდვა დაიწყო კრიპტო ვალუტით, მაშინ ცხადია, მოგვიწვეს გადავხედოთ ფულის განმარტებას და გავაკეთოთ ადეკვატური ცვლილებები“ - განაცხადა ბასს-ის საბჭოს წარმომადგენელმა ევროპის ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ჯგუფის (EFRAG) მიერ ორგანიზებულ ვებინარზე (<https://www.youtube.com/watch?v=4i0s5Y9sjKQ&t=3552s>).

## დასკვნა

ფასსიკ-ის გადაწყვეტილების წინასწარი ვერსიის განხილვისას, არაერთმა ეროვნული სტანდარტების დამდგენმა ორგანიზაციამ (იაპონია, სამხრეთ კორეა, კანადა, იტალია) და პროფესიულმა ასოციაციამ დააფიქსირა კრიტიკული პოზიცია კრიპტო ვალუტების აღრიცხვის შეთავაზებულ მოდელზე. კრიტიკას იზიარებდნენ თავად საბჭოს და ინტერპრეტაციის კომიტეტის წევრებიც და მხარს უჭერდნენ საბჭოს მიერ ახალი სტანდარტის შემუშავების იდეას ან ცვლილებების შეტანას არსებულ სტანდარტებში. მიუხედავად ამისა, საბოლოო გადაწყვეტილება არ შეცვლილა. რჩება შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილების მიღება უფრო მოტივირებული იყო საბჭოს სურვილით დაეცვა დომინანტური პოზიცია მარეგულირებელ სივრცეში (რადგან ეროვნული სტანდარტების მქონე ქვეყნებმა დაიწყეს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება კრიპტო ვალუტების აღრიცხვასთან დაკავშირებით), ვიდრე ადეკვატურად ეპასუხა თავისი წევრების მოლოდინებისთვის (Ramassa, Leoni, 2021. 21).

კრიპტო ვალუტების აღრიცხვის არსებული მარეგულირებელი ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების წარდგენას და მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას. ამგვარი შეფასების გაკეთების საფუძველს გვაძლევს რამდენიმე გარემოება:

- ფასსიკ-ის გადაწყვეტილება არ ფარავს კრიპტო ვალუტების ფლობის ყველა შესაძლო მოდელს. დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა აღირიცხოს საქონლის და მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებული ციფრული ვალუტა, რაც წარმოადგენს ალტერნატიული გადახდის საშუალებას არაერთი კომპანიისთვის.

- კრიპტო ვალუტების კლასიფიკაცია შემუშავებულია მხოლოდ განმარტებების დონეზე თავსებადობის გათვალისწინებით. ის, რომ ცი-

ფრული ვალუტა აკმაცოფილებს არამატერიალური აქტივის განმარტებას, არ უნდა იყოს საკმარისი პირობა, ბასს 38-ის მოქმედების სფეროში განხილვის. სტანდარტი, რომელიც შექმნილია 1998 წელს ისეთი არამატერიალური აქტივებისთვის, რასაც საწარმო ფლობს გრძელვადიან პერიოდში საოპერაციო მიზნით გამოსაყენებლად, ვერ უზრუნველყოფს ციფრული ვალუტის რელევანტურ აღრიცხვას, რაც ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ახალი ეკონომიკური ფენომენია და რასაც კომპანიები ძირითადად საინვესტიციო მიზნით ფლობენ. რეალურად, საქმე გვაქვს არამატერიალურ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებთან, რასაც ვერ ფარავს ბასს 38.

- მიზანშეუწონლად მიგვარჩნია ასევე, ბასს 2-ის გამოყენება კრიპტო ვალუტების მიმართ, კერძოდ კი - მარაგის შეფასება უმცირესი ღირებულების მოდელით. რაც შეეხება საქონლით მოვაჭრე ბროკერის შემთხვევას, რომელიც მარაგს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით - ვფიქრობთ, ეს ყველაზე ლოგიკური და შინაარსობრივად გამართლებული მეთოდია მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. თუმცა, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს „საქონელში/commodity“ განხორციელებულ ინვესტიციასთან, რაც ბასს 2-ის მოქმედების სფეროს არ წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს მიხედვით, კრიპტო ვალუტა არ განიხილება არც ფულად და არც სხვა ტიპის ფინანსურ აქტივად, ის ცხადად წარმოაჩენს თავის ეკონომიკურ არსს და გვევლინება, როგორც საინვესტიციო ინსტრუმენტი და როგორც გადახდის ალტერნატიული საშუალება. ციფრული ვალუტის ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასება უნდა ეფუძნებოდეს აღნიშნული აქტივის ფლობის რეალურ ბიზნესმოდელს.

თუ საკითხს განვიხილავთ ინვესტორის პოზიციიდან, მაშინ საინტერესო ანალოგად შეიძლება მივიჩნიოთ ფასს 9-ით შეთავაზებული რეალური ღირებულების მოდელი (FVTPL, FVTOCI) იმის გათვალისწინებით, მოკლევადიან პერიოდში ვაჭრობისთვის არის აქტივი განკუთვნილი (FVTPL), თუ საწარმოს გადაწყვეტილი აქვს მისი გრძელვადიანი პერიოდით შენახვა, როგორც store of value (FVTOCI).

კრიპტო ვალუტის “ფულად” კლასიფიკაციის რეალური ხელისშემშლელი ფაქტორი მისი ამჟამინდელი სტატუსია. რამდენადაც ციფრული ვალუტის გამოშვება არ ხდება ცენტრალური ინსტიტუციების მიერ, ის არ

წარმოადგენს ოფიციალური გადახდის საშუალებას. ელ-საღვადორის რესპუბლიკა, ჯერჯერობით, ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელმაც ბიტკოინს „legal tender“-ის სტატუსი მიანიჭა და აღიარა ოფიციალურ ვალუტად აშშ დოლართან ერთად. ეს მოვლენა საყურადღებოა სტანდარტების დამდგენი და მარეგულირებელი ორგანოებისთვის, მაგრამ მათი სამომავლო ქმედებები „ფულის“ განმარტების გადასინჯვასთან დაკავშირებით დამოკიდებულია ციფრული ვალუტის გადახდის საშუალებად გამოყენების სიხშირესა და მოცულობაზე. რაც შეეხება კრიპტო ვალუტის „უცხოური ვალუტის“ კონტექსტში განხილვას, ვფიქრობთ, ეს საკითხიც უშუალოდ არის დაკავშირებული ციფრული ვალუტით განხორციელებული საოპერაციო ტრანზაქციების მასშტაბებთან.

მიუხედავად იმისა, რომ კრიპტო ინდუსტრიის მიმართ ინტერესი მზარდია და ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ციფრული ვალუტებით, ჩვენთვის გასაგებია ბასს-ის საბჭოს პოზიცია, ამ ეტაპზე მხარი არ დაუჭიროს ახალი სტანდარტის შექმნაზე მუშაობის დაწყებას. თუმცა, ზემოთ გაკეთებული დასკვნების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა არ გამოქვეყნებულიყო ფასსიკ-ის გადანყვეტილება და კომპანიებს გაეგრძელებინათ მოქმედება ბასს 8.3.10-ის შესაბამისად შემუშავებული საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკით.

ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფდა მეტი ცოდნის და გამოცდილების დაგროვებას, საკითხის უფრო სიღრმისეულად გააზრებას და მომავალში ისეთი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებას, რის საფუძველზე მომზადებული ინფორმაციაც სასარგებლო იქნებოდა მომხმარებელთათვის.

### ლიტერატურა:

- გვასალია გ. (2014). კრიპტო ვალუტა და მისი მომავალი მსოფლიო ეკონომიკაში. თბილისი: „აუდიტი, აღიიციხვა, ფინანსები“. #3. (171).
- ჩიქობავა მ., კაკულია ნ. (2018). კრიპტო ვალუტების თანამედროვე გენეზისი. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ჭყოიძე ნ., ტომარაძე გ. (2014). ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები. ვირტუალური ვალუტების რეგულირება (BITCOIN-ის მაგალითზე). „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი 2, #3. <http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2020/03/2-2019-37-43.pdf>
- Bhatia N. (2021). Layered Money: From Gold and Dollars to Bitcoin and Central Bank Digital Currencies. ISBN 978-1-7361105-1-5.

- Nakamoto S. (2008). Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System. <https://bitcoin.org/bitcoin.pdf>
- European Central Bank (2015). Virtual Currency Schemes – A Further Analysis. <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/virtualcurrencyschemesen.pdf>
- Venter H. (2016). Digital currency – A Case for Standard Setting Activity. A perspective by the Australian Accounting Standards Board (AASB).
- [https://www.aasb.gov.au/admin/file/content102/c3/AASB\\_ASAF\\_DigitalCurrency.pdf](https://www.aasb.gov.au/admin/file/content102/c3/AASB_ASAF_DigitalCurrency.pdf)
- Prochazka D. (2018). Accounting for Bitcoin and Other Cryptocurrencies under IFRS: A Comparison and Assessment of Competing Models. “*The International Journal of Digital Accounting Research*”. ISSN: 2340-5058
- Morozova T., Akhmadeev R. (2020). Crypto Asset Assessment Models in Financial Reporting Content Typologies. “*Entrepreneurship and Sustainability Issues*”. ISSN 2345-0282 (online)
- EFRAG - European Financial Reporting Advisory Group. (2020). Accounting for Crypto-assets (Liabilities). Discussion Paper. <https://www.efrag.org/Publications>
- Grant Thornton. (2018). IFRS Viewpoint 9. Accounting for Crypto currencies <https://www.granthornton.global/globalassets/1.-member-firms/global/insights/article-pdfs/ifrs/ifrs-viewpoint-9---accounting-for-cryptocurrencies--the-basics.pdf>
- Deloitte. (2018). Cryptocurrency: Financial Reporting Implications.
- <https://www.iasplus.com/en/publications/global/thinking-allowed/2018/thinking-allowed-cryptocurrency-financial-reporting-implications>
- EY. (2021). Accounting by Holders of Crypto Assets. [https://www.ey.com/en\\_gl/ifrs-technical-resources/accounting-by-holders-of-crypto-assets-updated-october-2021](https://www.ey.com/en_gl/ifrs-technical-resources/accounting-by-holders-of-crypto-assets-updated-october-2021)
- <https://www.ifrs.org/> - ის მასალები: (ბოლო ნახვა 03.02.2022)
- <https://www.ifrs.org/content/dam/ifrs/meetings/2018/july/iasb/ap12d-ias37.pdf>
- <https://www.ifrs.org/content/dam/ifrs/meetings/2018/september/ifric/ap04.pdf>
- <https://www.ifrs.org/content/dam/ifrs/meetings/2019/march/ifric/ap4-holdings-of-cryptocurrencies.pdf>
- <https://www.ifrs.org/projects/completed-projects/2019/holdings-of-cryptocurrencies/tad-holdings-of-cryptocurrencies/#view-the-comment-letters>
- <https://www.ifrs.org/content/dam/ifrs/meetings/2019/june/ifric/ap12-holdings-of-cryptocurrencies.pdf>
- <https://www.youtube.com/watch?v=4i0s5Y9sjKQ&t=3552s>
- <https://www.buybitcoinworldwide.com/treasuries/#public> (ბოლო ნახვა 03.02.2022).

## ACCOUNTING FOR CRYPTOCURRENCIES IN COMPLIANCE WITH INTERNATIONAL FINANCIAL REPORTING STANDARDS (IFRS): CHALLENGES AND PROSPECTS

**Nino Lomidze**

Associate Professor  
Eastern European University  
Nino.lomidze@eeu.edu.ge

- ER ERP system was introduced - since the pandemic restricts the activities of employees, the company decided to make the processes fully automated, depending on the technological processes and not the staff.
- From a strategic point of view, a change was made in export activities. Covid-Pandemia made it clear that the local market was less purchasing power for it, hence the company decided to maximize sales to exports.
- A change was made in the product as well. The company has launched a new beer under its own brand - “Cold-Cold”.
- Change in pricing policy as well. The cash-strapped fund significantly reduced the company’s sales and revenue levels, making changes to product prices inevitable.
- Covid-Pandemic made it necessary to make changes in the responsibilities and duties of the administration as well. The function of the administration to implement and control the recommendations imposed by the state has increased.

Through the changes made, “Georgian Beer Company” actively continues to operate in the market. Of course, change is accompanied by contradictions, but the company’s management combines different strategies for change to eliminate it. First of all, the changes are discussed with employees before they are carried out. They are actively persuaded of the need for change and at the same time, employees are given the opportunity to participate in the implementation of the change themselves.

Georgian Beer Company has undergone many changes since its inception. The fact is that the changes made were successful. With the right management of the changes, the company was able to escape the crisis situation caused by the Covid-Pandemic and improve the situation.

### **Conclusion**

In conclusion, we note that organizational change has become an integral part of managerial activities. Current trends in the world, the variability of elements of the internal and external environment constantly push companies to make timely and adequate changes. Each company is directed to adapt to world standards and improve the existing situation. This is natural and there is nothing surprising in that. If we consider the Covid-Pandemic, we notice that the significance of organizational change has increased even more. It has become the most important tool for escaping the crisis. The example of JSC “Georgian Beer Company” clearly shows how fundamental organizational changes are in the activities of companies, how necessary it is to make timely and result-oriented changes.

It should also be noted that effective management is crucial in the process of implementing change. Which means management should be aware of many different models before they carry out changes in the company. As mentioned above, there is no one universal model, so the manager must decide for himself which of them to use in a particular situation. It all depends on the management skills, as well as the current situation and the complexity of the problem. Before making changes, the manager should have a good understanding of issues such as:

- What changes are taking place in the external environment;
- How necessary it is to make changes in the company;
- Which component of the organization needs change and what impact will it have on other factors;
- What will be the reaction of employees to the changes;
- To what extent will the rules of employee activity be in line with the newly introduced changes;
- At what time interval changes should be made;
- How can the implemented changes be further strengthened.

By answering these questions, the manager creates a kind of action plan aimed at making successful changes.

**References:**

- Anderson L. A., & Anderson D. (2010). *The Change Leader's Roadmap: How to Navigate your Organization's Transformation*. San Francisco: Pfeiffer. p60
- Cummings T. G. & Worley C. G. (2008). *Organization Development & Change* (9th ed.). USA: South-Western Cengage Learning. p506
- Greiner L. E. (1967). *Patterns of Organization Change*. Harvard Business Review: Retrieved from <https://hbr.org/1967/05/patterns-of-organization-change>
- Hiatt J. M. (2006). *ADKAR: a Model for Change in Business, Government and our Community*. USA, Colorado: Prosci Research Loveland. p2
- Jones G. R. (2013). *Organizational Theory, Design, and Change* (7th ed.). USA: Pearson. p273
- Kotter J. P. (2012). *Leading Change*. Boston, Massachusetts: Harvard Business Review Press. p22-23
- Lewin K. (1951). *Field Theory in Social Science*. New York: Harper & Brothers Publishers.
- Moran J. W. & Brightman B. K. (2000). *Leading Organizational Change*. *Journal of Workplace Learning*, 12 (2), p66-74
- Pierce J. L., Gardner D. & Dunham R. B. (2002). *Management and Organizational Behavior; An Integrated Perspective*. Cincinnati, OH: South-Western College Publishing. p627-657

## სოციალური ბანკოთმარება

---

### საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბანკოთმარების პირველი ნაბიჯები დამოუკიდებელ საქართველოში

#### **ავთანდილ ჯორბენაძე**

მედიცინის დოქტორი  
ჩაფიძის გადაუდებელი კაჩილოლოგიის  
ცენტრის სამეთვადყუხეო საბჭოს თავმჯდომარე  
avtandil.jorbenadze@ecc.ge

#### **თენგიზ ვეჟულავა**

პროფესორი  
კავკასიის უნივერსიტეტი  
Tengiz.verulava@gmail.com

1995 წელს, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დაწყებული ხე-  
ხიენტაციის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანდაცვის  
ახად მიღმობას, ხაც მიმახთული იყო ქვეყანაში პხევენციული მედიცინის  
ეხთიანი სისტემისა და სახედმწიფო ეპიდემიოლოგიური ზედამხედ-  
ველობის ეფექტიანი მექანიზმების ასამუშავებდად. ხეოხგანიზაციის  
პროცესში უმთავრესი აქცენტი გაკეთდა ჯანმხთედლობაზე ზხუნვის პხე-  
ვენციულ მოდედზე. ჩამოყადიბდა ევხოპულ პხინციპებზე აგებული საზო-  
გადოებრივი ჯანდაცვის ახადი ინფხასტხუქტუხა, ხაც მოიცავდა საზო-  
გადოებრივი ჯანდაცვის, სანიტაიური ზედამხედველობისა და პიგიენური  
ნოხმიხების დეპაჩტამენტებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპაჩტა-  
მენტის დაქვემდებაიხებაში განისაზღვრა სამი ქვედანაყოფი: დაავადე-  
ბათა კონტოლის ეხოვნური ცენტრი, ჯანმხთედობის ხედშეწყობისა და  
დაავადებათა პროფილაქტიკის, სამედინინო სტატისტიკისა და ინფოხმა-  
ციის ცენტრი. დეცენტრადიზაციის მიზნით ჩამოყადიბდა საზოგადოებრი-  
ვი ჯანდაცვის ოხდონიანი სამსახურების სისტემა, ხოგოხც ცენტრადუხ,  
ასევე ადგილობრივ/მუნინციპადუხ დონებზე. საზოგადოებრივი ჯანდაცვის



დაფინანსება გადანაწილებული იყო ცენტრალური და მუნიციპალური დონეზე, ხოლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება - ცენტრალური, რეგიონალური და მუნიციპალური დონეზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონის ცენტრის შექმნა, რაც დღეისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა კავკასიის რეგიონში ბიოსამედიცინო სფეროსა და ბიოუსაფრთხოებაში სამედიცინო კვლევებისათვის. ამოქმედდა ჯანმრთელობის ხელშეწყობის, მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებათა მართვის სისტემა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის რეორგანიზაციის გატარებაში უმთავრეს სიხარულს წარმოადგენდა სახელმწიფო პროგრამების ახალი დაფინანსება. ჯანდაცვის სისტემა განიცდიდა დაფინანსების ქრონიკულ დეფიციტს, რადგან სახელმწიფო ხშირად ვეი ასხულებდა დაპიხებულ ვადებულ რებებს. გამოწვევას წარმოადგენდა პიხველადი ჯანდაცვის შესაძლებლობების სუსტი ინტეგრაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფუნქციების შესასხულებად. მიუხედავად აღნიშნულისა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელის რამოყალიბებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რგოვიც ეპიდემიოლოგიის მოწესრიგებისა და დაავადებათა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მხრივ, ასევე ეპიდსიტუაციის პროგნოზირებისა და აღკვეტილი პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების და გატარების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის რილი განსაკუთრებით იხდება თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, რდესაც აქტუალური გახდა ინფექციური დაავადებების ეპიდემიები და პანდემიები. ის მოითხოვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებების რილის ზრდას და ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფოსა და კეიძო სექტორის შიხის თანამშრომლობის შემდგომ გაღმავებას.

**საკვანძო სიგყვები:** საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის რეორგანიზები, პევენცია, ცხოვრების ჯანსაღი წესი.

**JEL Codes:** H51, H75, I18

## შესავალი

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომელიც უზრუნველყოფს დაავადებათა პრევენციას, ჯანმრთელობის ხელშეწყობას, რაც მიიღწევა საზოგადოების რგანიზებული ძალისხმევით, გარემოს გაჯანსაღებით, ინფექციებთან ბრძოლით, ჰიგიენის საკითხებში მოსახლეობის განათლებით, დაავადებათა აღრეული გამოვლენით. ამასთან, დაავადებათა ეპიდემიოლო-

გიის შესწავლით შესაძლებელი ხდება რესურსების რაციონალური და ეფექტური მიმართვა პრიორიტეტული პრობლემების გადასაჭრელად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეისათვის ისეთი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა.

თავისი არსებობის ადრეულ პერიოდში საბჭოთა კავშირი დიდ ყურადღებას აქცევდა დაავადებათა პროფილაქტიკას. ინფექციური დაავადებების ეპიდემიებთან, როგორცაა ტიფი, ქოლერა, ჩუტყვავილა, დიზენტერია, მალარია, საბრძოლველად შეიქმნა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების ფართო ქსელი. უმთავრეს ღონისძიებებს წარმოადგენდა მასობრივი ვაქცინაცია, მალარიის ეპიდზედამხედველობა, წყალმომარაგების სანიტარიული კონტროლი, ჰიგიენური ნარჩენების უტილიზაცია, კანალიზაციის მოწესრიგება, რძის პასტერიზაცია. 1950–60-იან წლებში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის სფერო გაფართოვდა და მოიცავდა შრომის ჰიგიენას და გარემოს დაცვას.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა თავდაპირველად დიდი როლი შეასრულა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. შემუშავებულ იქნა ბავშვთა ვაქცინაციის ყოვლისმომცველი პროგრამები, რამაც ხელი შეუწყო მრავალი გადამდები დაავადების შემცირებას. თუმცა, ის გაცილებით ნაკლებეფექტიანი იყო არაგადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ჯანმრთელობის ამაღლება და ინტერსექტორული ქმედებები საერთოდ უგულებელყოფილი (Maier et al. 2011, McKee, 2007). შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირში აქცენტი კეთდებოდა სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ღონისძიებებზე, რაც ნაკლებად ითვალისწინებდა დაავადებათა პრევენციას (ვერუღავა, 2016). ასეთი მოდელი ძვირადღირებული იყო, ვინაიდან რესურსები ძირითადად იხარჯებოდა ისეთი შედეგების აღმოფხვრაზე, რომელთა მიზეზების პროფილაქტიკა შესაძლებელია.

მდგომარეობა გაუარესდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ლტოლვილთა რაოდენობის ზრდამ, ჯანდაცვის სისტემის მოშლამ, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და პროფილაქტიკური ღონისძიებების არასაკმარისად ჩატარებამ ხელი შეუწყო სოციალურად საშიში ინფექციური დაავადებების მნიშვნელოვნად ზრდას (UNDF, 1997; WHO, 1998; WHO, 1996).

შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა 1990-იანი წლების დასაწყისში ბავშვთა და მოზარდთა ვაქცინაციების ვადების დარღვევა და თითქმის შეწყვეტა (Chanturidze et al. 2009). 1990-1995 წლებში იმუნიზაციის დონე მკვეთრად შემცირდა 95%-დან 30-50%-მდე ვაქცინაციით პრევენტაბელური ძირითადი დაავადებებისათვის (ტუბერკულოზი, დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, წითელა), რამაც განაპირობა სოციალურად საშიში ინფექციების აფეთქება (WHO, 2009).

1991-1992 წლებში გეგმური ვაქცინაციის ჩავარდნამ ასაცრელი მასალის უქონლობის გამო, განაპირობა დიფტერიის ეპიდემია. 1993 წელს დაფიქსირდა დიფტერიის 23 შემთხვევა, 1994 წელს - 312, 1995 წელს - 425. (მათგან 42 გარდაიცვალა). გაიზარდა წითელას, წითურას და ყივანახველას შემთხვევები. მწვავე რესპირატორულმა ინფექციებმა შეადგინა 1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის 43% (World Bank, 1996). გახშირდა ნაწლავური ინფექციები, ბოტულიზმის, ცოფისა და ტეტანუსის შემთხვევები (ჭორბენაძე, 1995). მოზარდებში ნამალდამოკიდებულების ზრდამ გამოიწვია B ჰეპატიტის სიხშირის მატება 15-35 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

1991-1995 წლებში საქართველოში მოხდა ტუბერკულოზური ინფექციის ერთგვარი აფეთქება და ის ეროვნულ პრობლემად გადაიქცა. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე ტუბერკულოზმა შეაღწია ქვეყნის მოსახლეობის იმ სოციალურ ფენებშიც, სადაც მისი გავრცელება წინა წლებში ტრადიციულად დაბალი იყო. ტუბერკულოზით სიკვდილიანობის მაჩვენებელი 90%-ით აღემატებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებელს (World Bank, 1996). განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ნამლისადმი რეზისტენტული ტუბერკულოზის ფორმების წარმოშობა. აღსანიშნავია, რომ ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების დაახლოებით 85% ფილტვისმიერს შეადგენდა. ტუბერკულოზის გავრცელების ძირითად არეალად დასახელდა ციხეები, სადაც პატიმართა 5-10% აღმოჩნდა დაავადებული. ასევე პრობლემას ქმნიდა შემთხვევების გამოვლენა, რადგანაც დაბალი იყო ნაცხის მიკროსკოპიის, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევის დონე.

ტუბერკულოზური მენინგიტი, რომელიც ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის და ეფექტური მკურნალობის ინდიკატორია, 1990 წლიდან 1993 წლამდე გაიზარდა 10-იდან 32 შემთხვევამდე (World Bank, 1996). გაიზარდა ისეთი დაავადებების შემთხვევები, რაც აღმოფხვრილად ითვლე-

ბოდა, მათ შორის დიფთერია, მალარია, ვისცერალური ლეიშმანიოზი და ცოფი. გაიზარდა სქესობრივად გადამდები დაავადებების სიხშირე. მაგალითად, 1993 წლიდან 1994 წლამდე სიფილისის სიხშირე 100%-ით გაიზარდა (World Bank, 1996). საქართველო ითვლებოდა აივ – ინფექციის დაბალი გავრცელების ქვეყნად. 1990-იანი წლებიდან შეინიშნება აივ ინფექციითა და შიდსით დაავადებულთა მკვეთრი ზრდა. თუმცა, სტატისტიკა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას, რადგან პაციენტების უმრავლესობა ანონიმური სამედიცინო მომსახურებით სარგებლობდა. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით საქართველოში აივ-ინფიცირებულ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტს შეადგენდა, რადგან არსებობდა ერთჯერადი შპრიცებისა და სამედიცინო ინსტრუმენტების გარკვეული დეფიციტი, აივ ინფექციის შესახებ მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა, პრეზერვატივების გამოყენების იგნორირება, მზარდი მიგრაცია და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ზრდა.

1990-1995 წლების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა გულის იშემიური დაავადებით და ჰიპერტენზიით დაავადებულთა რაოდენობა. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამო სიკვდილიანობამ შეადგინა მთლიანი სიკვდილიანობის 72%. 1990-1995 წლების პერიოდში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამო სიკვდილიანობა 35%-ით გაიზარდა, ხოლო საერთო სიკვდილიანობა 18%-ით, რასაც ადასტურებდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება.

მოცემულ პერიოდში საქართველოში ექსპერტები გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამო სიკვდილიანობის ზრდას უკავშირებენ შედარებით ახალი რისკ-ფაქტორების (სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისი, უმუშევრობა, სიღატაკე და მუდმივი სტრესი) წარმოშობას, რასაც ემატება სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუარესება, მედიკამენტებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა და გარდაცვალების რეგისტრაციის მოუწესრიგებელი პრაქტიკა (World Bank, 1996). გარდა ამისა, თამბაქოს და ალკოჰოლური მოხმარების მაღალი მაჩვენებლები, არაჯანსაღი კვება და ფიზიკური აქტივობის შემცირება გახდა ავადობისა და სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორები. ასევე გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულთა რაოდენობა.

1995 წელს, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დაწყებული რეორიენტაციის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანდაცვის

ახალ მიდგომას. ის მიმართული იყო ქვეყანაში პრევენციული მედიცინის ერთიანი მექანიზმების ასამოქმედებლად და სახელმწიფო ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების ასამუშავებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მშენებლობის გამოცდილების შესწავლა, იმ ძირითადი ორგანიზაციული ცვლილებების აღწერა, რაც განხორციელდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესასწავლად ჩატარდა შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა. ძირითადი სიტყვების – „საქართველო“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა“, „განვითარება“ და „რეფორმა“, მეშვეობით ძიება განხორციელდა PubMed-ზე, Web of Science და Google-ის გამოყენებით, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ანალიზი ემყარება მეორადი წყაროების მიმოხილვას, რისთვისაც მონაცემები შეგროვდა ჯანდაცვის სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი სააგენტოების ვებგვერდებიდან, მათ შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD), UNICEF-ისა და ჯანმრთელობის სისტემების ევროპული ობსერვატორიის ჩათვლით. შესწავლილ იქნა რეფორმის ოფიციალური დოკუმენტები, ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები. ძიება ჩატარდა ინგლისურ და ქართულ ენებზე და მოიცვა 1990-2021 წლების პერიოდი.

### **შედეგები**

#### **რეორგანიზაციის დასაწყისი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონცეფცია**

ჯანდაცვის სფეროში 1995 წელს დაწყებული რეორგანიზაცია ეფუძნებოდა არა მხოლოდ სამედიცინო მოდელის განვითარებას, არამედ აქცენტირებას ჯანმრთელობაზე ზრუნვის პრევენციულ მოდელზე. ადამიანის ჯანმრთელობა განისაზღვრება არამარტო ძლიერი სამედიცინო

მოდელით და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესით, პრევენციით, ანუ ავადმყოფობის მიზეზების დროულად აღმოჩენით და მისი თავიდან აცილებით. საზოგადოებისათვის, ცალკეული ადამიანისათვის უპირველესად სწორედ ეკონომიკურად არის ხელსაყრელი ავადობასთან, მის წარმოშობასა და გავრცელებასთან ბრძოლა. კვლევები ადასტურებს, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე სამედიცინო დახმარების გავლენა 12-18% არ აღემატება. დანარჩენი მოდის იმ ფაქტორებზე, რაც ადამიანის გარემომცველ სამყაროსთან და თვით ადამიანის ცხოვრების წესზეა დაკავშირებული. ამიტომაც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა ძირითადად ავადობის მიზეზების შესწავლითა და მათი გაუვნებლობის ოპტიმალური ღონისძიებების შემუშავებითა და განხორციელებით, აგრეთვე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებით მიიღწევა.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის როლი, რაც ემსახურება დაავადებათა პრევენციას, ჯანმრთელობის ხელშეწყობას, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვასა და ანალიზს, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას (გერზმაჟა, 2016). საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტულობის უმთავრესი კრიტერიუმი, უპირველესად, პრევენციის ეკონომიურობაში მდგომარეობს. ის საშუალებას იძლევა დროულ და ადეკვატურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოვლინდეს ქვეყნისთვის და რეგიონისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემა, რაც თავის მხრივ, რაციონალური და შეზღუდული რესურსების პირობებში მიზანდასახული გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობა იქნება (გამყრელიძე და სხვ. 2002).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ზოგიერთმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ (მათ შორის სომხეთმა, ბელარუსმა, რუსეთის ფედერაციამ და უკრაინამ) ძირითადად შეინარჩუნა საბჭოთა პერიოდისგან მემკვიდრეობით მიღებული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფილოსოფია. ზოგიერთმა ქვეყანამ (მათ შორის ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი) შექმნა დამატებითი სტრუქტურები.

აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა (გარდა ბალტიის ქვეყნებისა), რომელმაც უარი თქვა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის საბჭოურ სისტემაზე, მოახდინა მისი სრული რეორგანიზაცია და ჩამოაყალიბა ევროპულ პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი ინფრასტრუქტურა (Rechel, 2014). ფუნ-



ქციებისა და სტრუქტურის მაგალითად აღებული იყო დასავლეთევროპული და აშშ-ში არსებული მოდელები. საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრის, მსოფლიო ბანკის, ჯანმოს, ისრაელის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და განსაკუთრებით აშშ-ის მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრის ქალბატონი დონა ედნა შალეილას წვლილი. აღსანიშნავია, რომ შემდგომ წლებში ბევრ სხვა ქვეყანასა და მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ჩამოყალიბდა მსგავსი ფუნქციებისა და სახელის მქონე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2016).

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეორგანიზაცია გულისხმობდა საბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელი საზედამხედველო (სანიტარიული კონტროლი) და აღმასრულებელი (ეპიდზედამხედველობა) ფუნქციების ურთიერთგამიჯვნას. 1995 წელს ქვეყანაში დაწყებული ჯანდაცვის სფეროს რეორგანიზაციის შედეგად ყოფილი საბჭოთა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური დაიყო 2 ცალკე ორგანიზაციად. 1995 წლის მინისტრთა კაბინეტის №389 განკარგულების თანახმად, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტს დაეკისრა შემდეგი ფუნქციების შესრულება

- იმუნიზაცია, სამედიცინო სტატისტიკის წარმოების ხელშეწყობა,
- ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა მონიტორინგი,
- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა.

სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტი პასუხისმგებელია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოს ფაქტორების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებაზე, შრომის, ყოფა-ცხოვრების, კვების, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავებასა და მათი დაცვის კონტროლზე. ჩამოყალიბდა სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტის ადგილობრივი/რაიონული, ქალაქის/სამსახურები.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სანიტარული ინსპექციის სამსახურები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გარემოს ფორმირებისა

და შენარჩუნების ღონისძიებებში ერთგვარად ავსებდნენ ერთმანეთს. ისინი წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებათა აღმასრულებელ ინსტიტუციებს.

1997 წელს მიღებულ იქნა ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი ფუნდამენტური საკანონმდებლო კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”, XI თავით განისაზღვრა საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და სავალდებულო ქმედებების ჩარჩო. კანონით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა გულისხმობს „სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემას, რომლის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლის, კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით“.

### **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი**

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1996 წლის 12 თებერვლის ბრძანებით შეიქმნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი. დეპარტამენტის მოვალეობად განისაზღვრა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამაღლება სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარების გზით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტს დაეკისრა ფუნქციები: ეპიდზედამხედველობის მონიტორინგი და პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკა, სახელმწიფო პროგრამების მართვა და დაფინანსება, ბიოსტატისტიკის წარმოება, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებათა ორგანიზება (ურუშაძე, 2002).

რეორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის დეცენტრალიზაცია, რისთვისაც საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 დეკემბრის N 723 ბრძანებულების თანახმად, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორდონიანი სამსახურების სისტემა: ცენტრალურ დონეზე - საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი და ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები (65, მათ შორის 10 რეგიონული კოორდინაციის ფუნქციით) წარმოადგენდნენ მუნიციპალურ და რეგიონულ ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხის-



მგებელი იყვნენ ადმინისტრაციულ ფარგლებში მცხოვრებ მოსახლეობაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე, კერძოდ, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ანალიზსა და მის მართვაზე, დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით სათანადო ღონისძიებების ორგანიზაციასა და განხორციელებაზე. მათ ძირითად მისიას შეადგენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შეფასება, ღონისძიებათა კოორდინაცია და მონიტორინგი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის პასუხისმგებლობები მოიცავდა:

- ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიმშვიდე;
- დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა;
- საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფრთხეების პრევენცია და მათზე

დროული რეაგირება;

- გარემოს მავნე ზემოქმედებისა და ქცევითი რისკ-ფაქტორების პრევენცია;

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ბიოსამედიცინო მეცნიერების განვითარება.

სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების დადგენილი წილობრივი თანაფარდობების საფუძველზე დაფინანსების ფორმად განისაზღვრა მიზნობრივ-პროგრამული დაფინანსება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა მოიცავდა შემდეგ პროგრამებს:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ეპიდზედამხედველობის, საკარანტინო განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციის კონტროლის და სხვა გადამდებ

დაავადებათა პროფილაქტიკის, მართვის და კოორდინაციის ღონისძიებები;

- გეგმური იმუნიზაციის და ეპიდჩვენებით პროფესიული აცრები;
- ნარკომანიის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელება;
- იოდისა და სხვა მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ

დარღვევათა პროფილაქტიკა;

- ავადობის აქტიური გამოვლინებისა და მოსახლეობის მასობრივი სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვები;

- უსაფრთხო სისხლის, შიდისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკა;

- ონკოლოგიურ დაავადებათა პირველადი გამოვლინება;
- სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა;
- ტრავმატიზმის პრევენცია;
- მალარიის პროფილაქტიკა;
- საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემონმება;
- სოფლად მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარება;
- მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარება.

პარალელურად, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით ამოქმედდა გლობალური ჯანმრთელობის ხელშეწყობის საერთაშორისო პროგრამები. ჯანმრთელობის ხელშეწყობის, მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებათა მართვის სისტემა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში განისაზღვრა სამი ქვედანაყოფი: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი; ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პროფილაქტიკის ცენტრი; სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი.

1996 წელს დაარსდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (NCDC). ის კოორდინაციას უწევს ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობას, გადამდებ დაავადებებთან ბრძოლას და პრევენციული ღონისძიებებს, მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსარეო და ადგილობრივ ცენტრებს, სამედიცინო დაწესებულებებს, მედიკოსებისათვის ატარებს ტრენინგებს, აწარმოებს სავლელ სამუშაოებს, აქვს ნაციონალური რეფერენს-ლაბორატორიები, იკვლევს ეპიდაფეთქებების შემთხვევებს და მათ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გააჩნია რეგიონული ფილიალების ქსელი. აწარმოებს კვარტალურ ეპიდემიოლოგიურ ბიულეტენებს. ის კოორდინაციას უწევს იმუნიზაციის ეროვნულ პროგრამას და ასევე თანამშრომლობს სხვა დონორებთან და დაავადებების კონტროლის ცენტრებთან, მაგალითად აშშ-ის დაავადებების კონტროლისა და პრევენციის ცენტრთან.

სამედიცინო სტატისტიკის და ინფორმაციის ცენტრი პასუხისმგებელია ჯანმრთელობის სტატისტიკის შეგროვებაზე. ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის ცენტრი კი ჯანმრთელობის განათლებასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე. 1996 წელს გამოიცა პირველი ყოველწლიური სტატისტიკური ცნობარი „ჯანმრთელობის დაცვა

– საქართველო”, რომელშიც წარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ჯანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. ცნობარებში მოყვანილი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოიყენება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია, რაც ხელს უწყობს საქართველოს მაჩვენებლების შედარებას სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან.

### **საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ელემენტების განაწილება სამთავრობო დონეების მიხედვით**

დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ისევ საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი გამონაკლისი, სადაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის 4 ელემენტიდან სამი – (დაფინანსება, პოლიტიკის განვითარება, სტანდარტების დადგენა) – გადანაწილებული იყო ცენტრალურ მუნიციპალურ დონეზე, ხოლო – მენეჯმენტი და ადმინისტრირება – ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე (Gotsadze et al. 2010). ხოლო სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ყაზახეთის, უზბეკეთის, უკრაინის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, მოლდოვასა და რუსეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ოთხივე ელემენტი ქვეყნის ცენტრალურ სამთავრობო დონეზე დარჩა.

ამგვარად, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა, ფუნქციონირების ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით, ემსგავსებოდა განვითარებული ქვეყნების შესაბამის მოდელებს. აღნიშნული ეხება პასუხისმგებლობისა და დაფინანსების დონეებს, ძირითადი სერვისების მიწოდებას (იმუნიზაცია, ეპიდზედამხედველობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი...).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსებული სისტემის ფუნქციონირების პრინციპს ძირითადი სერვისების მიწოდების მოცულობისა და პასუხისმგებლობების დონეებად დაყოფა წარმოადგენდა. 1996-2003 წლებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტებს განეკუთვნოდა იმუნიზაციის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, ონკოლოგიურ დაავადებათა, უსაფრთხო სისხლის, ნარკომანიისა და ტრავმატიზმის პრევენციის, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ავადობის აქტიური გამოვლენის და სხვა ღონისძიებების განხორციელება.

ადგილობრივ დონეზე მუნიციპალური პროგრამების სახით ფინანსდებოდა ინფექციურ დაავადებათა პრევენციის, ქრონიკულ დაავადე-

ბათა მართვისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროგრამები, ის ღონისძიებები, რომლებიც კონკრეტულ არეალზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საჭიროებას წარმოადგენდა და ითვალისწინებდა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და ბუნებრივ თავისებურებებს. თუმცა, რიგ შემთხვევაში, ადგილობრივი დაფინანსება სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ადგილობრივ დონეზე არსებობდა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე რეალური პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გაუთვითცნობიერებულობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ არასაკმარისი ცოდნის და შესაბამისად, ადეკვატური ბიუჯეტების ფორმირების პრობლემა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ეპიდზედამხედველობის მოწესრიგებისა და დაავადებათა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მხრივ, რომელიც რაიონულ დონეზე ფაქტობრივად მოშლილი იყო, ასევე ეპიდსიტუაციის პროგნოზირებისა და ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების და გატარების თვალსაზრისით.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნით, უზრუნველყოფილ იქნა ინფექციური დაავადებების გავრცელების ტენდენციებსა და სტრუქტურის შესახებ მონაცემთა დროული მიღება, შეფასება და ანალიზი, რაც სათანადო კონტროლის ღონისძიებების დროული განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ამ პრობლემების მოგვარებისათვის ქვეყანაში ამუშავდა „ეპიდზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამა“, „ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის პროგრამა“ და სხვა პროფილაქტიკური პროგრამები, რაც, თავის მხრივ, ეხმარებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის რეზოლუციას, რომელშიც მითითებულია, რომ ლაბორატორიულ კვლევებზე დაფუძნებული ეპიდზედამხედველობის სისტემათა განვითარება და ინფექციური დაავადებების კონტროლის აქტივიზაცია ეროვნულ დონეზე ამ დაავადებათა საერთაშორისო მასშტაბებით გავრცელებისაგან დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეორგანიზაციამ პირველივე შედეგები მალევე გამოიღო. სახელმწიფო პროგრამით რუტინული იმუნიზაციის დაწყებამ, უსაფრთხო ინექციების და სამედიცინო მანიპულაციების პრაქტიკის დანერგვამ, უსაფრთხო სისხლის პროგრამის შემოღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ინფექციურ დაავადებათა გავრცელება.

იაპონიის მთავრობის, გაეროს ბავშვთა ფონდის, USAID, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა ორგანიზაციების დახმარებით, 1995-1996 წლებში ქვეყანაში ჩატარდა 3-60 წლის მოსახლეობის მასობრივი იმუნიზაციის კამპანია ტდ ვაქცინით, მოცვა – 83% (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2016). მათი მხარდაჭერით 1995 წელს კახეთში ჩატარდა სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის სეროლოგიური კვლევა ბუსტერდოზის შემდგომ დიფთერიის საწინააღმდეგო იმუნიტეტის არსებობაზე. აღმოჩნდა, რომ 30-49 წლის ასაკის მოსახლეობას დამცველობითი იმუნიტეტი მაინც არ ჰქონდა. კვლევის საფუძველზე, 1997 წელს ჩატარდა ამ ასაკობრივი კონტინგენტის ტდ ვაქცინის მე-2 ბუსტერ დოზით ვაქცინაცია. მოცვა – 86%. შემდეგ 1998 წლიდან დიფთერიის ეპიდემია კონტროლირებადი გახდა.

ეფექტური ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები იქნა გატარებული წყლისმიერი ნაწლავური ინფექციების, ჰეპატიტების, მუცლის ტიფის სხვადასხვა ეპიდემიების დროს (ახალციხე, ფოთი, ბათუმი, ქობულეთი, ხონი, რუსთავი...).

ამ პერიოდში იაპონიის, აშშ-ის და სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობებისა და, განსაკუთრებით, გაეროს ბავშვთა ფონდის უდიდესი დახმარების შედეგად, შესაძლებელი გახდა ჯერ გეგმური აცრების დაწყება, ხოლო შემდეგ მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაცია. აცრებით მოცვის მაღალი დონის მიღწევის გამო 2002 წლის ივნისში ჯანმო-ს ევროპის რეგიონის სასერთიფიკაციო კომისიამ საქართველოს, მიანიჭა პოლიომიელიტისგან თავისუფალი ზონის სტატუსი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა დღემდე ინარჩუნებს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ DOTS (Directly Observed therapy, short-course) სტრატეგიაზე ორიენტირებული მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამის შექმნამ და დანერგვამ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ერთგვარად მოაწესრიგა. სტრატეგიის არსია ტუბერკულოზზე სრულყოფილი კონტროლის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში სიკვდილობის, ავადობის, დაავადების გავრცელების შემცირებასა და ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებისადმი რეზისტენტობის განვითარების პრევენციას. ეს ხორციელდება ტუბერკულოზის შემთხვევათა გამოვლენის, დიაგნოზირების, მკურნალობის, პრევენციისა და ეპიდზედამხედველობის სტანდარტული ღონისძიებების მეშვეობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლუგარის ცენტრის შექმნა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1997 წელს აშშ-ის და საქართველოს პრეზიდენტების მიერ ბიოუსაფრთხოების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულების დადების შემდეგ. ის ეხებოდა ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობას მსოფლიოში და წარმოადგენდა ქვეყნის ბიოლოგიური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. შეთანხმებამ საფუძველი დაუდო ამ ტიპის პროგრამების განვითარებას არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ ევროპაში. საქართველოში ცენტრის შექმნას განსაკუთრებით ლობირებდა ცნობილი რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი. 1998 წელს განხორციელდა ლუგარის პირველი ვიზიტი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან და გადაწყდა ლუგარის ლაბორატორიის დაარსება. იმის გათვალისწინებით, რომ ლუგარის ცენტრი ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, 2002 წელს რიჩარდ ლუგარის და სახელმწიფო მინისტრის შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება, რომ ლუგარის ცენტრი ყოფილიყო ჯანდაცვის სექტორის დაქვემდებარებაში და შესულიყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში.

დღეისათვის ლუგარის ცენტრი ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა კავკასიის რეგიონში ბიოსამედიცინო სფეროსა და ბიოუსაფრთხოებაში სამეცნიერო კვლევებისათვის. ცენტრი უმაღლესი სტანდარტებით არის მოწყობილი და ბიოუსაფრთხოების მესამე დონე აქვს მინიჭებული, რაც ნიშნავს, რომ აქ თითქმის ყველა სახეობის მიკრობს იკვლევენ. საქართველოს თანამედროვე კლასიფიკაციით მესამე დონის ლაბორატორიას კორონავირუსის დიაგნოსტირებაც შეუძლია, რაც ამ ინფექციის დროულად გამოვლენისა და მართვის შესაძლებლობას იძლევა. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პანდემიების ხანაში.

ამგვარად, საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეორიენტაციის შედეგად საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე პრინციპებზე აგებულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალ სისტემას, რომელიც ეხმარებოდა მსოფლიოს უახლეს გამოცდილებას. თუმცა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის რეორგანიზაციის გატარებაში უმთავრეს სირთულეს წარმოადგენდა სახელმწიფო პროგრამების არასრული დაფინანსება. ჯანდაცვის სისტემა განიცდიდა დაფინანსების ქრონიკულ დეფიციტს, რადგან სახელმწიფო ხშირად ვერ ახდენდა დაპირებული ვალდებულებების დაფინანსებას (ვერუღავა, 2016; ჯორბენაძე, 2021; გზირიშვილი, 2012; Zoidze et al, 2006). გამონკვევას წარმოადგენდა პირველა-



დი ჯანდაცვის შესაძლებლობების სუსტი ინტეგრაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფუნქციების შესასრულებლად.

2007 წელს მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი შეერწყა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს და ჩამოყალიბდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, რამაც შეასუსტა საზოგადოებრივი ჯანდაცვის როლი და მნიშვნელობა, რადგან დაავადებათა კონტროლის ცენტრი მხოლოდ ინსტრუმენტია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში. შედეგად შემცირდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ყურადღება. უფრო მეტიც, გაუქმდა სანიტარული ზედამხედველობის სამსახური და მისი ცალკეული ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში გადანაწილდა. სამსახურის გაუქმების გამო, ზედამხედველობის გარეშე დარჩა სხვადასხვა ობიექტი (მაგ., სამედიცინო ორგანიზაციები, სტომატოლოგიური კაბინეტები, სილამაზის სალონები), სადაც შესუსტდა სერვისის მიწოდების ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმებზე კონტროლი.

დღეისათვის, როდესაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მეტი აქცენტი კეთდება მკურნალობაზე, ვიდრე პრევენციაზე, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის და პრევენციული მედიცინის აღიარება ჯანდაცვის სისტემის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, პოსპიტალური სექტორის და პჯდ სამსახურების შემდგომი კოორდინირებული განვითარება, სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის განვითარებაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის როლი განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, როდესაც აქტუალური გახდა ინფექციური დაავადებების ეპიდემიები და პანდემიები. გლობალიზებულ სამყაროში საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამონვევები სცდება ეროვნულ საზღვრებს და ინტერესებს, ვინაიდან მას გააჩნია უდიდესი გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები. შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანდაცვა განიხილება გლობალური კონტექსტით და მოითხოვს საერთაშორისო რეგულაციებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას შორის კოორდინირებულ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ტრანსნაციონალურ ქმედებებს და გადაწყვეტილებებს (Verulava, 2020a).



ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულაციები წარმოადგენს იმ იურიდიულ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი რეაგირება უნდა მოახდინონ ქვეყნებმა საერთაშორისო დაავადებების საფრთხეზე. მისი მიზანია დაავადების საერთაშორისო გავრცელების თავიდან აცილება, დაცვა და კონტროლი. გლობალური რეგულაციების საფუძველზე ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემამ უნდა შეიმუშაოს ისეთი მუდმივ-მოქმედი სისტემა, რომელიც დროულად გამოავლენს და აღმოფხვრის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის იმ რისკებს, რომელმაც შესაძლოა დაავადების მასობრივი გავრცელება გამოიწვიოს (Verulava, 2020b).

იმის გათვალისწინებით, რომ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა უპირატესად საზოგადოებრივი სიკეთეა, ვიდრე კერძო, ინდივიდუალური სერვისი, ინფექციური დაავადებების ეპიდემიების ხანა, მოითხოვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებების როლის ზრდას და ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

## დასკვნა

1995 წელს, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დაწყებული რეორიენტაციის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალ მიდგომას, რომელიც მიმართული იყო ქვეყანაში პრევენციული მედიცინის ერთიანი მექანიზმებისა და სახელმწიფო ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების ასამუშავებლად. ჩამოყალიბდა ევროპულ პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი ინფრასტრუქტურა, რომლის რეორგანიზაციის გატარებაში უმთავრეს სირთულეს წარმოადგენდა სახელმწიფო პროგრამების არასრული დაფინანსება და პირველადი ჯანდაცვის შესაძლებლობების სუსტი ინტეგრაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფუნქციების შესასრულებლად. მიუხედავად აღნიშნულისა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ეპიდემიოლოგიის მონესრიგებისა და დაავადებათა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მხრივ, ასევე ეპიდსიტუაციის პროგნოზირებისა და ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების და გატარების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის როლი განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში.

როში, როდესაც აქტუალური გახდა ინფექციური დაავადებების ეპიდემიები და პანდემიები, რაც მოითხოვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებების როლის ზრდას და ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

### ლიტერატურა:

- გამყრელიძე ა., ათუნი რ., გოცაძე გ., მაკლეჰოსი ლ. (2002). ჯანმრთელობის დაცვის სისტემები გარდამავალ პერიოდში. თბილისი.
- გერზმავა ო. (2016). საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი. თბილისი.
- გზირიშვილი დ. (2012). დამოუკიდებელი საქართველო - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები, ანალიტიკური მიმოხილვა. თბილისი.
- ვერულავა თ. (2016) ჯანდაცვის პოლიტიკა. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ურუშაძე რ. (2002). საზოგადოებრივი ჯანდაცვა. თბილისი.
- ჯორბენაძე ა., ვერულავა თ. (2021). ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა საქართველოში: განვითარების ბარიერები. ეკონომიკა და ბიზნესი. 13 (2).
- Asatiani M., Verulava T. (2017). Georgian Welfare State: Preliminary Study Based on Esping-Andersen's Typology. *Econ Sociol.*; 10 (4): 21-28.
- Balabanova D., Roberts B., Richardson E., Haerper C., McKee M. (2012). Health Care Reform in the Former Soviet Union: Beyond the Transition. *Health Serv Res.* 2012;47(2), pp. 840-864
- Barr DA., Field MG. (1996). The Current State of Health Care in the Former Soviet Union: Implications for Health Care Policy and Reform. *Am J Public Health*, 1996. 86(3): 307-312.
- Chanturidze T., Ugulava T., Durán A., Ensor T. and Richardson E. (2009). Georgia: Health system review. *Health Systems in Transition*. 2009;11(8):1-116.
- Children and Women in Georgia: A Situation Analysis. (2000).Tbilisi, Georgia: United Nations Children's Fund Field Office,
- Ensor T. (1993). Health system reform in former socialist countries of Europe. *Int J Health Plann Manage*;8(3):169-87.
- Gzirishvili D., Mataradze G. (1999). Health Care Reform in Georgia. Tbilisi, Georgia: United National Development Programme,4-26.
- Gotsadze G., Chikovani I., Gogvadze K., Balabanova D., McKee M. (2010). Reforming sanitary-epidemiological service in Central and Eastern Europe and the former Soviet Union: an exploratory study. *BMC public health*, 10, 440.
- Hull D. (2000). Rapid Appraisal of Health Care in Guria, Imereti, and Samegrelo Re-

- gions of West Georgia. Tbilisi, Georgia: Save the Children - Georgia Field Office. 2000:25.
- Joint Experts Group. (1996). Aide Memoir on Health Sector in Georgia. Tbilisi: UNICEF/UNDHA/WHO;
  - Jorbenadze A., Zoidze A., Gzirshvili D., Gotsadze G. (1999). Health reform and hospital financing in Georgia. *Croat Med J.* 1999;40(2):221-236.
  - Kalandadze T., Bregvadze I., Takaishvili R., Archvadze A., Moroshkina N. (1999). Development of State Health Insurance System in Georgia. *Croat Med J.* 1999;40(2):216-220.
  - Maier CB., Martin-Moreno JM. (2011). Quo Vadis Sanepid? A cross-Country Analysis of Public Health Reforms in 10 Post-Soviet States. *Health Policy.* 102:18–25.
  - Papava V. (2012). *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty years after.* Nova Science Publishers Inc., New York.;1–141.
  - Rechel B. (2014). Public Health. In: Rechel B., Richardson E., McKee M. editors. *Trends in Health Systems in the Former Soviet Countries* [Internet]. Copenhagen (Denmark): European Observatory on Health Systems and Policies; (Observatory Studies Series, No. 35.) Chapter 6. Available from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK458302/>
  - Verulava T., Jorbenadze A. (2021). Context and Issues of Social Health Insurance Introduction in Georgia. *Arch Balk Med Union.* 56(3):349-357.
  - Verulava T., Dangadze B. (2018). Health Capital and Economic Growth: Evidence from Georgia. *The Open Public Health Journal.* 11:401-406.
  - Verulava T., Maglakelidze T. (2017). Health Financing Policy in the South Caucasus: Georgia, Armenia, Azerbaijan. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,* 11 (2): 143-150.
  - Verulava T. (2019). Health Capital, Primary Health Care and Economic Growth. *Eastern Journal of Medicine.* 24 (1): 57-62.
  - World Bank. (1996). Georgia Health Project.
  - WHO Regional Office for Europe. (2009). *European Health for All Database (HFA-DB),* Copenhagen, WHO Regional Office for Europe.
  - World Health Organization. (1998). *Statistical forms concerning morbidity of tuberculosis and birthrate in Georgia.* Tbilisi: WHO;
  - United Nations Development Fund. *Human Development Report: Georgia 1996.* Tbilisi: UNDF; 1997.

## SOCIAL DEVELOPMENT

---

### DEVELOPMENT OF PUBLIC HEALTH IN INDEPENDENT GEORGIA

#### **Avtandil Jorbenadze**

Doctor of Medicine, Chairman of the Supervisory Board of  
Chapidze Emergency Cardiology Center  
avtandil.jorbenadze@ecc.ge

#### **Tengiz Verulava**

Professor  
Caucasus University  
Tengiz.verulava@gmail.com

*Reorganisation of healthcare system in Georgia was based on the development of public health, aiming to activate of preventive medicine and operate efficient tools of epidemiological surveillance. This paper seeks to explore the attitudes and values which underlie public health reform in Georgia, and to investigate the goals of reform and the strategies designed to achieve them. The article is based on a documentary analysis, which included official documents and non-official journal publications. Georgia was the only country (except the Baltic states) to abandon the soviet system of Sanitary-Epidemiological Service, completely reorganizing it and establishing a new public health infrastructure, built on European principles. The reorganization of the Sanitary-Epidemiological Service implied the separation of supervisory (sanitary control) and executive functions, typical of the Soviet system. As a result, the Public Health Department and the Department for Sanitary Supervision and Hygienic Regulation were established. In terms of decentralization, the funds out of four elements of healthcare system (financing, Policy Development, Standard definition, Management and Administration) were distributed at central, regional and municipal levels. The role of public health is especially increasing in the modern globalized world,*

*when the epidemics of infectious diseases have become topical. In globalized world, the public health challenges go beyond national borders and interests, having huge global political and economic consequences. Therefore, modern public healthcare is reviewed in a global context and requires international regulations, transnational actions and solutions based on coordinated cooperation among different countries of the world.*

**Keywords:** *Public health, health care reforms, prevention, healthy lifestyle.*

**JEL Codes:** *H51, H75, I18*

## **Introduction**

Public health is the key function of the state, ensuring disease prevention and health promotion, achieved through organized public efforts, environmental enhancement, fight against infections, public awareness raising on hygienic issues, early identification of diseases. Furthermore, the study of disease epidemiology allows rational and efficient use of resources to address priority issues, that is of primary importance for a low-income country, like Georgia.

In early years of its existence, the Soviet Union paid great attention to disease prevention. A broad network of sanitary-epidemiological stations was set up for fighting the epidemics of infectious diseases such as typhoid, cholera, chickenpox, dysentery, malaria. Mass vaccination, epidemiological surveillance of malaria, water supply sanitary control, hygienic waste disposal, wastewater improvement and milk pasteurization were included in the list of main activities. In the 1950s and 1960s, the scope of Sanitary-Epidemiological Service was expanded to include occupational hygiene and environmental protection.

Initially, the Sanitary-Epidemiological Service played a major role in fighting against infectious diseases. There have been developed comprehensive vaccination programs for children, helping to reduce many communicable diseases. However, it was much less effective in combatting non-communicable diseases, and health promotion and inter-sectoral actions were completely neglected (Maier CB, Martin-Moreno JM. 2011). Later, in the Soviet Union, the focus was directed to medical-diagnostic measures, which were less concerned with disease prevention. Such a model was expensive, as resources were mainly spent on elimination of outcomes, the reason of which could have been prevented (Ensor T. 1993, 169-87).

The situation worsened especially after the collapse of the Soviet Union in the first years of independence (Papava V. 2012), Balabanova D., Roberts B., Richardson E., Haerpfer C., McKee M. 2012, 840-864). Tough political situation, deteriorated social-economic condition of the country, increased number of refugees, disruption of healthcare system, aggravation of sanitary epidemiological conditions, lack of preventive measures contributed to a significant increase of socially dangerous infectious diseases (UNDF, 1997, WHO, 1998).

The situation was further complicated by violating the vaccination deadlines and nearly terminating the vaccination for children and adolescents in early 1990s (Chanturidze T., Ugulava T., Durán A., Ensor T. and Richardson E. 2009,116.) Between 1990 and 1995, the level of immunization dropped sharply from 95% to 30-50% with vaccinations for major preventable diseases (tuberculosis, diphtheria, pertussis, tetanus, polio, measles), leading to an outbreak of socially dangerous infections.

The failure of the planned vaccination due to the lack of vaccine material led to an epidemic of diphtheria in 1991-1992. There were 23 cases of diphtheria in 1993, 312 cases in 1994, and 425 cases in 1995. Out of those cases, 42 turned out to be fatal. Cases of measles, rubella, and whooping cough were increased. Acute respiratory infections accounted for 43% of mortality in children under 1 year of age. Intestinal infections, botulism, rabies and tetanus became more common. The growth of drug dependence in adults led to an increase in the incidence of hepatitis B in a 15-35-year-old age group.

In 1991-1995, a specific type of outbreak of tuberculosis developed in Georgia, resulting in a national problem. Against the backdrop of deteriorated socio-economic conditions of the population, tuberculosis penetrated into the social strata of the country's population, where its prevalence has been traditionally low in previous years. The rate of mortality from tuberculosis was 90% higher than compared to Western Europe. Particular problem was the emergence of drug-resistant forms of tuberculosis. It should be noted that about 85% of new cases of tuberculosis were pulmonary. Prisons, with 5-10 % of prisoners found infected by TB, were named as the key source of TB spread. Case detection was also a problem as the level of microscopic, laboratory and instrumental examination of smear was low.

The cases of diseases, being considered as eliminated, increased, including diphtheria, malaria, visceral leishmaniasis, and rabies. The incidence of

